ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ჯ. ბაცაცრაიშვილი

K 216365
3

ეროვნული საერთაშორისო ურთიერთობა ჩვენ დროში

„მეცნიერება"

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთევან ჩხაიძე-ჯაფარიძე

ზუკრიის საეთნოგრაფო შეკრებიდან



„მეცნიერება“
თბილისი
1985

9(ᲡᲥᲐ.ᲒᲣ) + 9(ᲡᲥᲐ:ᲡᲠ)

63. 3 (2 Г)
ჩ 968

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაშრომში განხილულია ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი პოლიტიკური ერთეულის — გურიის სამთავროს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარება XVIII—XIX საუკუნეთა მიჯნაზე; დახასიათებულია ოსმალეთის იმპერიის აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ და მოცემულია გურიის სამთავროს რუსეთთან ურთიერთობისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის ისტორია; ნაჩვენებია ამ პოლიტიკური აქტის პროგრესული მნიშვნელობა.

რედაქტორი ვ. გუჩუა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩ $\frac{0504030000}{М\ 607(06) — 85}$ 165—83 © გამომცემლობა „მეცნიერება“, 1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესავალი

გურიის სამთავრო რუსეთთან დაკავშირების წინ

XV საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაიშალა. ცალკე გამოიყვნენ: ქართლის სამეფო, კახეთის სამეფო, მესხეთის სამთავრო, ანუ სამცხე-საათაბაგო. ოდიშის (სამეგრელოს), გურიისა და აფხაზეთის სამთავროები. მოგვიანებით წარმოიშვა სვანეთის სამთავროც. კარზე მომდგარი ძლიერი მტაცებლების—ირანისა და ოსმალეთის წინაშე ერთიანი, ძლიერი საქართველოს ნაცვლად ერთმანეთთან მოკინკლავე წვრილი სამეფო-სამთავროები აღმოჩნდნენ.

K 216 365 30 07

ფეოდალურმა დაშლილობამ თავისი შედეგიც მალე მოიტანა: XVI საუკუნეში თურქეთმა ზედიზედ დაიპყრო ჯერ ჭანეთი (რომელიც მაშინ გურიელს ეპყრა), შემდეგ სამცხე-საათაბაგო (აჭარითურთ) და გურიის სამთავროს შემოუტია. ამის მომდევნო ხანა —XVII—XVIII საუკუნეები ქართული სამეფო-სამთავროების ისტორიაში ირან-ოსმალეთის ამაოხრებელი შემოსევებისა და გაუთავებელი შინაომების, ხანგრძლივი პოლიტიკური კრიზისის პერიოდია. ბევრად უფრო მრავალრიცხოვან და ძლიერ მტრებთან დაპირისპირებამ ქართველი პოლიტიკოსები აიძულა მოკავშირეები ეძებნათ.

ჯერ კიდევ XV საუკუნეში ქართველებმა დასავლეთ ევროპაში დაიწყეს მოკავშირეთა ძებნა, მაგრამ მალე თურქეთმა შავი ზღვის სანაპიროები დაიპყრო, ეს ზღვა თავის „შიდა ტბად“ აქცია და საქართველოს ამ მიმართულებით გზები გადაუკეტა. XVI ს. შუაწლებიდან თურქეთი დასავლეთ საქართველოს (ირანთან შეთანხმებით) თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა, XVII ს. დასაწყისიდან კი აქაური მოსახლეობიდან ხარკსაც იღებდა, მაგრამ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში ვერ ერეოდა და „ქართველობას“—ცხოვრების ძველ ადგილობრივ წესს — ვერ ცვლიდა. მიუხედავად ამისა, თურქთა ძალადობა ისე აუტანელი იყო, რომ ქართველობას მოკავშირისა და შემწის ძებნა არ შეუწყვეტია.

XVI ს. მიწურულიდან ყველაზე უფრო საიმედო მოკავშირედ მიჩნეული იქნა ერთმორწმუნე რუსეთი, რომლის სამხედრო ძლიე-

რება და სიდიდე სწორედ იმ ხანებში არნახული სიჩქარით იზრდებოდა.

უკვე 1618 წლიდან რუსეთის ხელისუფლებასთან უშუალო ურთიერთობა დაამყარა გურიის სამთავრომ, რომელიც რუსეთისაგან მფარველობას და ფულად დახმარებას ითხოვდა. 1621 წელს მეფე მიხეილ თევდორეს ძემ გურიელს დახმარება აღუთქვა. ამ დროიდან ირანს ან ოსმალეთში გაგზავნილ რუს ელჩებს მთავრობა, სხვათა შორის, გურიის ამბების გაგებასაც ავალებდა (მაგ., 1650 წელს, ალექსი მიხეილის ძის დროს), მაგრამ გასაგები მიზეზების გამო (რუსეთი საქართველოდან მაშინ ძალიან შორს იყო) საქმე ამაზე უფრო წინ არ წასულა. 1694 წელს მოსკოვს ჩავიდა იმერეთის მეფის ელჩი, შემოქმედელი მთავარეპისკოპოსი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკობ დუმბაძე, რომელმაც რუსეთის საგარეო საქმეთა მესვეურებს გააცნო იმდროინდელი გურიის ვითარება.

1724 წლიდან რუსეთში ცხოვრობდა ვახტანგ VI-თან ერთად წასული ქაიხოსრო III გურიელი, რომელიც ჯერ ქართველ ჰუსართა ასეულს, შემდეგ კი ქართველ ჰუსართა პოლკს მეთაურობდა, მაგრამ ამ ფაქტს გურიის სამთავროს რუსეთთან ურთიერთობაში არავითარი როლი არ უთამაშია.

რუსეთსა და გურიის სამთავროს შორის ურთიერთობა რუსეთ-თურქეთის 1768—1774 წწ. ომის დროს განახლდა. საქართველოში მყოფ რუსთა რაზმს, რომელსაც გენერალი ტოტლებენი მეთაურობდა, 1771 წელს ფოთთან ბრძოლის დროს მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია გურიის ლაშქარმა გიორგი V გურიელის მეთაურობით. რუსთა სარდლობის გეგმით გურიის ჯარს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა რუსთა შემდგომ ბრძოლებშიაც, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ამ ომმა დასავლეთ საქართველოს მაინც მნიშვნელოვანი შედეგი მოუტანა. თურქეთმა უარი თქვა ხარკზე, რომელსაც მას იმერეთის სამეფო და ოდიშისა და გურიის სამთავროები უხდიდნენ.

ამ დროიდან რუსეთის იმპერიის გეგმებში დიდი ადგილი ეკავა საქართველოს შეერთებას და გურიის სამთავროც რუსი დიპლომატების ყურადღების ცენტრში იყო. 1783 წ. 24 ივლისის გეორგიევსკის „მეგობრობითი ხელშეკრულებით“ ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის ხელდებული გახდა. 1785 წელს გიორგი V გურიელმა პ. ს. პოტიომკინს საგანგებო წერილით სთხოვა დახმარება და თურქთაგან დაცვა, მაგრამ ამ თხოვნას შედეგი არ მოჰყოლია.

1790 წელს ქართლ-კახეთსა და დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებს შორის დადებულ ხელშეკრულებაში ნათქვამი იყო, რომ იმერეთის მეფე, გურიელი და დადიანი ნებით უერთდებოდნენ გეორგიევსკის ტრაქტატს. 1793 წელს ვახტანგ გურიელმა ერეკლე II-ს,

სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანთან ერთად სთხოვა ეკატერინე II-ს რუსეთის მფარველობაში მიღება, მაგრამ მაშინ რუსეთს პოლონეთის ამბების გამო საქართველოსათვის არ ეცალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგა XIX საუკუნე. მსოფლიოში უდიდესი მნიშვნელობის ძვრები ხდებოდა, დასავლეთი ევროპა საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ბურჟუაზიული განვითარების და აღმავლობის გზაზე იდგა. ეს იყო განმანათლებელთა პროგრესული იდეების ზეიმის, მუშათა კლასის ზრდის, ბურჟუაზიული რეფორმების ეპოქა.

ასეთ ვითარებაში, აზიისა და ევროპის საზღვარზე ერთმანეთის წინაშე აღმოჩნდნენ რუსეთის გიგანტი იმპერია და ურიცხვ მტრებთან მრავალსაუკუნოვანი შეუსვენებელი ბრძოლებით ქანცგამოცლილი ქართული მცირე სამეფო-სამთავროები. რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ხასიათი ზუსტად შეესაბამებოდა მათ ძალთა თანაფარდობას და ამის შედეგიც ლოგიკური იყო. პავლე I-ის 1801 წ. 18 იანვრის და ალექსანდრე I-ის 1801 წ. 12 სექტემბრის მანიფესტებით ქართლ-კახეთის სამეფო გაუქმდა და რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადდა. ქართველი ხალხის ისტორიაში ახალი ერა — რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის ხანგრძლივი და რთული ეპოქა დაიწყო. ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც ეს ბედი ელოდა, გურიის სამთავრო იყო.

გურიის სამთავრო იმერეთის სამეფოდან გამოყოფის პერიოდში მოიცავდა ტერიტორიას რიონიდან ე. წ. რკინის პალომდე (ქემერის კონცხი ჭანეთში, ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე). ჭანეთი გურიელმა ადრე, უკვე XVI ს. დასაწყისში დაკარგა და მისი მცირე ნაწილი — გონიის მიდამოებიღა შემორჩა. XV—XVI საუკუნეებში გურიელს დროდადრო ეკავა სამცხე-საათაბაგოს ნაწილები — მაჭახელი და აჭარა, მაგრამ XVI ს. შუაწლებში თურქებმა ჯერ გონია დაიკავეს, იმავე საუკუნის მიწურულს კი მთელი აჭარა და მაჭახელიც. იმ დროიდან გურიის სამთავრო იმ ფარგლებში მოექცა, რომელშიაც ქართველი ხალხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ჯგუფი — გურულები ცხოვრობდნენ.

ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინცია გურიას ჩრდილოეთით რიონი საზღვრავდა, სამხრეთით კი ჭოროხი. აღმოსავლეთით გურია ჭოროხ-აჭარისწყლის შესართავიდან აჭარა-გურიის ქედის წყალგამყოფი ხაზის გაყოლებით აჭარას ესაზღვრებოდა. შუა საუკუნეებში ჭოროხის კუნძულებიანი დელტის ადგილზე წარმოქმნილ დაბლობს სახელი — კახაბერი ანუ საგურიელო კახაბერ I (XIV ს.) ან კახაბერ II გურიელის (XV ს.) გამო მიეცა, რომელსაც ეს მხარე საბატონიშვილოდ ჰქონდა. აღმოსავლეთით გურიას იმერეთის სამეფო

ესაზღვრებოდა. გურია სამ გეოგრაფიულ რეგიონად იყოფოდა. ზემო-გურია ერქვა სუფსა-გუბაზეულის ხეობებს მათ შესართავს ზემოთ, ქვემო გურია — ტერიტორიას ჩოლოქსა და ჭოროხს შორის; დანარჩენი ტერიტორიის სახელწოდება შუა გურია იყო.

1703 წ. თურქებმა ბათომი და კახაბერი დაიკავეს; მომდევნო ხანებში (30—40-იან წლებში) — ჩაქვის თემი, XVIII ს. 70—80-იან წლებში კი ხინო და ქობულეთი. ამის შემდეგ თურქეთთან საზღვარი 1878 წლამდე მდ. ჩოლოქზე გადიოდა[1]. ამრიგად, რუსეთთან შეერთების წინ გურიის სამთავროს ახლანდელი მახარაძის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონების ტერიტორია ეკავა (საჯავახო XVIII ს. 70-იანი წლებიდან იმერეთის მეფეს ჰქონდა დაკავებული), ე. ი. თავისი ტერიტორიის მესამედი დაკარგული ჰქონდა.

ქვემო გურია თურქეთის იმპერიის ტრაპიზონის ვილაიეთის შემადგენლობაში შევიდა.

XIX ს. დასაწყისის გურიის ბუნება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ახლანდელისაგან. მთელი ზღვისპირი, რიონის შესართავიდან კინტრიშის შესართავამდე, ზღვისპირა დიუნების აღმოსავლეთით ბზანარევი წიფლნარით იყო დაფარული; ტყის უკან ჭაობების ფართო ზოლი მდებარეობდა. განსაკუთრებით ფართო იყო ეს ზოლი რიონისა და ჩოლოქის შესართავებთან. ნოტიო სუბტროპიკული ჰავის წყალობით ტერიტორიის მეტი ნაწილი ხშირი დაბურული ტყით („ურეკით") იყო დაფარული, რომელშიაც თითქმის გაუვალი ქვეტყე, ბუჩქნარი, ლიანები და გვიმრა იყო მოდებული. თუ ამას დავუმატებთ მეტწილად თიხნარ ნიადაგებს და გზების სიმცირეს, ცხადი გახდება, თუ რამდენად უწყობდა ხელს ბუნებრივი პირობები ამ მხარის გარეშე მტრისაგან დაცვას.

გურიის მეურნეობის ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება და მევენახეობა. მესაქონლეობა დაქვემდებარებულ როლს თამაშობდა, თუმცა საკმაო რაოდენობით იყო ცხენები, ხარ-ძროხა, თხები, კამეჩები, შინაური ფრინველი და განსაკუთრებით ღორები. კლიმატის თავისებურების გამო ცხვარს იშვიათად შეხვდებოდით. განვითარებული იყო მეფუტკრეობა და მეაბრეშუმეობა — თაფლი და აბრეშუმის ნაწარმი გატანის საგნებს წარმოადგენდნენ. მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნადირობა. მაშინდელ გურიაში მრავლად იყო ირემი, გარეული ღორი, შველი, არჩვი, კვერნა, გადამფრენი ფრინველები ... კულტურული მცენარეებიდან მოჰყავდათ პური (ზეგან ადგილებში მცირე რაოდენობით), ღომი და სიმინდი, აგრეთვე სხვადასხვა პარ-

---

[1] ქობულეთის ჩრდილო ნაწილი — ჩოლოქისპირა სოფლები თურქეთის ხელში გადავიდა 1834—1841 წლებში.

ქოსნები (ლობიო, ცერცვი, ხანჭკოლა...) და ბოსტნეული, თესავდნენ სელს და ბამბას. გურიიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ სიმინდი, ხილი, თაფლი, ნიგოზი. გურიაში მრავალი ჯიშის მაღლარი ვაზი ხარობდა და ღვინო დიდი რაოდენობით გაჰქონდათ საქართველოს სხვა მხარეებსა და რუსეთშიაც. უცხოელი მოგზაურები გურულ ღვინოს ფრანგულს (ბურგუნდიულს) ადარებდნენ.

საისტორიო წყაროები მხოლოდ ერთხელ აღნიშნავენ გურიაში შიმშილობას — 1812 წ. „ჟამობის" დროს, როცა მუშახელის უმრავლესობა ჟამმა გაწყვიტა.

სხვადასხვა ცნობით XIX ს. დასაწყისის გურიის სამთავროში იყო 5000-მდე კომლი, 30—35 ათასი სული.

გურიის სამთავრო გვიანი შუა საუკუნეების გერმანული ტერიტორიული სამთავროების მსგავს მცირე მონარქიულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. სამთავროს სათავეში ედგა სუვერენი ხელისუფალი — მთავარი — გურიელი. მთავარს ეკუთვნოდა სამთავროს ძირითადი სტრატეგიული პუნქტები — ციხეები და ნავმისადგომები. გურიელს ჰქონდა რამდენიმე რეზიდენცია — საზამთრო, საზაფხულო და სანადირო სასახლეები (ოზურგეთი, ნაგომარი, უჩხობი, თხინვალი, ლეხაური, ბაილეთი; ადრე — ბათომი, ჩაქვი, ალამბარი, ჩეხედენა...).

უკანასკნელ მთავარს 150-მდე კომლი აზნაური და 750-მდე კომლი გლეხი ჰყავდა. მას ბეგარას უხდიდა 927 გლეხი. მთავარს ჰქონდა საკუთარი ვენახები, მარნები, ჰყავდა ცხენისა და ხარების ჯოგები. მთავარი იღებდა ვაჭრობის და ტყის (ნადირობის) ბაჟს. საკუთარი ყმამამული და შემოსავალი ჰქონდა გურიის დედოფალსაც.

გურიის სამთავროში ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის მრავალრიცხოვანი აპარატი არსებობდა. თითქმის ყველა სახელო (თანამდებობა) მემკვიდრეობით გადადიოდა, ამიტომ საუკუნეთა მანძილზე ერთი ხელი ერთი და იმავე გვარის წევრებს ეკავათ.

მთავრის კარს, სახელმწიფო შემოსავალ-გასავალს და სხვა სახელოებს სახლთუხუცესი განაგებდა; სამხედრო უწყების და ლაშქრის სათავეში იდგა ორი სარდალი; მთავრის ციხეებს განაგებდნენ „მეციხვანეები" — ციხისთავები; სამთავროს დროშა ბაირახტარს ებარა: მთავრის პირად დაცვას (ქეშიკებს) ქეშიკთუხუცესი მეთაურობდა; XVI ს-ში არსებობდა ამილახორის სახელო, რომლის ნაცვლად შემდეგ მეჯინიბეთუხუცესობა დაწესდა; კარზე სტუმართა მიღება-გასტუმრებას მესტუმრეთუხუცესი განაგებდა, მისი ხელქვეითი იყო კარის მესტუმრე; სახელმწიფო სალარო (ხაზინა) მოლარეთუხუცესის განსაგებელი იყო. მას ექვემდებარებოდა მოლარე ანუ ხაზინადარი; მეღვინეთ-

უხუცესს „ზვართა სამუშაო“ და სახელმწიფო (მთავრის) ღვინოებარა; მისი ხელქვეითნი იყვნენ მეღვინეები და მემარნეები. მთავრის სასახლის საკუჭნაო, გარდერობი და ჭურჭლეულობა ქილიფთართუხუცესის ხელთ იყო, რომელსაც ქილიფთრები ექვემდებარებოდნენ;

დოკუმენტების შედგენა და მიწერ-მოწერის წარმოება მდივანს ევალებოდა; ზოგჯერ მას კარის მდივანი ან მდივან-მწიგნობარი ერქვა. ხანდახან მთავრის დოკუმენტებს რომელიმე თავადი ან სასულიერო პირი ადგენდა. სამართლის წარმოება მდივანბეგების მოვალეობას შეადგენდა. ერთდროულად სამი მდივანბეგი საქმიანობდა.

საპოლიციო სამსახურის ხელმძღვანელი ბოქაულთუხუცესი იყო; მის ხელქვეით იყვნენ ბოქაულები — საპოლიციო უბნების გამგებლები და იასაულები—რიგითი პოლიციელები; ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციის მოხელეები იყვნენ მოურავები — ცალკეული მხარეების ან სოფლების გამგებლები. მოურავები ჰყავდა მთავარს, ეკლესიას, თავადს. მოურავის მოადგილეს ნაცვალი ერქვა, ხოლო ცალკეული სოფლების გამგებლებს ხელოსნები (მამასახლისები); მოურავებად ჩვეულებრივ თავადები იყვნენ, ნაცვლებად აზნაურები, ხელოსნებად კი აზნაურები ან მსახურები. ნავმისადგომებს, გზებსა და ქალაქობებზე (ბაზრობებზე) ბაჟს მებაჟეები — თავადები ან აზნაურები იღებდნენ. ტყეების დაცვა და ტყის (ნადირობის) ბაჟის აღება ტყისმცველთა მოვალეობა იყო. ტყისმცველები — აზნაურები ან მსახურები — ჰყავდა მთავარს, ეკლესიას და თავადსაც.

როგორც არსებული გვარებიდან ჩანს, ადრე გურიის სამთავროში უნდა ყოფილიყო სხვა სახელოებიც, მაგ; მუჯირი (მარცვლეულის მნე) და ოთხმიზდური (ოთხმეზური — ფუნქცია არ ჩანს).

ფეოდალური სოციალური წყობა XIX ს. დასაწყისის გურიაში უცვლელად იყო შემორჩენილი. მთავარი ყველა თავისი ხელქვეითის ხელმწიფე იყო. მთავრის მომდევნო საფეხურზე იდგნენ ბატონიშვილები — მთავრის სახლისკაცები. სიმდიდრითა და გავლენით მათ ტოლს არ უდებდნენ თავადები. მთავარს, ბატონიშვილებს, თავადებსა და ეკლესიას ჰყავდათ მრავალრიცხოვანი სახელმწიფო, საეკლესიო და სათავადო აზნაურები, რომელთაგან რანგით სხვებზე მაღლა სახელმწიფო აზნაურები იდგნენ. ყველა ესენი ფლობდნენ მძიმე ნატურალური და შრომითი ბეგრით დატვირთულ გლეხობას. გლეხთა შორის ყველაზე მაღლა იდგნენ მსახურები, რომელთაც მიწის საძუშაოები არ ევალებოდათ, გარკვეული პრივილეგიები ჰქონდათ

და გადასახადს სამ წელიწადში ერთხელ იხდიდნენ. მსახურებს ევალებოდათ საპატიო სამსახური — ლაშქრობა, თანხლება და კარზე ან ადგილობრივი ადმინისტრაციული სამსახური (მოხელეობა, მაგ. ხელოსნობა — სოფლის მამასახლისობა, ფარეშობა, ქეშიკობა და სხვ.).

გლეხთა ძირითად, მრავალრიცხოვან მასას შეადგენდნენ მ ე ბ ე გ რ ე ე ბ ი, რომელთაც ყოველწლიური ნატურალური და შრომითი ბეგარა ედოთ. სოციალური კიბის უმდაბლეს საფეხურზე იდგნენ მ ო ჯ ა ლ ა ბ ე ე ბ ი — სავსებით უუფლებო და უქონელი, უსახლკარო, ნასყიდი ან ტყვედჩაგდებული (ზოგჯერ რაიმე მძიმე დანაშაულის გამო დამცრობილი) პირები, რომლებიც ბატონის კარზე ცხოვრობდნენ და მას ყოველგვარ მძიმე და სათაკილო სამუშაოებს უსრულებდნენ.

გურიის სამთავროს ეკლესიის უმაღლეს გამგებლად ადრე იმერეთის („აფხაზთა“) კათალიკოსი ითვლებოდა, მაგრამ ეპისკოპოსებს სამთავროში ფაქტიურად გურიელი ნიშნავდა.

გურიის სამთავროში თავიდან სამი ეპარქია იყო: შემოქმედის, ჯუმათის და ხინოს. შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ს მთავარეპისკოპოსის ან მიტროპოლიტის ტიტული ჰქონდა და სუფსასა და ჩოლოქს შორის მდებარე ტერიტორია ექვემდებარებოდა; ჯ უ მ ა თ ე ლ ი რიონსა და სუფსას შორის მდებარე ეკლესიებს განაგებდა, ხ ი ნ ო წ მ ი ნ დ ე ლ ი კი ქვემო გურიის — ჩოლოქსა და ჭოროხს შორის მცხოვრებთა უმაღლესი სასულიერო გამგებელი იყო. ხინოწმინდის ეპარქია XVIII ს. 70-იან წლებში გაუქმდა.

XIX ს. დასაწყისში გურიაში სამი მონასტერი: შემოქმედის, ჯუმათის და იოანე ნათლისმცემლის („გურიის უდაბნო“) და რამდენიმე საწინამძღვრო (საკუთარი ყმა-მამულის მქონე სამწირველო) იყო. ზოგ გვარს ცალკე საჯვარე (სამლოცველო) ჰქონდა.

ეკლესია ფეოდალური ორგანიზაცია იყო. გარდა იმისა, რომ მოსახლეობა მრავალ საწესო და „საკანონო“ გამოსაღებს უხდიდა, ეკლესია დიდძალ ყმა-მამულს ფლობდა და მისგანაც დიდი შემოსავალი ჰქონდა. მაღალი რანგის საეკლესიო სახელოები მთავრის სახლისშვილებს და თავადებს ეკავათ, შედარებით დაბალი (დეკანოზობა, მღვდლობა...)—აზნაურებს და გლეხებს.

გურიის სამთავროში შეწირული ყმა-მამულები (ან სხვა შემოსავალი) ჰქონდათ: იმერეთის („აფხაზთა“) საკათალიკოსოს, ქუთაისის საეპისკოპოსოს, იერუსალიმის საპატრიარქოს (უფლის საფლავის ეკლესიას), იერუსალიმის ჯვარის მონასტერს, ათონის პორტაიტის მონასტერს, სინის მთის ჯვარის მონასტერს და კიკოს ღვთისმშობლის მონასტერს (კუნძულ კვიპროსზე).

ასეთი იყო გურიის სამთავროს მდგომარეობა რუსეთთან შეერთების წინ.

რამდენიმე სიტყვა ქვემო გურიის ვითარების შესახებ XVIII ს. 70-იანი წლებიდან ამ მხარის რუსეთთან შეერთებამდე (1878 წ.).

დაპყრობის შემდეგ ქვემო გურიაში გამოგზავნილმა თურქმა და ჭანმა მოლებმა აქ მაჰმადიანობის ქადაგება და, ზოგჯერ, ძალად გავრცელება დაიწყეს. ეკლესიები ერთიმეორის მიყოლებით იკეტებოდა. სამღვდელოების ნაწილი ხატებით და სხვა საეკლესიო ნივთებით გურიის ქრისტიანულ ნაწილში გაიხიზნა. მას მიჰყვა მოსახლეობის საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაწილიც, რომელიც გურიელმა სხვადასხვა ადგილას, ძირითადად აკეთში, ნაგომარში და გურიამთის[2] მიდამოებში დაასახლა. ადგილზე დარჩენილი თავადაზნაურობის ნაწილი დაიმცრო, ნაწილი კი თურქეთის სამსახურში ჩადგა.

XIX საუკუნეში, საკუთრივ ქობულეთის თემთან ერთად (ტერიტორია ჩოლოქიდან ციხისძირამდე, ხინოს გამოკლებით), ქობულეთი ძთელი ქვემო გურიის სახელწოდებად იქცა და ამ მხარის მოსახლეობას ქობულეთლებს უწოდებდნენ.

ძაშინდელი ქართველები გამაჰმადიანებას „გათათრებას“ უწოდებდნენ, „თათარი“ მუსლიმანს ნიშნავდა. იმდროინდელ დოკუმენტებში არის ასეთი გამოთქმები: „მუთი ქარცივაძე, გურული, რომელსაც მიუღია მას მერმედ ლ(30) წელია თათრობა, ცხოვრობს ს. ნაცხავატევს, მდინარე ჩოლოქზე“ (ამას წერენ მუთის ბიძაშვილები). ასე გაჰყო მაჰმადიანობამ იმნაიშვილები, ბერიძეები, მეგრელაძეები, კვირკველიძეები, გუგუნავები და ა. შ.

რუსეთ-თურქეთის საზღვრით გაყოფილ ნათესავებს ურთიერთკავშირი და მიმოსვლა არ შეუწყვეტიათ. მრავლადაა შემონახული ოზურგეთის მაზრის ამა თუ იმ მცხოვრების თხოვნა ხელისუფლებისადმი ქობულეთში გაქცეული თავისი „თათარი“ ძმის, შვილის ან სხვა ნათესავის სანახავად წასვლის ნებართვის ან რუსეთის ტერიტორიაზე შემოსასვლელად ქობულეთელი „თათარისთვის“ ნებართვის მიცემის შესახებ. ამ დოკუმენტთა რუსულ თარგმანებში „თათარი“ ყოველთვის „თურქადაა“ შეცვლილი. ასევეა სხვა რუსულ დოკუმენტებში, მათ შორის მოსახლეობის აღწერის დავთარშიც. მრავლადაა შემონახული ქობულეთის, ჩაქვის და ბათომის ბეგების მიმართვებიც რუსეთის ხელისუფლებისადმი, რომლებშიაც ეს ბეგები თავიანთ ქვე-

---

[2] აქ და ქვემოთ ყველგან ჩვენ ვიყენებთ ადგილთა ძველ, ისტორიულ სახელწოდებებს. მაგ., ახლანდელი გურიანთის ძველი სახელია გურიამთა, ნიგოითის — ნიგოზდიდი, მუხაყრუას — მუხაღრუა, ბათუმის — ბათომი, გონიოს — გონია, ხულოს — ხულა, ნიგორზღვის — ნიგოზღრუა, ლიხაურის — ლეხაური (უფრო ძველი — რეხეული) და ა. შ. ამ სახელწოდებათაგან ზოგი ბუნებრივი გზით შეიცვალა, ზოგის შეცვლა კი თურქული და რუსული ენების გავლენის შედეგია.

შევრდომებს, მაგ., რომელიმე ჯაშს, კომახიძეს ან საბლუას „თათრებს“ უწოდებენ.

1884 წ. ბათომის ოლქის კინტრიშის უბნის მცხოვრებლებმა-გუგუნავებმა, მანველიშვილმა, ცივაძეებმა, პაპუნაიშვილმა, გოგოლიშვილმა, გოგიტიძეებმა, გიორგაძემ, კომახიძემ, ცეცხლაძეებმა, შაქარაშვილებმა, წილოსანმა, ბერიძემ და შარაშიძემ რუსეთის მთავრობას სთხოვეს მათი პრივილეგირებულ წოდებაში ჩარიცხვა, როგორც გურიის ძველი აზნაურებისა (ზოგ მათგანს, მაგ., იაშვილებსა და ცეცხლაძეებს გურიელების მიერ მიცემული სათანადო სიგელებიც ჰქონდათ შემონახული). მათ განცხადებაში ნათქვამია, რომ ისინი არიან „თათრები“, ე. ი. მუსლიმანები. რუსულ თარგმანში ამის ნაცვლად „თურქი“ წერია.

როგორც ჩანს, ასეთ (რუსულ) დოკუმენტებს ეყრდნობოდა ცნობილი ავსტრიელი ენათმეცნიერი ჰუგო შუხართი, როცა მან მის მიერ შედგენილ კავკასიის ლინგვისტურ რუკაზე გურიის სამი სოფელი — აჭი, ნაცხავატევი და ქაქუთი თურქულენოვან სოფლებად აღნიშნა და რუკაზე დართულ განმარტებაში განაცხადა, რომ ქართული ენის არეალში ეს სოფლები თურქული ენის კუნძულს წარმოადგენენო.

ყოველივე ამას იმიტომ ვწერთ, რომ, სამწუხაროდ, ბევრს ახლაც სწორად არ ესმის, თუ რას ნიშნავს საისტორიო წყაროებში მოხსენებული „ქუთაისელი თათარი“, „ახალციხელი თათრები“, „ქობულეთელი თათარი“ და სხვა.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ამ გარემოებას წარსულში მრავალი საძწუხარო გაუგებრობა მოჰყვა, რამაც ქართველობას მძიმე დანაკლისი მიაყენა.

თურქეთის ხელში მყოფი ქვემო გურიის მოსახლეობა არასოდეს არ გამხდარა თურქთა მორჩილი მსახური. თურქებმა ამ მხარეში დამკვიდრება ვერ შეძლეს და ვერც თავისი წესები გაავრცელეს, თუმცა ამას ძალიან ცდილობდნენ.

სულთნის ხელისუფლების ბრძოლა ქვემო გურიის დამორჩილებაგადაგვარებისათვის განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ამ დროიდან თურქეთის მთავრობამ ქვემო გურიაში ისლამის პროპაგანდა გააძლიერა. ადგილობრივი ხელისუფლება ისლამის გავრცელებას სულთნისადმი ერთგულების დადასტურებად მიიჩნევდა და ამის გამო მოსახლეობა ძალაუნებურად გამაჰმადიანდა. რუსეთის საზღვართან მდებარე ჩოლოქისპირა სოფლების მცხოვრებლები XIX ს. 30—40-იან წლებში გამაჰმადიანდნენ. ამის შემდეგ იყო, რომ მომდევნო წლებში დაანგრიეს მანამდე ხელშეუხლებელი ეკლესიები, თუმცა მათი ერთი ნაწილი

რუსეთთან შეერთების დროსაც დაუნგრეველი იყო. ამ მხარეში არსებული ვითარებისათვის დამახასიათებელია ის ფაქტი, რომ 1878 წელს ქობულეთის თემში მხოლოდ ერთი მეჩეთი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუხედავად ისლამის გავრცელებისა (რასაც ზედაპირული, ფორმალური სახე ჰქონდა), ქვემო გურიის მოსახლეობამ შეურყვნელად დაიცვა ეროვნული სახე — დედაენა და ძველი ქართული წეს-ჩვეულებანი. თურქული ენა აქ მხოლოდ ოფიციალურ, სტამბოლის მთავრობასთან ურთიერთობის ენად დარჩა და მოსახლეობის ფართო ფენებისათვის უცნობი იყო. მოსახლეობის უმეტესობა ზოგიერთ ქრისტიანულ წესსაც იცავდა: ეკლესიაში ან მის ნანგრევებზე სანთლებს ანთებდა, აღდგომას, შობას, ფერისცვალებას და სხვა დღესასწაულებს აღნიშნავდა, გურიის ქრისტიანულ ნაწილში გახიზნული თავისი სალოცავი ხატების თაყვანისსაცემად დადიოდა.

როცა 1878 წელს ქვემო გურია თურქეთის ბატონობისაგან გათავისუფლდა, ამ მხარეში შესული უცხოელი და რუსი კორესპონდენტები თუ სხვა პირები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ თურქთა ასწლოვან ბატონობას ამ მხარის მოსახლეობის ეროვნული იერისათვის ვერაფერი დაეკლო. მაშინდელ პრესაში აღწერილია ქვემო გურიის სოფლები, საცხოვრებელი ნაგებობანი (ე. წ. სალაროიანი სახლები დიდი ეზოებით, სწორედ ისე, როგორც ეს ოზურგეთის მაზრაში იყო), ბეურნეობის დარგები და ა. შ.; აღნიშნულია, რომ ქობულეთელები მღერიან ძველ ქართულ სიმღერებს, რომლებშიაც ასახულია ახალი თემებიც: მღერიან დაკარგულ სარწმუნოებასა და ქრისტიან ძმებზე.

უცხოელები, საერთოდ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ გურულთა მუსიკალობას და მათი სიმღერების ორიგინალურ მრავალხმოვანებას, განსაკუთრებით, კრიმანჭულს (46. 436) და, ამის გამო, მათ ტიროლელებს ადარებდნენ (ნ. ოკოლნიჩი). ალ. დიუმა წერდა, რომ „გურულები კავკასიის ტიროლელები არიანო“.

ქობულეთში ადრე გავრცელებული ძველი ქართული გალობა ქრისტიანობასთან ერთად გადავარდა, მაგრამ ხალხური სიმღერები უცვლელად იყო შემონახული და ეროვნული მუსიკალური შემოქმედებაც გრძელდებოდა — ახალ-ახალი სიმღერები იქმნებოდა: „ტიფლისკი ვესტნიკის“ კორესპონდენტი კოვალსკი, რომელიც 1877 წელს ქობულეთში იმყოფებოდა, აღნიშნავდა, რომ თურქთა ბატონობამ ამ მხარეს ეროვნული იერი ვერ შეუცვალა და ძველი ქართული ჩვეულებები, გადმოცემები, სიმღერები და ენა თურქეთის ქართველებში უფრო სრული სიწმინდითაა დაცული, ვიდრე საქართველოს სხვა მხა-

რეებშიო. ქობულეთის სიმღერებით აღტაცებული კოვალსკი ამ მხარეს გურიის ტიროლს უწოდებდა[3].

ქვემო გურიის მოსახლეობა მოხერხებულად სარგებლობდა თავისი მხარის საზღვრისპირა მდებარეობით და თურქეთის მთავრობას ხშირად ეურჩებოდა, ზოგჯერ ადგილობრივი ბეგების ხელისუფლებასაც არაფრად აგდებდა. რუსეთთან დაკავშირება რომ არ ეცადათ, თურქეთის მთავრობა მაჰმადიან გურულებს თავიდანვე სხვადასხვა შეღავათებს აძლევდა, მაგრამ ამ მხარეში ანტიოსმალური გამოსვლები ერთმანეთს მოსდევდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთის ვერაგული ასიმილატორული პოლიტიკა („ქართულ სხეულში თურქული სული") მთლად უშედეგოდ არ რჩებოდა: სულთნის სამსახურში შესული ზოგი სულმოკლე პირი დაწინაურების მიზნით ფანატიკოსი მუსლიმანი ხდებოდა, მოთარეშეთა რაზმს ადგენდა, ქრისტიან თანამოძმეებს თავს ესხმოდა, ტყვეებსა და პირუტყვს იტაცებდა. მხარეში თანდათან ფეხს იკიდებდა სისხლის აღება და ზოგიერთი სხვა მავნე ჩვეულება.

ასეთი რთული ვითარება იყო ქვემო გურიაში თურქთა გაბატონების შემდეგ. გურიის სამთავროს რუსეთთან დაახლოებამ ეს ვითარება კიდევ უფრო გაართულა: თურქეთის მთავრობამ ქვემო გურიის გათურქებისათვის ბრძოლა გააძლიერა, ამან კი, თავის მხრივ, კიდევ უფრო განამტკიცა გურიის სამთავროს რუსული ორიენტაცია.

---

[3] აქ ჩვენ საშუალება არა გვაქვს (ეს ჩვენს თემასაც შორდება) ვრცლად შევეხოთ თურქეთის ბატონობის დროს ქვემო გურიის მოსახლეობის ყოფას. დ. ბაქრაძის, ა. ფრენკელის, პ. უმიკაშვილის, ნ. დერქავინისა და სხვათა წიგნებსა და სტატიებში, რომლებიც მრავლადაა XIX ს. 70—80-იანი წლების პრესაში, ამის შესახებ უამრავი ცნობაა. სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე საგანგებო შესწავლის საგნად არ გამხდარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი პირველი

გურიის სამთავრო რუსეთის იმპერიის ავტონომიური სამფლობელო*

აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის იმპერიის გუბერნიად გამოცხადების შემდეგ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების ბედი გადაწყვეტილი იყო. 1803 წლის თებერვალში ალექსანდრე I-მა საქართველოს მთავარმართებელს პავლე ციციანოვს გამოუგზავნა საიდუმლო გეგმა: О присоединении Имеретии с княжествами Дадиановским —Мингрелией и Гуриеловским, когда к тому удобный случай представится» [26. II, 34] რუსეთის სახელმწიფო დიპლომატია ერიდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოში აქტიური მოქმედებით არ გაეღიზიანებინა თურქეთი, რომელიც, ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ზავის შესაბამისად, ამ მხარეს თავისი გავლენის სფეროდ თვლიდა. სწორედ ამიტომ 1803 წ. 29 თებერვალს ციციანოვი სტამბოლში რუსეთის ელჩს იტალინსკის მიმართავდა, რომ მას დიპლომატიური გზით დაედგინა — როგორ შეხვდებოდა ბრწყინვალე პორტა რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს შეერთებას. ასევე სინჯავდა რუსეთი ნიადაგს ახალციხის საფაშოს, როგორც ძველი ქართული ტერიტორიის, დასაკავებლად [26. II. 34].

თურქეთის პოზიციები იმდროინდელ დასავლეთ საქართველოში შერყეული იყო თურქეთის ძლიერების შემცირების გამო. რუსეთის გეგმების განხორციელებას ამასთან ერთად ხელს უწყობდა დასავლეთ საქართველოში არსებული მდგომარეობა — სამეფო სამთავროთა შორის გაუთავებელი უთანხმოება, რომელიც ზოგჯერ შინაომში გადაიზრდებოდა. საშინაო არეულობა ხშირი იყო თვით სამთავროებშიაც. ასე იყო XVIII ს. მიწურულს გურიის სამთავროშიაც.

1792 წელს გარდაიცვალა გურიის მთავარი სვიმონ III გურიელი. ტახტის მემკვიდრე შამია იმ დროს 3 წლისა იყო. ამით ისარგებლა მისმა ბიძამ — ვახტანგმა და გურიელად დაჯდა. 1797 წელს ვახტანგი გადააყენა მისმა ძმამ — ქაიხოსრომ, რომელიც მთავრად არ დამჯდარა, და სვიმონის ქვრივთან—მარინასთან შეთანხმებით გურიას არა-

---

* მონოგრაფია ქვეყნდება საკითხის ისტორიოგრაფიული მიმოხილვის გარეშე. პირველწყაროებს გარდა ძირითადად გათვალისწინებულია ა. ფირცხალაიშვილის, ნ. მახარაძის და მ. დუმბაძის ნაშრომები.

სრულწლოვანი მამიას მეურვის, სამთავროს რეგენტის უფლებით განაგებდა. ქაიხოსრო ადრე ბერად იყო შემდგარი და გელათში საეპისკოპოსოდ — შემოქმედის ეპარქიის განსაგებლად ემზადებოდა. ამის გარდაცვალებისთანავე ქაიხოსრომ ბერობაზე ხელი აიღო, გურიაში დაბრუნდა და უწლოვანი ტახტის მემკვიდრის აღზრდას შეუდგა. ქაიხოსრო ადრე სოფ. უჩხობში ცხოვრობდა (აქ იყო მისი მდიდრულად მოწყობილი სასახლე, კარის ეკლესია, მარანი და სხვა ნაგებობანი). ახლა მან შემოქმედის ციხე გაამაგრა და საცხოვრებლად მის ერთ-ერთ კოშკში გადავიდა [26. VI_1, 668].

გადაყენებულმა ვახტანგმა 1797 წ. თებერვალში თავის ცოლის ძმას დიმიტრი ორბელიანს სთხოვა, ერეკლე მეორის ცოლთან, დარეჯანთან, ეშუამდგომლა, რომ დედოფალს იმერეთის მეფე სოლომონ II-ისათვის ეთხოვა ვახტანგს დახმარებოდა [17. III. 378]. ამ თხოვნამ უშედეგოდ ჩაიარა, ქაიხოსრო გურიის გამგებლად დარჩა. რაკი 1794 წლიდან შემოქმედის საეპისკოპოსო კათედრა თავისუფალი იყო, ქაიხოსრომ საშემოქმედლოს ტერიტორია (შემოქმედი, უჩხობი, გოგიეთი, ფატარი, წითელმთა, კარისყური, კიტოზეთი, გომი...) დაიკავა და აქაურ ყმა-მამულს დაეუფლა.

ქაიხოსრომ გელათში „იმ დროისათვის საუკეთესო განათლება მიიღო. ის მრავალ ენაზე ლაპარაკობდა და ლათინ და ბერძენ კლასიკოსებს დედანში კითხულობდა“ [52. II_4, 745]. თანამედროვეთა სიტყვით, მას „მრავალი კარგი ღირსება“ ახასიათებდა [26. IV. 279]. ავადმყოფი სვიმონ გურიელის მმართველობის ბოლო წლებში გურიის სამთავროში დიდი არეულობა იყო; გურიის მოსახლეობა ტყვის სყიდვით კინაღამ „აღიხოცა“, გადარჩენილთაგან ბევრი იმერეთსა და სამეგრელოში გარბოდა [3. 188]. ქაიხოსრომ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ენერგიული ზომები მიიღო. მისი ინიციატივით XVIII—XIX სს. მიჯნაზე მოწვეული იქნა გურიის სასულიერო და საერო ხელისუფალთა კრება იმერეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. მამია V გურიელის სახელით შედგენილ დოკუმენტში ნათქვამია: „გურიაში დიდათ ტყვის განსყიდვა იყო და შერმეთ ჩვენ ვინებეთ და იმერნი და გურიელნი სამღვდელონი და საერონი ერთად შეკრბით და კრება ვქენით და ტყვის სყიდვა გადავაგდეთ“ [65 .2. 5670. 142].

კრების დადგენილება ქაიხოსრომ გურიაში დიდი სისასტიკით გაატარა. ტყვის მსყიდველებს ქაიხოსროსა და ჯუმათელის სათანადო დადგენილების გამოცხადების შემდეგ საჯაროდ წვავდნენ [28. 349]. ქაიხოსრო ტყვის მსყიდველს, დიდგვაროვანი იყო იგი თუ მდაბიო, არ ინდობდა. თავად გიორგი ალექსანდრეს ძე მაჭუტაძეს, რომელიც ზემოთ ხსენებულ „კრებაში არ მოვიდა და კრებას უარყო და მტყვე

განსყიდა“, ქაიხოსრომ მთავრის სახელით ყმა და მამული ჩამოართვა და თავის სიძეს — სხვა მაჭუტაძეს — ალექსანდრე იოანეს ძეს გადასცა [66. 2. 6670 142].

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაიხოსრომ ბოლო მოუღო დიდგვაროვანთა და მოხელეთა თვითნებობას. ტახტის მემკვიდრის არასრულწლოვანებით გათამამებულ ფეოდალებს თავი დამოუკიდებლად მიაჩნდათ; მათ მიითვისეს მთავრის მამულების ნაწილი, ზოგი ციხეც და ისინი ტყვისმყიდველთა ბუნაგებად გადააქციეს [52. II$_4$. 746]. ასკანის ციხე დაისაკუთრა „მეციხვანემ“ აზნაურმა დავით ასათიანმა, ლანჩხუთის ციხე—ლანჩხუთის მოურავმა აზნაურმა ზუბაიდელ ჟორდანიამ. ორივე მთავარს ეურჩებოდა და ტყვეს ჰყიდდა. იმავე ხანებში ფეოდალებმა მიითვისეს ლეხაურის და ბაილეთის ციხეებიც [52. IV$_2$. 747].

ბაილეთისა და ლეხაურის ციხეები ქაიხოსრომ შედარებით ადვილად გამოიხსნა, დ. ასათიანისა და ზ. ჟორდანიას დამორჩილება კი ძნელი აღმოჩნდა. მათ ციხეები გაამაგრეს, შიგ თავიანთი ერთგული მეციხოვნეები შეიყვანეს, სურსათი მოიმარაგეს და მთავრის მორჩილებაზე უარი თქვეს. ასკანის ციხე თითქმის მიუდგომელი იყო. ციხეს საიდუმლო გვირაბი ჰქონდა, საიდანაც მის დამცველებს სურსათი და ტყვია წამალი შეჰქონდათ. ქაიხოსრომ რამდენიმეჯერ სცადა მორიგებით, სისხლის დაუღვრელად დაემორჩილებინა ასათიანი, მას კაცები მიუგზავნა, უვნებლობა აღუთქვა, სხვა ადგილას საუკეთესო მიწების მიცემას შეპირდა და დამორჩილება მოსთხოვა, მაგრამ ასათიანმა უარი შემოუთვალა.

მთავრის ჯარს ქაიხოსროს მეთაურობით ექვს კვირას ჰქონდა შემორტყმული ალყა ასკანის ციხეზე, მაგრამ მეციხოვნეები არ ნებდებოდნენ. მაშინ ქაიხოსროს დავალებით აზნაურმა ბეჟან ბერიძემ თავისი ნათესავის—ასათიანის ღალატი იკისრა. მან მოხერხებულად გამოიხმო ციხიდან ასათიანი, რომელიც მაშინვე მოკლეს ქაიხოსროს მოლაშქრეებმა. ამის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და მეციხოვნეებმა ციხე ქაიხოსროს ჩააბარეს. ასკანის ციხისთავობა ასათიანთა გვარს ჩამოერთვა (43).

1804 წელს ასკანის „მეციხვანობა“ უკვე აზნაურ სვიმონ თაყაიშვილს ეკავა [65. 2. 5670. 142]. ამის შემდეგ მალე აიღეს ლანჩხუთის ციხეც. ლანჩხუთის მოურავობა ქაიხოსრომ თავის სიძეს—ალექსანდრე მაჭუტაძეს უწყალობა. გურიის სამთავროში მშვიდობა დამყარდა. ასე შეეგება გურიის სამთავრო XIX საუკუნეს.

XIX ს. დასაწყისიდან საქართველოს ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთი დასავლეთ საქართველოს შეერთებას შეუდგა.

იმ დროს გურიის სამთავრო მუდმივ საფრთხეში იყო. თურქეთი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ რუსეთისთვის დაესწრო და გურია ჩაეყლაპა. შექმნილი ვითარების სიმძიმეს კარგად გრძნობდა ბაგრატიანი და უნარიანი ქაიხოსრო ბატონიშვილი. იგი ხედავდა, რომ სამთავრო გზათა გასაყარზე იდგა და არჩევანი უნდა გაეკეთებინა. მანაც ბარბაროსული ოსმალეთის ყმობას შედარებით უფრო წინწასულ, ერთმორწმუნე რუსეთთან დაახლოება ამჯობინა. ქაიხოსრო „რუსეთის დახმარებით ფიქრობდა ოსმალთა ძალადობის მოსპობას დასავლეთ საქართველოში, ოსმალეთის განდევნას საქართველოს შავი ზღვის ნაპირებიდან.

ამავე დროს ქაიხოსროს, რომელიც სოლომონ I-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკის მიმდევარი იყო, ღრმად სწამდა საშინაო დამოუკიდებლობის დაცვის აუცილებლობა, საქართველოს პოლიტიკური გამთლიანება. მასვე სწამდა, რომ საქართველოს საშინაო დამოუკიდებლობის შენარჩუნება შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ერთმორწმუნე ძლიერი რუსეთის მფარველობით და დახმარებით. ამ პოზიციებს ქაიხოსრო არ თმობდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგაც“ [46. 8].

ამკარად ტენდენციური და მცდარია რუსეთის იმპერიის ოფიციალური ისტორიოგრაფიის აზრი ქაიხოსროს თურქოფილობასა და რეაქციონერობაზე; რუს ოფიციალურ ისტორიკოსთაგან მხოლოდ პოტომ შეაფასა სწორად ქაიხოსრო, როგორც პოლიტიკოსი და მოღვაწე [47. 125].

ქაიხოსროს პოლიტიკური საქმიანობის გონივრულობა იქიდანაც ჩანს, რომ მან სამთავროს გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის ისე იბრძოლა, თურქეთის სიფხიზლე ისე მოადუნა, რომ მისი გამგებლობის დროს დიდხანს გურიის სამთავროსა და თურქეთს შორის რაიმე სერიოზული კონფლიქტი არ მომხდარა.

სამაგიეროდ, ქაიხოსროს შინაური მტერი არ ელეოდა. განსაკუთრებით აქტიურობდა მთავრად ნამყოფი ვახტანგ ბატონიშვილი. ვახტანგი თავისი მცირეწლოვანი ძმის—ლევანის მეურვე იყო. როცა ლევანი სრულწლოვანი გახდა, ვახტანგმა მას კუთვნილი ქონება არ დაანება. ლევანი ამის გამო ვახტანგს ებრძოდა. მაშინ ვახტანგმა შეაგულიახა ლევანის აზნაური ბერეჟიანი, რომელმაც თურქთა ხელქვეითი აჭარლები გადმოიყვანა და ლევანის მამული ააოხრა. მომხდურებმა ლევანის და თავად შალიკაშვილის 23 კაცი ტყვედ წაიყვანეს. ამის შემდეგ ვახტანგმა შეჰყარა „საჯავახული თემი“, ლევანს დაესხა და მამული სულ წაართვა [28. 327].

К 216.365

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის გაგებისთანავე ქაიხოსრომ წერილი გაუგზავნა ლევანს და შესთავაზა: ვახტანგს უმტრე, დამაჭერინე და ბაილეთის ციხეს მოგცემო (28. 325). ლევანმა ვახტანგი მიიპატიჟა, კაცო და ბეჟან ნაკაშიძეების დახმარებით შეიპყრო და ქაიხოსროს გაუგზავნა. ამის სამაგიეროდ ლევანმა ქაიხოსროსაგან ვახტანგის საბატონიშვილოს ნაწილი და „ოთხი ქესა* თეთრი“ მიიღო [63. Ad—1198].

ვახტანგის მხარდამჭერი სოლომონ II რომ არ გაენაწყენებინა, ქაიხოსრო მოხერხებულად მოიქცა: მან საქმე ისე მოაწყო, რომ ვახტანგის შეპყრობის მოთავედ ლევან ბატონიშვილი გამოჩნდა, ქაიხოსრომ თითქოს მოულოდნელად გაიგო ეს ამბავი და ვახტანგი ლევანისაგან გამოისყიდა [65. 1448. 9329]. ლევანმაც სიფრთხილე იხმარა და მაშინვე აცნობა იმერეთის მეფეს—ვახტანგი მისი ბოროტმოქმედების საზღვევინებლად დავაპატიმრეო.

სოლომონ II მაინც გამოესარჩლა ვახტანგ ბატონიშვილს. მეფის მოთხოვნით ქაიხოსრო იძულებული გახდა ვახტანგი გაეთავისუფლებინა. მაგრამ სამთავროში არ გააჩერა და ჩაქვის ბეგს გაუგზავნა. ვახტანგი მისმა მომხრეებმა ჩაქვიდან გააპარეს და აჭარაში გადაიყვანეს, საიდანაც ახალციხეს გადავიდა და ფაშას დახმარება სთხოვა. ეს 1803 წელს მოხდა [3. 86].

ქაიხოსრო ბატონიშვილმა ახალციხის ფაშა სელიმ ხიმშიაშვილი მოქრთამა და ვახტანგი დააპატიმრებინა. ვახტანგმა ციხიდან წერილი გაუგზავნა ციციანოვს, დახმარება სთხოვა და, სამაგიეროდ, გურიაში დაბრუნების შემდეგ, ერთგულება აღუთქვა [65. 1448. 10129]. ოთხი თვის შემდეგ, როცა პასუხი დაგვიანდა, ვახტანგი ახალციხელი მღვდლების დახმარებით ციხიდან გაიპარა, მაგრამ მალე შეიპყრეს და ისევ ციხეში ჩასვეს. მისი ხელშემწყობი მღვდლები სელიმ-ფაშამ ჩამოახრჩობინა.

1804 წლის დასაწყისში, ციციანოვისა და სოლომონ II-ის თხოვნით, სელიმმა გაათავისუფლა (ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა სელიმისთვის ვახტანგის სიძის, ქობულეთის გამგებელ სულეიმან-ფაშა თავდგირიძის მიერ გაგზავნილმა ფულმაც). ვახტანგი ჯერ თბილისში ციციანოვს ეახლა, შემდეგ კი იმერეთს გადავიდა და სოლომონ II-ს დახმარება სთხოვა. მეფის მოთხოვნით ქაიხოსრო იძულებული გახდა ვახტანგისათვის კვლავ საბატონიშვილო ყმა-მამული მიეცა.

---

* ქესა — თურქული ფულის საანგარიშო ერთეული იყო. ერთი ქესა 500 ყურუშს უდრიდა. XIX ს. დასაწყისისათვის ერთი ქესა, რუსულ ფულზე გადაყვანით, 216 ვერცხლის მანეთს უდრიდა [26. IV, 439].

იმ ხანებში დასავლეთ საქართველოში მეტად მნიშვნელოვანი ამბები ხდებოდა. რუსეთის ხელისუფლება გეგმაზომიერად ანხორციელებდა რუსეთთან მთელი საქართველოს შეერთების პოლიტიკას. ამ პოლიტიკის წარმატებას აქ ხელშემწყობი პირობები ხვდებოდა: მეფე და მთავრები შეკავშირების, სოლიდარობისა და რუსეთთან ერთპირად მოლაპარაკების ნაცვლად (რასაც რუსეთთან კავშირის უკეთესი პირობები მოჰყვებოდა) ერთმანეთს მტრობდნენ: მეფე მთავრებს მორჩილებას სთხოვდა, მთავრები მეფისაგან დამოუკიდებლობისათვის იბძოდნენ და ამავე დროს ერთმანეთს საზღვრებზე ედავებოდნენ. ამით ძშვენივრად ისარგებლა ციციანოვმა. მან ჯერ სამეგრელო გამოთიშა სხვებს, შემდეგ კი გურია გადაჰკიდა იმერეთს.

1803 წ. 4 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით რუსეთმა ოდიშის სამთავრო იმერეთის მეფისგან დამოუკიდებლად ცნო და თავის მფარველობაში მიიღო. ავტონომიური უფლებების შენარჩუნებით რუსეთის მფარველობაში შესვლის წინააღმდეგი არც იმერეთის მეფე იყო, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდა, რომ რუსეთს სამეგრელოსა და გურიის სამთავროები მის (სოლომონ II-ის) ქვეშევრდომებად ეცნო.

სოლომონმა რუსეთს განუცხადა, რომ „გურია დამოკიდებულ არს იმერეთსა ზედა“ [116. 204]. ეს ცარიზმმა გურიის სამთავროს შემოერთების საბაბად გამოიყენა. ამას დაერთო ვახტანგ გურიელის წერილიც. ვახტანგ გურიელმა, რომელიც მთავრის ტახტისათვის იბრძოდა, 1804 წ. 3 იანვარს რუსეთის მფარველობაში მიღება ითხოვა და ციციანოვს მისწერა შავი ზღვის ნავსადგურების (სეფა და გრიგოლეთი) მფლობელი თავადი ნაკაშიძეები მე მემხრობიან და რუსეთი ამ ნავსადგურთა შეძენით დიდ სარგებლობას ნახავსო [26. II. 540 და 542]. ნაკაშიძეები იმ დროს მართლაც ვახტანგის მხარეზე იყვნენ, რადგან იმ ხანებში ქაიხოსრო ცოლს—ნაკაშიძის ქალს გაეყარა და გურიის ერისთავთა საჯავახოს შტოს დაუმოყვრდა,—ქაიხოსრო ერისთავის ასული ელისაბედი შეირთო, რომ ამით ვახტანგთან მიწებზე მოდავე ერისთავებს დაკავშირებოდა (ადრე ვახტანგმა წერილით სთხოვა როსტომ და ქაიხოსრო ერისთავებს, რომ ისინი ქაიხოსროს არ დამოყვრებოდნენ, ერისთავები ჯერ შეუთანხმდნენ ვახტანგს, მაგრამ შემდეგ ქაიხოსროსთან დაახლოება ამჯობინეს).

მართალია, ვახტანგ ბატონიშვილსა და თავად ნაკაშიძეებს, როგორც გურიელის ხელქვეითებს, უფლება არ ჰქონდათ საკუთარი სახელით სხვა სახელმწიფოსთან ურთიერთობა ჰქონოდათ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება, რაკი მისთვის ხელსაყრელი იყო, ამას ყურადღებას არ აქცევდა: ციციანოვმა ვახტანგისა და ნაკაშიძეების წერი-

ლები უკან არ დააბრუნა. ასეთ ვითარებაში ქაიხოსრო ბატონიშვილმა ამჯობინა მთავრის სახელით ოფიციალურად ეთხოვა გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღება. ციციანოვმა ეს მიმართვა თავისებურად გამოიყენა და 1804 წლის 25 აპრილს ელაზნაურის მინდორზე (იმერეთში) იმერეთის სამეფოსთან დადებული ხელშეკრულებით გურიის სამთავროც, როგორც იმერეთის ნაწილი, რუსეთთან შეერთებულად გამოაცხადა.

ციციანოვმა განაცხადა — რაკი გურია იმერეთის სამეფოს ნაწილია, მასთან ცალკე ხელშეკრულების დადება საჭირო აღარაა [12. 56]. იმერეთის მეფის „სათხოვარი პუნქტები", რომელშიაც გურიის შესახებ ცალკე პუნქტი იყო, ალექსანდრე I-მა დაამტკიცა. 1804 წლის 29 მაისს ციციანოვმა მამია გურიელს ოფიციალურად აცნობა გურიის, როგორც იმერეთის სამეფოს ნაწილის, რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა და ეს ამბავი მიულოცა [64. A —,1542, №1; 63. Ad — 2254].

1804 წლის 4 ივნისს ხელმოწერილ რუსეთ-იმერეთის ტრაქტატითაც გურია, იმერეთის სამეფოს ნაწილად ჩათვლილი, რუსეთის ქვეშევრდომად გამოცხადდა. ამის შესახებ ციციანოვმა მაშინვე აცნობა ახალციხის ფაშას სელიმ ხიმშიაშვილს, როგორც ამიერკავკასიაში თურქეთის ინტერესების წარმომადგენელ პირს [26. 11. 300].

ქაიხოსრო ბატონიშვილი რუსეთთან გურიის სამთავროს იმერეთის სამეფოს ნაწილად შეერთების მომხრე არ იყო, მაგრამ ამჯობინა ამჯერად რუსეთთან ურთიერთობა არ გაემწვავებინა და 1804 წ. 30 ივნისს იმერეთში რუსეთის წარმომადგენელ ლიტვინოვთან თავადი ვახტანგ ერისთავი გაგზავნა ციციანოვის სახელზე მადლობის წერილით. გურიის გამგებელი ითხოვდა, რომ რუსეთის სარდლობას გურიაში ვინმე გაეგზავნა ამ მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების შესასწავლად, რათა ეს სიმდიდრეები რუსეთის მთავრობას გამოეყენებინა [26. II. 394].

1804 წ. 18 ივნისს ქაიხოსრომ აცნობა ლიტვინოვს, რომ ახალციხისა და ერზერუმის ფაშებმა, აგრეთვე აფხაზეთის მთავარმა ქელეშბეგ შარვაშიძემ მას (ქაიხოსროს) ელჩები გამოუგზავნეს და მოსთხოვეს — გურიაში რუსები არ შეეშვა [26. II. 394].

იმ ფაქტს, რომ 1804 წელს გურიის სამთავროს რუსეთთან შეერთება ცალკე აქტით და გურიის გამგებლებთან შეთანხმებით არ გაფორმებულა, მომდევნო ხანებში მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. გურიელი თავს ვალდებულად არ თვლიდა ეს პუნქტი ეცნო, რადგანაც გურიელის განცხადებით იმერეთის სამეფოზე მისი დამოკიდებულება ძალადობაზე იყო დამყარებული. აქედან გამომდინარე, ის დაასკვნი-

და, რომ რუსეთს გურიაზე უფლების დამადასტურებელი იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა.

ქაიხოსროს სამადლობელი წერილის მიღების შემდეგ, რუსეთის სარდლობამ გურიის საშინაო საქმეებში ქაიხოსროსა და მამია გურიელის მხარე დაიკავა. ამის გამო ვახტანგ და ლევან ბატონიშვილები ცარიზმის ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლ სოლომონ II-ს დაუკავშირდნენ და მას თურქეთთან ურთიერთობაში ხელს უწყობდნენ. მთავრისა და ქაიხოსროს მოწინააღმდეგეთა შორის იყო იმ დროს მაჭუტაძეთა ერთი ნაწილიც. ქაიხოსრო ცდილობდა ბოლო მოეღო ამ ჯგუფისთვის და, როცა ხელთ იგდო ლევან ბატონიშვილის მიერ იმერეთის მეფისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც იმერეთის მეფის თურქეთთან ფარულ ურთიერთობას ადასტურებდა, მაშინვე ლიტვინოვის მეშვეობით ციციანოვს გაუგზავნა და მისი მადლობა დაიმსახურა [63. Ad—1542ა—, №2; Ad — 2255].

ქაიხოსროს მოწინააღმდეგე ბატონიშვილებმა დახმარება სთხოვეს ახალციხის ფაშას. სელიმ ხიმშიაშვილმა გურიაში შემოჭრისათვის მზადება დაიწყო. ამის გაგონებისთანავე, 1804 წ. 12 ნოემბერს ციციანოვმა გააფრთხილა სელიმი, რომ მას ამ განზრახვაზე ხელი აეღო და მის ხელქვეითთათვის გურიიდან ტყვეების გატაცება აეკრძალა; წინააღმდეგ შემთხვევაში მე ამის შესახებ კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩს ვაცნობებ, იგი სულთანს მოახსენებს და დაუსჯელი არ დარჩებიო, — აფრთხილებდა სელიმს მთავარმართებელი [26. II. 900].

ახალციხის ფაშას ამიერკავკასიაში თურქეთის პოლიტიკური ინტერესების დაცვა ევალებოდა და მისი ანტირუსული კურსი სწორედ ამ ფუნქციიდან გამომდინარეობდა. ფაშა ხედავდა, საით უმიზნებდა რუსეთი—უკვე 1804 წელს ციციანოვი თურქეთისათვის გურიის სამთავროს ძველი ტერიტორიის—ქვემო გურიის წასართმევად ემზადებოდა.

1804 წ. 13 თებერვალს ციციანოვი სწერდა სტამბოლში რუსეთის ელჩს იტალინსკის, ეზრუნა იმაზე, რომ რუსეთს გადასცემოდა „გურიის სანაპიროზე მდებარე ნავსადგური ბათუმი“ [26. 11. 466]. 25 აპრილს ციციანოვმა კვლავ მისწერა იტალინსკის—რადგან გურია რუსეთის ქვეშევრდომობაში შევიდა და ბათუმი გურიის ნაწილია, იგი რუსეთს უნდა გადაეცესო [26. II. 471].

ამასთან დაკავშირებით ციციანოვმა 1804 წ. 30 სექტემბერს დაავალა ლიტვინოვს: ა. ჩარტორიისკი მთხოვს და სასწრაფოდ მომაწოდე ცნობა, გურიამ ბათუმი როდის დაკარგაო [26. 11. 474]. ლიტვინოვი გურიაში გაემგზავრა და სამთავრო სახლის წევრებს გურიის ისტორიული საზღვრების შესახებ ცნობები მოსთხოვა. ქაიხოსრომ და

ᲫᲐᲫᲘᲐ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲫᲐ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐᲝ „ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐᲡᲐ ᲨᲘᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲐ ᲬᲘᲒᲜᲘᲡᲐᲡᲐ“ (ᲔᲗ. ᲘᲗ. „ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ“.—ᲥᲐᲠᲗ. ᲩᲐᲠᲗ.) ᲓᲐ ᲠᲝᲛ „ᲙᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘ, ᲑᲐᲗᲝᲛᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲓᲐ ᲚᲘᲛᲔᲜᲐᲘ[1] ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲩᲐᲥᲕᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚ ᲟᲐᲛᲡ ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲡ,—ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲡ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲐᲠᲘ ᲐᲠᲐ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲟᲐᲛᲘ ᲔᲡ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲡ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲡᲬᲔᲠᲘᲐ, ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲛᲘᲡ ᲩᲣᲦᲜᲘᲡᲐ. ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲩᲣᲦᲜᲘ[2] ᲪᲘᲮᲘᲡᲫᲘᲠᲘᲡ ᲐᲥᲕᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ, ᲮᲘᲜᲝ, ᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲐ ᲩᲣᲦᲜᲡ[3] ᲓᲐᲐᲙᲚᲓᲐ, ᲐᲠᲐ ᲗᲣ ᲮᲝᲜᲗᲥᲠᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲣᲫᲚᲣᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲝᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲔᲫᲚᲝ, ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲫᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘᲪ ᲫᲐᲚᲐᲡ ᲒᲕᲐᲢᲐᲜᲓᲜᲔᲜ, ᲮᲐᲚᲮᲘᲪ ᲣᲡᲯᲣᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲓᲠᲙᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲤᲐᲨᲐᲡ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲔᲗᲘ ᲑᲔᲒᲘ ᲓᲐᲘᲡᲕᲔᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲐᲓ[4], ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲐᲦᲐᲨᲔᲜᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲙᲘᲜᲪᲢᲠᲘᲡᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲨᲘ, ᲚᲘᲛᲔᲜᲐᲪ ᲘᲥ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲣᲠᲘᲔᲚᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲟᲐᲛᲨᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲔᲑᲡ ᲘᲥ ᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲔᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲒᲒᲔᲙᲚᲓᲐ, ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲐᲠᲘᲡ“ [26. II. 539][5].

ᲫᲐᲫᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲘᲮᲝᲡᲠᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲣᲠᲘᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲗᲜᲘᲡᲒᲐᲜ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ“ (ᲔᲗ. ᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲐ) ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲒᲣᲠᲘᲐ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲮᲐᲠᲙᲡ ᲣᲮᲓᲘᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ ᲠᲝᲪᲐ ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ I-ᲘᲡ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ (1770) Წ.) „ᲛᲐᲡ ᲛᲔᲠᲛᲔᲗ ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲡ ᲒᲣᲠᲘᲘᲓᲐᲛ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲛᲘᲡᲪᲔᲛᲘᲐ“ [26. II . 539][6].

ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲪ; ᲘᲒᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲓᲔᲡᲚᲐᲪ ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲝᲓᲐ ᲐᲭᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲭᲐᲜᲔᲗᲘᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡᲔᲜᲘ ᲒᲣᲠᲘᲐ ᲐᲠᲐᲐ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲒᲣᲠᲘᲐᲡ, „ᲮᲘᲜᲝ ᲓᲐ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲝᲪᲓᲐᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ, ᲩᲐᲥᲕᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲝᲛᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ, ᲝᲗᲮᲛᲝᲪᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐᲝ,“ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲓᲐ ᲚᲔᲕᲐᲜᲘ [26. 11. 544]. ᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲖᲣᲡᲢᲘᲐ.

ᲪᲘᲪᲘᲐᲜᲝᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲛᲝ ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲐᲡᲬᲠᲝ (ᲘᲒᲘ 1806 Წ. ᲛᲝᲙᲚᲔᲡ) ᲓᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ, ᲐᲡᲔᲕᲔ

---

[1] ᲚᲘᲛᲔᲜᲐ — ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ (ᲑᲔᲠᲫᲜ.),

[2] ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘᲨᲘ ᲑᲐᲗᲝᲛᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ 1703 ᲬᲔᲚᲡ, ᲩᲐᲥᲕᲘ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲒᲕᲘᲐᲜ.

[3] ᲔᲗ. ᲘᲗ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘ V-Ს (1776—1788 ᲬᲬ.).

[4] ᲘᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲔᲑᲐ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲔ ᲛᲐᲛᲣᲙᲐᲡ ᲫᲔ ᲗᲐᲕᲓᲒᲘᲠᲘᲫᲔ, ᲛᲐᲰᲛᲐᲓᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲣᲚᲔᲘᲛᲐᲜᲘ.

[5] ᲔᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘ ᲐᲠᲐᲖᲣᲡᲢᲘᲐ; ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲛᲐ 1770-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲕᲔᲡ. „ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲔᲚᲘ“ (ᲔᲗ. ᲘᲗ. 1798 Წ.) ᲐᲚᲑᲐᲗ ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲢᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲠᲘᲦᲘᲐ.

[6] ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲛ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲡ ᲮᲐᲠᲙᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲥᲣᲩᲣᲙ-ᲙᲐᲘᲜᲐᲠᲯᲘᲡ ᲖᲐᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, 1774 ᲬᲔᲚᲡ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲕᲔ ᲖᲐᲕᲘᲗ ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨᲔᲕᲠᲓᲝᲛᲐᲓ ᲪᲜᲝ.

უშედეგოდ, კვლავ დაისვა რუსეთ-თურქეთის 1806—1812 წწ. ომის დროს.

ლევან ბატონიშვილის იმერეთის მეფისადმი მიწერილმა ზემოთ ნახსენები წერილი ქაიხოსრო ბატონიშვილმა საბაბად გამოიყენა და ლევანს დევნა დაუწყო. ლევანი დახმარების სათხოვნელად იმერეთში რუსეთის ჯარის სარდალ გენერალ რიკგოფთან წავიდა. ამით ისარგებლა ქაიხოსრომ, ფოთის მუსელიმს ზარბაზანი და რაზმი გამოართვა და ლევანის მამული დაიკავა [26. II. 544—545]. გურიაში კვლავ არეულობა დაიწყო. საქმეში ჩაერია სოლომონ II-ც 1805 წ. აპრილში მეფე ჯარით საჯავახოში მივიდა და ქაიხოსრო იძულებული გახდა ლევანისათვის მამული დაებრუნებინა. სოლომონი უკან გაბრუნდა.

იმ ხანებში რუსეთის ხელისუფლება დასავლეთ საქართველოში ფართო ეკონომიკურ დაზვერვებს აწარმოებდა. 1805 წ. მარტსა და აპრილში საქართველოს სამთო ექსპედიციის („გეოლოგიური სამმართველოს") უფროსის მუსინ-პუშკინის დავალებით დასავლეთ საქართველოში გაიგზავნა რუსეთში მომუშავე ინგლისელი ინჟინერ-მექანიკოსი მაქსვინი ექვსი სამთო ოსტატის, ერთი ბერძენი ოსტატის, სამთო კორპუსის ერთი სტუდენტ-პრაქტიკანტისა და 16 კაზაკის (დაცვის) თანხლებით. გენერალმა ლიტვინოვმა ქაიხოსრო ბატონიშვილს ამ ექსპედიციის გურიაში შეშვება სთხოვა და თანხმობა მიიღო. ექსპედიციამ გურიაში ინახულა გორისფერდის, კიტოზეთის[7] მადნის საძიებო სამუშაოების ძველი ნაშთები (საცდელი შტოლნები) და ასკანის (ოქროსქედის) სპილენძის საბადოები, მადნების ნიმუშები შეაგროვა და სამეგრელოში გადავიდა [31. 80—83—85; 41. I. 211 და 249]. იმავე ხანებში გურიაში გაგზავნილი იქნა ოფიცერი ლაშქარევი, რომელსაც ნავმისადგომი ადგილების დათვალიერება ევალებოდა. მან ინახულა გრიგოლეთი, რომელიც მაშინ თავად ნაკაშიძეს ეკუთვნოდა. რუსეთის სარდლობას აინტერესებდა გაძოდგებოდა თუ არა ეს ადგილი გემების საზამთრო სადგომად. ლაშქარევმა ამაზე უარყოფითი დასკვნა წარადგინა.

ქაიხოსრო ბატონიშვილის მტკიცე ხელი, წესრიგი, რომელიც მან გურიაში დააყარა და ავტორიტეტი, რომელიც მას ჰქონდა, სხვა ბა-

---

[7] სოფ. კიტოზეთი იხსენიება დუბროვინისა და პოტოს შრომებში, აღნიშნულია კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის 1842 წ. რუკაზე. 1833 წ. ამ სოფელში იყო 50 კომლი, წმ. გიორგის ხის ეკლესია, ორი მღვდელი (გოლიაძე და ხუციშვილი) და ერთი დიაკვანი (ღლონტი). კიტოზეთი, რომელიც ახლა აღარ არსებობს ,მდებარეობდა სოფ. კარისყურის მიდამოებში (სცსა, ფ. 488, ს. 1851, ფურც. 128). კიტოზეთი იხსენიება სხვა დოკუმენტებშიაც.

ი. ნორდმანის მოწმობით 1835 წელს სოფელი კიტოზეთი შემოქმედის სამოურავოში შედიოდა [46. 435].

ტონიშვილების შურს იწვევდა. ბატონიშვილებმა დაიწყეს ბრძოლა გურიის გასაყოფად. 1804 წელს, როცა ქაიხოსრო ლევანს ებრძოდა, ლიტვინოვმა ქაიხოსრო ძმასთან შესარიგებლად მიიწვია მარტვილში. სოლომონ II-მ ქაიხოსრო წერილით გააფრთხილა, რუსებს არ ენდოო, ქაიხოსრომაც ლიტვინოვს სამეგრელოში წასვლაზე უარი შეუთვალა და გურიაში მიიწვია. ლიტვინოვი და ბატონიშვილები ერთმანეთს რიონის სამხრეთით, გურიის ტერიტორიაზე შეხვდნენ [26. II. 544—545]. ეს შეხვედრა ლიტვინოვმა მოხერხებულად გამოიყენა გურიის სამთავროს შინაგანი ერთიანობის დასასუსტებლად. იმის ნაცვლად, რომ მხარი დაეჭირა რუსეთის ხელდებული მთავრისათვის, ლიტვინოვმა ცბიერად ილაპარაკა გურიაში მშვიდობის აღდგენის საჭიროებაზე და შემდეგ ბატონიშვილებს ურჩია, რომ მათ სამთავროს ტერიტორია, ციხეებსა და მონასტრებს გარდა, ერთმანეთს შორის გაეყოთ; მთავარი ამ გაყოფის ერთ-ერთი მონაწილე უნდა ყოფილიყო. ბატონიშვილებმა ციხე-მონასტრების გაყოფაც მოითხოვეს. შეღგენილი იქნა წინასწარი შეთანხმება გურიის გაყოფის შესახებ და გადაწყდა, რომ მედიატორებად სამეგრელოს წარჩინებულები და ჭყონდიდელი მოეწვიათ. ბატონიშვილებმა განაცხადეს—გურიაში ჩამოვარდნილი შფოთის მიზეზი იმერეთის მეფეაო და ერთხმად უარყვეს გაყრის აქტზე იმერეთის წარმომადგენელთა დასწრება. ბატონიშვილებმა პირობა დადეს, რომ გაყრამდე ერთმანეთისთვის არ ემტროთ [26. II. 545].

რაკი მაშინ სხვა გამოსავალი არ ჩანდა, ქაიხოსრო ბატონიშვილი იძულებული გახდა გურიის საუფლისწულოებად დაყოფაზე დათანხმებულიყო. ქაიხოსრო დათანხმდა იმ პირობით, რომ გაყრის საქმე რუსეთის წარმომადგენელს მინდობოდა, ხოლო გურიის გამგებლობა მამია გურიელს უნდა ეკისრა. ამასთანავე: 1. რუსეთის ჯარს გურია თურქთა შემოსევისაგან უნდა დაეცვა, 2. ქაიხოსროს უნდა მიეღო გარანტია, რომ ბატონიშვილები მას არაფერს ავნებდნენ და 3. გაყრას რუსი პრისტავი უნდა დასწრებოდა. ქაიხოსრომ განაცხადა, რომ იგი დაკმაყოფილდება იმ საბატონიშვილოთი, რომელსაც მას მამია გურული გამოუყოფდა [26 II. 546].

მოლაპარაკების დამთავრებისთანავე გაჩაღდა გაყრის მოსამზადებელი მუშაობა; შეადგინეს და რუსეთის ხელისუფლებას წარუდგინეს გურიელთა გენეალოგიური სია (XVIII ს. დასაწყისიდან) სათანადო განმარტებითი ბარათის დართვით.

მედიატორებად მოწვეული ჭყონდიდელი და სამეგრელოს სახლთუხუცესი ავადმყოფობის გამო დანიშნულ დროს გურიაში ვერ ჩამოვიდნენ. გაყრა გადაიდო.

იმ ხანებში გურია-იმერეთის ურთიერთობა კვლავ გართულდა. სოლომონ II გურიელს და დადიანს მეფის რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდა. გურიაში სოლომონს გავლენიანი მოწინააღმდეგეები ჰყავდა. მათ შორის მთავარი იყო მამია გურიელის დედა მარინა, სახლთუხუცეს ზურაბ წერეთლის და, რომელიც თავისი ძმის, რუსეთის მეფის ფარული აგენტის, ჩაგონებით ყოველნაირად ებრძოდა სოლომონის გავლენას გურიაში და მეფის ყოველ ნაბიჯს რუსეთის სარდლობას ატყობინებდა.

1805 წ. დასაწყისში სოლომონ II ჯარით საჯავახოსაკენ დაიძრა. ქუთათელმა და გენათელმა მეფის დავალებით ქაიხოსრო ბატონიშვილს სთხოვეს მოსალაპარაკებლად მეფესთან გამოცხადებულიყო. ქაიხოსრომ იცოდა, რომ ამ შეხვედრას რუსეთის სარდლობა ეჭვით შეხედავდა და მეფის მოთხოვნა ლიტვინოვს აცნობა. ლიტვინოვმა ქაიხოსროს მეფესთან შეხვედრა ურჩია, რომ სოლომონის ზრახვები გაეგო, მაგრამ შეხვედრა არ შედგა, რადგანაც რუსეთის სარდლობამ მეფეს ჯარის შეყრის საბაბის განმარტება მოსთხოვა და მეფემაც ლაშქრობა მოშალა [26. II. 427].

მიუხედავად ამისა, სოლომონ II ყოველთვის ცდილობდა რუსეთის მიერ გურიის სამთავროს იმერეთის ნაწილად გამოცხადება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. 1806 წლის ივნისში მან სამხედრო ძალის მუქარით აიძულა ქაიხოსრო ბატონიშვილი, რომ მას იმერეთის მეფის ერთგულების ფიცი მიეღო. 10 ივნისს შედგენილი ფიცის წიგნით ქაიხოსრო მეფეს აღუთქვამდა: „ვიყვნეთ საუკუნო ყმა-მონებასა შინა უმაღლესისა მეფობისა თქვენისასა, შეკრულ ერთგულებითა და მორჩილებითა, ვიდრე უკანასკნელად სისხლთა დათხევამდე“ [63. Hd—13914].

ასევე მიდიოდა გურიის სამთავროს საქმეები, როცა 1806 წ. 18 (30) დეკემბერს თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. ომის მთავარი ფრონტი დუნაისპირეთში იყო, მაგრამ ამიერკავკასიის ფრონტსაც რუსეთისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1807 წ. 7 იანვარს ალექსანდრე I-მა საქართველოს ახალ მთავარმართებელს — გუდოვიჩს უბრძანა, რომ თურქეთისათვის დაესწრო და შეტევაზე გადასულიყო.

რუსეთის მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ამიერკავკასის ფრონტზე ომის მიმდინარეობა დიდად იყო დამოკიდებული დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროთა პოზიციაზე და სათანადო ზომები მიიღო. რუსეთის სიფრთხილე უმიზეზო არ იყო. იმერეთის მეფე აშკარად ხედავდა, რომ მის ხელისუფლებას საფრთხე ელოდა და თურქებთან საიდუმლო ურთიერთობას არ წყვეტდა. სოლომონ II-ის გულის მოსაგებად გუდოვიჩმა 1807 წ. 16 ივნისს მას მისწერა, რომ რუ-

სეთი გურიას იმერეთის სამეფოს ნაწილად თვლიდა. ეს ძირითადად ვახტანგ ბატონიშვილის საქმიანობის შედეგი იყო.

ვახტანგ ბატონიშვილმა ჯერ კიდევ 1806 წლის ზაფხულში შეძლო თავისი საბატონიშვილო მამულის დაბრუნება. ვახტანგის თხოვნით იმერეთის მეფემ მას სვიმონ წერეთლის სარდლობით 500-კაციანი დამხმარე რაზმი გაუგზავნა. ეს ჯარი ივლისის შუა რიცხვებში საჯავახოშო იდგა და გურიის სამთავროში შესაჭრელად ემზადებოდა [26. II. 118—119]. ქაიხოსრო ბატონიშვილმა დახმარება სთხოვა იმერეთში რუსეთის ჯარის სარდალს, გენ. რიკგოფს. რიკგოფის მოთხოვნით სოლომონმა სექტემბრის დასაწყისში ჯარი უკან გაიწვია. მგრამ ამასობაში იმედმოცემულმა ვახტანგმა საჯუმათლო ყმა-მამულიც მიითვისა და ბაილეთის ციხეც ხელში ჩაიგდო. ნაკაშიძეები ვახტანგს არ დამორჩილდნენ და მან მხოლოდ ლანჩხუთისა და ჩოჩხათის სამოურავოები დაიკავა [62. 209]. რაკი საბატონიშვილო დაიკავა, ახლა მისი შენარჩუნება იყო საჭირო და ვახტანგმა გუდოვიჩს სთხოვა, რომ იგი რუსეთის მფარველობაში მიეღო. გუდოვიჩმა რაკი დაინახა, რომ გურიის სამთავროში მტკიცე ხელისუფლება აღარ არსებობდა, 1807 წ. 19 თებერვალს რიკგოფს მითითება მისცა, რომ პირველი შესაძლებლობისთანავე გურია დაეკავებინა [26. III. 132].

გენ. რიკგოფი ამიერკავკასიაში რუსეთის მოქმედი არმიის მარჯვენა ფრთის სარდალი იყო. თურქეთის ფრონტზე ბრძოლისას ზურგი დაცული რომ ჰქონოდა, მან პირველ მიზნად ფოთის ციხის აღება დაისახა, რომელიც იმ დროს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე თურქთა მთავარი დასაყრდენი იყო; იქ თურქებს 400 ჯარისკაცი ჰყავდათ 34 ზარბაზნით. ფოთის გარნიზონი რუსეთის გემებს საშუალებას არ აძლევდა, რომ რიონის შესართავით იმერეთსა და სამეგრელოში მყოფი რუსის ჯარისთვის სურსათი და იარაღი მიეწოდებინათ.

1807 წ. 9 მაისს რიკგოფი ჯარით მიადგა ფოთის ციხეს და მეციხოვნეებს დახებება მოსთხოვა. გარნიზონმა ამაზე უარით უპასუხა. მაშინ რუსეთის ჯარმა ფოთს ალყა შემოარტყა. ქაიხოსრო გურიელი შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა რუსეთის ჯარს. რიკგოფმა ეს მთავარმართებელს აცნობა. გუდოვიჩმა 1807 წ. 24 ივნისს წერილით ძალლობა გადაუხადა ქაიხოსროს და ჯილდოს შეჰპირდა [63. Ad—2255]. ამასობაში რიკგოფმა მიიღო ცნობა, რომ რუსეთის ჯარის მარცხენა ფრთის ავანგარდი ყარსთან მძიმედ დამარცხდა. ამ ცნობამ რიკგოფი აიძულა ფოთის ალყა მოეხსნა და ჯარით იმერეთს დაბრუნებულიყო [48. I, 312]. 1807 წ. ოქტომბერში გუდოვიჩმა თურქეთის სარდალ იუსუფ-ფაშასთან დროებითი ზავი დადო. კავკასიის ფრონტზე ბრძოლა 1808 წლამდე შეჩერდა. ამ ზავმა რუსეთის ჯარს შესვე-

ნებისა და ძალების თავმოყრის საშუალება მისცა. ეს შეცდომა იუსუფ-ფაშას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

ჯერ კიდევ ფოთის ალყის დროს 1807 წ. მარტში სოლომონ II-მ რუსეთის იმპერატორისადმი საგანგებო მიმართვაში რუსეთ-იმერეთის 1804 წლის ხელშეკრულების კანონიერება საეჭვოდ ჩათვალა (სოლომონს ამის საფუძველი ჰქონდა), რუსეთს ბრალად დასდო მისი (იმერეთის მეფის) უფლებების ხელყოფა და ამ ხელშეკრულების გადასინჯვა მოითხოვა. რუსეთის მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა. ამის შემდეგ იმერეთის მეფე აშკარა ურჩობის გზას დაადგა. ამის შედეგი იყო, რომ 1808 წლის 10 თებერვალს ალექსანდრე I-მა გუდოვიჩს უბრძანა იმერეთის სამეფო გაეუქმებინა, ხოლო მეფე და მისი ოჯახი რუსეთში გაეგზავნა [48. II. 493]. სოლომონმა, როგორც ჩანს, ეს გაიგო და რუსებს აღარ ენდობოდა, რუსეთის სარდალთან აღარ მიდიოდა.

ამ დროისაა იმერეთის სამეფოსა და გურიის სამთავროს ურთიერთობის ამსახველი ერთი საინტერესო დოკუმენტი. 1808 წ. 25 ივლისს მამია გურიელმა და ქაიხოსრო ბატონიშვილმა გამოაქვეყნეს გურიის ბაზრებზე გასაყიდი საქონლის სავალდებულო ნიხრი. ამ დოკუმენტის შესავალში აღნიშნულია, რომ ნიხრი წესდება იმერეთის მეფის ბრძანებით [28. 329—330].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგ ბატონიშვილი აშკარად დადგა რუსეთის მხარეზე; მალე ასევე მოიქცა დავით ბატონიშვილიც, რომელიც იმ დროს ჩოჩხათის სამოურაოსა, საჯუმათლო ყმა-მამულსა და გრიგოლეთს ფლობდა. ქაიხოსრომ სცადა დავითისათვის ამ მიწების ჩამორთმევა, მაგრამ ვერ შეძლო. დავით ბატონიშვილის დასასჯელად სოლომონ II-მ 1808 წ. აპრილის ბოლოს სვიმონ წერეთლის სარდლობით 600 მოლაშქრე გაგზავნა, მაგრამ დავითმა ეს რაზმი დაამარცხა და გურიიდან განდევნა (26. II,169). ამ მარცხით განრისხებულმა იმერეთის მეფემ დავით და ვახტანგ ბატონიშვილების დასჯა გადაწყვიტა, ქაიხოსროსა და მამია გურიელს დაუკავშირდა და ლაშქრობისათვის მზადება დაიწყო; 1808 წ. 11 ოქტომბერს იმერეთის ჯარი გურიისკენ დაიძრა. რიკგოფმა მეფე გააფრთხილა, რომ გურიაში ჯარით არ შესულიყო და იქაური არეულობა უფრო არ გაემწვავებინა, მაგრამ სოლომონმა უპასუხა—რაკი რუსეთმა გურია იმერეთის ნაწილად ცნო, მე უფლება მაქვს ჩემი სამეფოს საშინაო საქმეები ჩემს ნებაზე მოვაგვაროო. იმერეთის ჯარი გურიაში ბრძოლით შევიდა, მძიმე ბრძოლის შემდეგ ბაილეთის ციხე აიღო და დაანგრია. ვახტანგ და დავით ბატონიშვილებმა გული არ გაიტეხეს, ჯარი შეჰყარეს, იმერეთის რაზმი დაამარცხეს და გურიიდან განდევნეს.

აქ უნდა ითქვას, რომ სოლომონ II, როგორც დიპლომატი, რუსეთთან ურთიერთობაში სათანადო დონეზე იდგა და არაფერი ეშლებოდა, მაგრამ როგორც მეფე-პოლიტიკოსი, დასავლეთ საქართველოს სხვა გამგებლებთან ურთიერთობისას, აშკარად მცდარ გზას აირჩევდა: იმის ნაცვლად, რომ დასავლეთ საქართველოს სხვა ხელისუფალნი თავის გარშემო შემოეკრიბა, თავისი ხელისუფლება გაეძლიერებინა და ამით რუსეთთან ურთიერთობაში მეტი მნიშვნელობა ჰქონოდა, რაც იმერეთის, როგორც რუსეთის ხელდებულის, ავტონომიას უფრო რეალურს გახდიდა, სოლომონმა თავისი ხელმწიფური ქედმაღლობით სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან ქიშპს შეალია თავისი სამეფოს ისედაც სუსტი ძალები, ამით ამ სამთავროებს რუსეთთან უშუალოდ დაახლოებისაკენ უბიძგა და იმერეთის სამეფოს აღსასრული მოაახლოვა.

1808 წლის მიწურულს ამიერკავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედება განახლდა და გურიის სამთავრო ისევ მოვლენების ცენტრში მოექცა. სოლომონ II ყოველნაირად ცდილობდა, რომ რუსეთის ჯარს ფოთი არ აეღო და იგი რუსეთის წინაშე მარტო არ დარჩენილიყო. როცა მეფემ გაიგო, რომ რუსეთის ჯარი ფოთისკენ დაიძრა, მან ლევან ბატონიშვილს აცნობა—დადიანს სურს ფოთის ციხე რუსებს ააღებინოს და ფოთის მეციხოვნეები გააფრთხილეო. ლევანმა მაშინვე კაცი აფრინა და ფოთის კომენდანტი გააფრთხილა, რომ თავდაცვისთვის მომზადებულიყვნენ [26. II. 153—154].

მამია გურიელი იმ ხანებში სოლომონ II-ის მხარეზე იდგა. 1809 წლის 23 ივნისს მამია გურიელმა ხელი მოაწერა ახალ მთავარმართებელ ტორმასოვისადმი იმერეთის თავადთა მიმართვას, რომლითაც ისინი ქუთაისიდან რუსეთის ჯარის გაყვანას მოითხოვდნენ, რუსეთის ხელისუფლებას სოლომონ II-ისათვის ნება უნდა მიეცა, თვითონ შეედგინა რუსეთთან ახალი ხელშეკრულების ტექსტი, ლეჩხუმი იმერეთის სამეფოს უნდა დაბრუნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ რუსეთის მხედრობას აღარ დავეხმარებითო,—აცხადებდნენ მიმართვაზე ხელისმომწერნი [10. 377].

რუსეთის ჯარის სარდლობა სერიოზულად შეშფოთებული იყო მამია გურიელის ასეთი პოზიციით და ზურაბ წერეთლის საშუალებით ცდილობდა გურიელის იმერეთის მეფისადმი დაპირისპირებას, მაგრამ სანამ ამ მხარეში მოქმედი ჯარის ახალი სარდალი გენერალი დიმიტრი ორბელიანი თავის სიძეს—ვახტანგ ბატონიშვილს იცავდა, გურიელის რუსებთან მორიგება შეუძლებელი იყო.

1809 წ. ივნისში ორბელიანმა სცადა უომრად დაეკავებინა ფოთის ციხე. მან ფოთის კომენდანტს, ბათომის ბეგ ქუჩუკ შარვაშიძეს

ვახტანგ ბატონიშვილი (გურიელი) და მიხეილ (გურიის) ერისთავი გაუგზავნა და ციხის ნებით ჩაბარება მოსთხოვა. ორბელიანმა მოითხოვა, რომ ქუჩუკ-ბეგი და ციხეში მასთან მყოფი სოსლან-ბეგ შარვაშიძე მასთან მოსალაპარაკებლად მისულიყვნენ რედუტ-კალეში, მაგრამ ისინი არ ენდვნენ და არ მივიდნენ [26. IV. 389]. ამის შემდეგ 1809 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დ. ორბელიანმა ფოთის ციხეს ალყა შემოარტყა. მაშინ ფოთის ციხეში თურქეთის 600 მოლაშქრე იდგა. რუსეთის ჯარის დასახმარებლად მოვიდნენ სამეგრელოს მთავარი ლევან დადიანი და მანუჩარ შარვაშიძე, რომლებმაც ბრძოლით აიღეს ქ. ფოთი და რუსეთის ჯართან ერთად ფოთის ციხეს შემოადგნენ [3. 199].

ამ დროს მამია გურიელი ცდილობდა ხელი შეეშალა რუსთა ჯარისათვის, სარდლობას არწმუნებდა — ფოთის ციხე აუღებელიაო. სოლომონ II-ის მოთხოვნით გურიელი მზად იყო გზა მიეცა სამხრეთიდან ფოთისაკენ მიმავალი თურქების დამხმარე რაზმისათვის [10. 407]. ამ დროს ქუჩუკ-ბეგმა დახმარება სთხოვა ჭანეთის გამგებელ ტუსჩიოღლის.

1809 წლის 13 აგვისტოს დიმ. ორბელიანმა ვახტანგ და დავით ბატონიშვილები ჯარით ფოთის სამხრეთი მისადგომებისაკენ გაგზავნა, რომ სამხრეთიდან მომავალი გზა დაეცვათ და ფოთისთვის სამხრეთიდან შეეტიათ. დავით გურიელმა თავისი ერთგულების დასამტკიცებლად, რუსეთის ჯარის განლაგებაში, ტრანშეაში მძევლად დატოვა თავისი ქვრივი და [26. IV. 391].

რუსეთის სარდლობა კარგად ხედავდა, რომ ფოთის ციხის აღებას ხელს სოლომონ II უშლიდა. ამის გამო იმერეთში მყოფი პოლკოვნიკი სიმონოვიჩი ტორმასოვს სთავაზობდა—შეეკრიბათ სამეგრელოსა და გურიის ჯარები, თითქოსდა ბათომზე გასალაშქრებლად, შემდეგ კი მოულოდნელად იმერეთში შეეყვანათ, სოლომონ II გადაეყენებინათ და იმერეთში გაემეფებინათ სოლომონ I-ის შვილიშვილის — გიორგის ვაჟი ალექსანდრე, რომელიც იმ დროს დედასა და ძმასთან ერთად გურიაში ცხოვრობდა [10. 412 და 415; 26. III. 188—189].

თურქეთის მთავრობას, ცხადია, ჰქონდა ცნობები დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ და მან გადაწყვიტა ფოთი იოლად არ დაეთმო. ფოთის ციხის გამოსახსნელად ზღვით და ხმელეთით—გურიის სანაპიროს გავლით—გაიგზავნა 9000 კაცი ტრაპიზონის ფაშის—შერიფის სარდლობით.

ამ დროს გურიის მთავარს დიპლომატიური გზით რამდენიმე მხრიდან შეუტიეს: სოლომონ II-მ გურიელს საჯავახოს დაბრუნება

აღუთქვა, თუ იგი რუსებს არ უშველიდა, შერიფ-ფაშა კი ქობულეთის დაბრუნებას შეჰპირდა, თუ გურიელი რუსების წინააღმდეგ გამოვიდოდა [18. 151; 63 Sd—1556].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავდაპირველად გურიელი, მართალია, თურქთა სარდლს არ ეხლა, მაგრამ არც ხელი შეუშალა—მან თურქთა დამხმარე ჯარი გურიაზე მალთაყვამდე გაატარა. რუსთა მომხრე დავით ბატონიშვილი იძულებული გახდა თავისი მამულიდან რუსთა ჯარის ბანაკში გაქცეულიყო [10. 408], დ. ორბელიანი 1809 წ. 31 აგვისტოს მთავარმართებელს ატყობინებდა, რომ მამია გურიელმა ფოთის საშველად მიმავალ თურქებს საკუთარი ნავსადგური დაუთმო, დამხმარე რაზმი მისცა და გამცილებლები გააყოლაო [10. 408].

ორბელიანი ხედავდა, რომ თუ თურქებს სამხრეთიდან გურიის გზა თავისუფალი ექნებოდათ, რუსთა ჯარი ფოთთან ხაფანგში მოიქცეოდა და მას დამარცხება არ ასცდებოდა. ამის გამო დ. ორბელიანმა არქიმანდრიტ იოსებ დონდოლაძის პირით ნიკოლოზ ჯუმათელს სთხოვა, რომ გურიელი რუსეთის მხარეზე გადაეყვანა [3. 200]; იმავე დროს მამია გურიელს ასეთივე თხოვნით და რჩევით მიმართა ბიძაშისმა—ზურაბ წერეთელმაც [10. 419]. ზურაბმა მოისყიდა გურიის რამდენიმე გავლენიანი ფეოდალიც: ამის შესახებ შემდეგ იგი მოახსენებდა ტორმასოვს: თავადთათვის გურიისათა ჩხუბისათვის შერიფ-ფაშისა წარვაგე ნივთი და ოქრო მრავალი ჩემი“ [10. 419] საბეგრელოს მთავრის სახლისკაცი ნიკო დადიანი დაუკავშირდა თავის ცოლისძმას—გურიის თავად ვახტანგ როსტომის ძე ერისთავს, რომელიც მაშინ „პირველობდა სრულსა გურიასზედა“ და იგი რუსთა მხარეზე გადაიყვანა [3. 200] ამას დაერთო გურიის მოსახლეობის ანტითურქული განწყობილებაც, რისთვისაც გურიელს ანგარიში უნდა გაეწია.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო რუსეთის სარდლობის დიპლომატიური ნაბიჯი: გურიელს აღუთქვეს რუსეთ-იმერეთის 1804 წ. ხელშეკრულების იმ მუხლის გაუქმება, რომელიც გურიას იმერეთის სამეფოს ნაწილად აცხადებდა. ეს გურიის რუსეთთან შეერთებულად გამოცხადების უარყოფა იყო. ყოველივე ამან გურიელი აიძულა რუსეთის მომხრედ გამოსულიყო.

1809 წ. 30 ოქტომბერს თურქეთის სერასკირი სამთუღიანი შერიფ-ფაშა 9000 კაცით ფოთის სამხრეთით, ციხიდან 12 ვერსზე დადგა და ბანაკი ზღვის პირას მოაწყო. თურქთა ერთ ფრთაზე იყო მდ. მალთაყვა, მეორეზე მდ. გრიგოლეთის წყალი, ზურგის მხარეს კი ტყე და ჭაობი, თურქებმა ბანაკს ხერგილები, რედუტები და სანგრები შემოარტყეს.

1809 წ. 2 ნოემბერს თურქებმა მალთაყვასთან საფარი გააკეთეს, ზარბაზნები დადგეს და რუსთა პოზიციების დაბომბვა დაიწყეს. რუსის ჯარმა და ქართველებმა სროლითვე უპასუხეს. რუსებთან მყოფ ქართველებს ნიკო დადიანი, მანუჩარ შარვაშიძე და დავით გურიელიძე მეთაურობდნენ. შეუწყვეტელი სროლა 12 დღეს გაგრძელდა. ბოლოს, როცა ცხადი გახდა, რომ ვერც თურქები მიდიოდნენ წინ და ვერც რუსები, რუსეთის ჯარის სარდლობამ მამია გურიელს წინადადება მისცა — ორი მხრიდან ერთდროულად შეეტიათ თურქებისათვის.

ასეც მოხდა, როცა ფოთის მოალყე ჯარმა მალთაყვა გადალახა და მტრის საფარში შეიჭრა, გურიელის ლაშქარმა ვახტანგ როსტომის ძე ერისთავისა და სვიმონ გუგუნავას სარდლობით თურქებს ზურგიდან შეუტია. თურქები ამას არ ელოდნენ, დაიწყო პანიკა და ბანაკი მოიშალა: ნაწილმა ბრძოლით უკან, სამხრეთისაკენ დაიხია, ნაწილი ტყეს შეეფარა, სხვებმა კი ზღვას მიაშურეს და ნავებში ჩასხდომას ცდილობდნენ. ზღვის ნაპირით უკანდახეულებს გურიის ჯარმა მდ. ჩოლოქამდე სდია და დიდი ზიანი მიაყენა. მრავალი თურქი ზღვაში დაიღუპა. პანიკა ისე დიდი იყო, რომ ისინი, ვინც ნავში ჩასხდომა მოასწრო, ნავთან მისულებს ხელებს აჭრიდნენ, რომ ნავები სიმძიმით არ გადაბრუნებულიყო და ყველანი არ დაღუპულიყვნენ. ტყეში შეფარებულები მეორე დღეს დაატყვევეს. თურქთა ჯარმა მოკლულთა და დაჭრილთა სახით 1500 კაცი დაკარგა, 283 ტყვედ ჩავარდა.

თურქთა მთელი ბანაკი: იარაღი, დროშები და ქონება ხელთ ჩაუვარდა რუსებსა და ქართველ მოლაშქრეებს. გაქცეული შერიფ-ფაშა ტრაპიზონში მხოლოდ 400 კაცით დაბრუნდა [26. IV. 209; 55; 48. II. 528—9]. ფოთის მოალყე ჯარის ზარალი შედარებით უმნიშვნელო იყო: ბრძოლაში დაეცა—8 რუსი, 58 ქართველი და 4 აფხაზი, დაიჭრა—22 რუსი, 174 ქართველი და 38 აფხაზი. რუსეთის სარდლობის მოწმობით ბრძოლაში მამაცობით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი დავით გურიელის ძემ [55].

რუსეთის სარდლობის აღიარებით, თურქეთის ჯარზე ამ ბრწყინვალე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი გურიის ლაშქრის ჩარევამ შეასრულა. მამია გურიელის რუსეთის მხარეზე გადმოსვლა დედამისის — მარინა წერეთლის დამსახურება იყო, რომელიც სიმონოვიჩისა და ზურაბ წერეთლის დავალებით მოქმედებდა. შერიფ-ფაშის წინააღმდეგ გურიელის გამოსვლას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შერიფი დაუძინებელი მტერი იყო ახალციხის ფაშის—სელიმ ხიმშიაშვილისა, რომლის შვილს აბდი-ბეგს ცოლად ჰყავდა მამია გურულის და—კესარია. სიმონოვიჩს და სელიმ-ფაშას მარინას მეშვეობით ფარული მიწერ-მო-

წერა ჰქონდათ და რუსეთის სარდლობამ იცოდა, რომ სელიმი შერიფ-ფაშას არ დაეხმარებოდა, აჭარის მხრიდან საფრთხე მოსალოდნელი არ იყო. ყოველივე ამის გამო სიმონოვიჩმა და ტორმასოვმა რუსეთის მთავრობისგან მარინას დაჯილდოება, მისთვის წლიურად 1000 მან. ოდენობის პენსიის დანიშვნა ითხოვეს.

თურქთა დამხმარე კორპუსის საშინელმა მარცხმა ქუჩუკ-ბეგი აიძულა, რომ 1809 წ. 14 ნოემბერს ფოთის ციხე რუსებისათვის ჩაებარებინა. გარნიზონს — 272 კაცს ნება დართეს ნავებით ტრაპიზონს წასულიყვნენ. რუსეთის ჯარს ფოთში 34 ზარბაზანი, დიდძალი ჭურვები, ტყვია-წამალი და სხვა დიდი ნადავლი დარჩა [48. II. 529; 55].

ფოთის ციხის აღებით დამთავრდა ამიერკავკასიის ფრონტზე ბრძოლების ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი. ამის შემდეგ მარჯვენა ფლანგზე მდგომარეობა რუსების სასარგებლოდ შეიცვალა. შერიფ-ფაშა რუსებთან „მეგობრობის“ ძიებას შეუდგა, ხოლო რუსების წინააღმდეგ აშკარად გამოსული სოლომონ II იზოლირებული აღმოჩნდა. დადიანი, გურიელი და იმერეთის ზოგი თავადი მას საბოლოოდ დაუპირისპირდნენ.

ამის შემდეგ გურიის სამთავროს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: მამია გურიელმა მთავრის სახლის წევრებს საბატონიშვილოები გამოუყო. 1809 წ. 24 ნოემბერს ვახტანგ ბატონიშვილს მიეცა 500 კომლი გლეხი ჩოჩხათში, ჩიბათსა და ჯურუყვეთში [65. 2. 972. 10]. დავით ბატონიშვილმა მიიღო სოფ. ჩიბათი ახლომახლო მცხოვრები გლეხებით, აზნაური ჭყონიები და ლანჩხუთის მოსახლე 3 აზნაური [63. Hd—1149], აგრეთვე ჩოჩხათის ნაწილი და გრიგოლეთი [28. 327; 56. III_2, 532; 63.Hd—3182], ლევანმა—ჩოჩხათი, ბაილეთი, კონჭკათი და ზღვისპირის ნაწილი [63. Sd—2662; II. 544], ქაიხოსრომ—საშემოქმედლო.

საბატონიშვილოს დამტკიცების დოკუმენტში იყო მუხლი, რომლითაც ბატონიშვილები მთავარს აღუთქვამდნენ, რომ არ გაერეოდნენ მთავრის დასამდაბლებელ საქმეში და არ მიემხრობოდნენ მის მტრებს, არ გადაიბირებდნენ და უსამართლოდ არ შეაწუხებდნენ სახელმწიფო გლეხებს. თავის მხრივ მთავარმა აღუთქვა, რომ არ დააპატიმრებდა და სიკვდილით არ დასჯიდა მათ და დაიცავდა მათი ქონების ხელშეუხებლობას, თუ ისინი მთავრისადმი მიცემულ პირობას არ დაარღვევდნენ.

ამ დროიდან გურიას დამოუკიდებლად განაგებდა მამია გურიელი. ქაიხოსრო ბატონიშვილმა მარინა დედოფლისადმი მიცემული პირობა შეასრულა. სამთავროს საქმეებზე ხელი აიღო და თავის მამულში დასახლდა.

მმართველობიდან ქაიხოსროს ჩამოშორება და ბატონიშვილებისთვის მამულების გამოყოფა რუსეთის სარდლობის ჩარევის შედეგი იყო. რუსეთის ხელისუფლებას სასურველად არ მიაჩნდა გურია ემართა სამთავროს ავტონომიისათვის მებრძოლ გამოცდილ და გავლენიან ქაიხოსროს. სარდლობის გეგმის შესრულებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მამია ამ დროს უკვე 20 წლის იყო და ბიძის მეურვეობას კიდეც თაკილობდა.

ქაიხოსრო ბატონიშვილის მმართველობა [1797—1809 წწ.] გურიის სამთავროს ცხოვრებაში წინსვლა-წარმატების წლები იყო. ამ წლებში მთავრის სახელით შედგენილი ყველა დოკუმენტი სინამდვილეში ქაიხოსროს ხელიდან იყო გამოსული. ქაიხოსრომ მამია მრავალჯერ გადაარჩინა აშკარა საფრთხეს და მას შედარებით მოწესრიგებული და დამშვიდებული სამთავრო ჩააბარა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფოთის ალყის დროს რუსეთის მთავრობამ გურიის მთავარი იმერეთის მეფისგან დამოუკიდებლად ცნო და მას საჯავახოს დაბრუნება აღუთქვა. ამის შედეგად, 1809 წ. 16 დეკემბერს მამია გურიელმა რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა ითხოვა. ქაიხოსრო ბატონიშვილის მიერ შედგენილი „სათხოვარი პუნქტებით“ რუსეთის იმპერატორისგან გურიელი შემდეგი პირობების შესრულებას ითხოვდა:

1. გურიის სამთავროში დარჩება მთავრის მემკვიდრეობითი ხელისუფლება;

2. გურიელი აღიარებს რუსეთის იმპერატორის უზენაეს ხელისუფლებას, მაგრამ საშინაო საქმეებში დამოუკიდებელი დარჩება; გურია ავტონომიური სამთავროა.

3. რუსეთის მთავრობამ გურიელს დახმარება უნდა გაუწიოს თურქების მიერ მიტაცებული ქვემო გურიის (ბათომ-ჩაქვ-ხინო-ქობულეთის თემების) დაბრუნებაში.

4. გურიელი ითხოვდა: „თუმცა არღა იქმნას მეფობა ბაგრატიონთა იმერთ-შიგან და სხვათა მიეცესთ ძველი სამკვიდრონი მათნი, მებოძოს მეცა სამკვიდრო ჩემი სოფელი საჯავახო“.

აქედან ცხადია, რომ გურიელმა უკვე იცოდა რუსეთის გადაწყვეტილება იმერეთის სამეფოს გაუქმების შესახებ.

5. რუსეთის მთავრობამ გურიელის მოთხოვნისთანავე, გურიაში საშინაო სიმშვიდის დასამყარებლად, მთავრის განკარგულებაში უნდა გადასცეს ერთი ასეული ან ბატალიონი [26. IV. 432].

როგორც „სათხოვარ პუნქტებში“, ისე ტორმასოვისადმი 1809 წ. 15 დეკემბერს გაგზავნილ წერილში გურიელი მიუთითებდა, რომ გურიის სამთავრო ავტონომიური გამგებელი იყო მაშინაც კი, როცა სულთნის უზენაეს ხელისუფლებას სცნობდა; „გვაქვნდეს ქვეყანასა

ჩვენსა თავისუფლება, ვითარცა ცხად ჰყოფს ძველი წერილი პორტის სულთნისა და ყოველთაგან ცნობილ არს ჩვენი თავისუფლება ყამსა საქართველოს მეფეთათა“,—მიმართავდა იმპერატორს გურიელი [26. IV, 431—432]. გურიელი ითხოვდა: „არა იყოს მმართველი ჩვენი კაცთაგანი ქვეყნისა ამის, გინა აზიისა“ [26. IV. 432].

დაიწყო მოლაპარაკება ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის დასადგენად.

იმ დროს რუსეთის სარდლობამ უკვე დაიწყო საქმიანობა სოლომონ II-ის ტახტიდან ჩამოსაგდებად, სოლომონი რუსეთის სარდლობის მიერ შედგენილი „სათხოვარი პუნქტების“ ხელმოწერაზე უარს ამბობდა. 1810 წ. თებერვალში სიმონოვიჩმა დადიანს და გურიელს შეუთვალა—შეთანხმებისამებრ ჯარები შეეკრიბათ, იმერეთის საზღვართან დამდგარიყვნენ [10: 436 და 438]. სიმონოვიჩმა გურიელს აცნობა, რომ ამის სამაგიეროდ რუსეთის მთავრობა მას იმერეთის მეფისგან დამოუკიდებელ გამგებლად ცნობსო [10. 470]. გურიის ჯარი რიონის მარცხენა ნაპირზე, საჯავახოში უნდა დამდგარიყო. თებერვლის შუა რიცხვებში გურიის, სამეგრელოსა და ლეჩხუმის ჯარები იმერეთისაკენ დაიძრნენ. მამია გურიელი ჯარით 27 თებერვალს საჯავახოში დადგა და რუსეთის ჯარის სარდლის ბრძანებას უცდიდა. სოლომონ II-ს რომ ეჭვი არ აეღო, სარდლობამ ხმა გაავრცელა, რომ გურიისა და სამეგრელოს ლაშქარი რუსეთის ჯართან ერთად ბათომზე გასალაშქრებლად იკრიბებაო [10. 413].

1810 წ. მარტში რუსეთის ჯარის სარდლობამ იმერეთის მეფის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლა დაიწყო. იმერეთში ომი გაჩაღდა. მარტის დასაწყისში სიმონოვიჩმა ტორმასოვის მითითებით გურიელს რუსეთის ხელისუფლების მიერ მისი იმერეთის მეფისგან დამოუკიდებელ გამგებლად აღიარება აცნობა და მოსთხოვა, რომ სოლომონისათვის გურიაზე გავლით თურქეთში გასაქცევი გზა გადაეკეტა [10. 470].

9 მარტს იმერეთის მეფის ლაშქარი გადამწყვეტ ბრძოლაში დამარცხდა. ამის შემდეგ სიმონოვიჩმა გურიის ჯარის იმერეთში შესვლა საჭიროდ აღარ მიიჩნია. მამია გურიელი ქაიხოსრო ბატონიშვილსა და ვახტანგ ერისთავთან ერთად ცხენოსანთა რაზმით სიმონოვიჩთან გამოცხადდა. სიმონოვიჩმა გურიელი მცირე რაზმით დროებით თავისთან დაიტოვა, სხვები კი სახლში გაუშვა [10. 474]. გურიელმა სიმონოვიჩს განუცხადა, რომ მას განზრახული ჰქონდა რუსეთთან შეერთების შესახებ ტორმასოვთან მოსალაპარაკებლად ქაიხოსრო ბატონიშვილი გაეგზავნა.

მარტის ბოლოს სოლომონ II რუსეთის სარდლობას დანებდა. 1810 წ. 17 მარტს გურიელმა თბილისში ქაიხოსრო ბატონიშვილი გაგზავნა და ტორმასოვს სთხოვა—იმპერატორთან ეშუამდგომლა, რომ გურია ავტონომიურ ქვეშევრდომად მიეღო. ქაიხოსრომ ტორმასოვს გადასცა მარინა დედოფლის წერილიც, რომელშიც გურიის დედოფალი რუსეთის წინაშე თავისსა და ქაიხოსროს დამსახურებას აღნიშნავდა და ითხოვდა, რომ რუსეთის მთავრობას გურიელის მიერ წარდგენილი „სათხოვარი პუნქტების“ ახალი ვარიანტი მიეღო [10. 479—480].

თავის წერილში მამია წერდა: „გარდა ამისა, რომელიცა პირველად ჩენ მიერ წარმოგზავნილისა წერილისა ნაკლებნი პუნკტნი იყვნენ, რომელ თვითეულად არა დაიწერებოდა, ამისთვის წარმოვავლინე... ბიძა და მამისაებრ გამომზრდელი ჩემი ჟამსა სიობლისასა და თანახმა ყოველსა შინა საქმესა ერთგულებისა ჩემისასა სიჩჩოდან ვიდრე აწამდე... თვით მოქმედ რომლისამე სასარგებლოსა ჩემისასა და სამფლობელოსა ჩვენთაცა“, რომელიც ჩენს სათხოვარს დაწვრილებით მოგახსენებთო. საყურადღებოა წერილზე მამიას ხელმოწერა: „სვიმეონისძე ერთმთავარი (ე. ი. სუვერენი ხელმწიფე.—ქ. ჩ.) მამია გურიელი“ [10. 481].

ტორმასოვს დასავლეთ საქართველოს სამთავროების ავტონომიურ ერთეულებად ცნობა რუსეთის იმპერიისათვის ხელსაყრელად მიაჩნდა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში: 1. რუსეთის ხაზინას ამით არაფერი აკლდებოდა, 2. სამთავროებს ძირითადად საკუთარი ძალით მოუხდებოდათ მტრისაგან თავდაცვა და რუსეთი მატერიალურ ზარალს არ ნახავდა; 3. დაქუცმაცებულ დასავლეთ საქართველოში რუსეთს თავისი მიზნების განხორციელება გაუადვილდებოდა,—„აუცილებელ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ერთი მფლობელის ძალის მეორესთვის დაპირისპირება“ [26. IV. 437]; მთავარი იყო ისეთი ხელშეკრულების დადება, რომ მისი ძალით სამთავროები რუსეთზე რაც შეიძლება მეტად ყოფილიყვნენ დამოკიდებულნი.

1810 წ. 12 აპრილს ტორმასოვმა გურიელს აცნობა, რომ რუსეთის მთავრობა თანახმაა შეიერთოს გურიის სამთავრო შემდეგი პირობებით: 1. გურიის სამთავროს „სათხოვარ პუნქტებზე“ თანხმობა უნდა განაცხადოს გურიელის ყველა ქვეშევრდომმა; 2. გურიელმა ერთგულების ნიშნად რუსეთის სარდლობას უნდა გაუგზავნოს სამი მძევალი ერისთავის, თავდგირიძისა და ნაკაშიძის ოჯახებიდან; 3. გურიელმა უნდა შეწყვიტოს ყოველგვარი ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან (ცხადია, თურქეთთან.—ქ. ჩ.) [26. IV. 437].

გურიის რუსეთთან შეერთების პირობები ტორამსოვმა 12 მუხლად ჩამოაყალიბა და გურიელს გაუგზავნა. ამ მუხლების განხილვამ

გურიელს დაანახვა, რომ ტორმასოვს უნდოდა მთავრის უფლებები მინიმუმამდე შეეკვეცა. მაგალითად, მესამე მუხლით ნავარაუდევი იყო, რომ გურიის სამთავროში სამართლის წარმოება რუსეთის ხელში გადასულიყო, ხოლო მე-12 მუხლის ძალით გურიელს მის სამთავროში საგარეო ვაჭრობის ბაჟის აღების უფლება რუსეთისათვის უნდა დაეთმო. გურიელმა ქაიხოსროს რჩევით ამ მუხლების ხელმოწერაზე უარი განაცხადა და ტორმასოვს აცნობა თავისი გაოცება მისგან მძევლების მოთხოვნის გამო [26. IV.279 და 434], რადგანაც მძევლებს ჩვეულებრივ მტრისგან მოითხოვდნენ. თავისი ქცევა მთავარმა საფუძვლიანად დაასაბუთა.

1810 წლის 30 აპრილს სიმონოვიჩმა აცნობა ტორმასოვს, რომ გურიელმა ხელი მოაწერა „სათხოვარ პუნქტებზე". შეთანხმებისამებრ გურიაში გაიგზავნა რუსთა ჯარის ორი ასეული, 1 ზარბაზანი და 6 კაზაკი. ივნისის დასაწყისში გურიელმა ტორმასოვს მძევლად გაუგზავნა ლევან ერისთავი, ბეჟან გუგუნავა და ალმასხან თავდგირიძე, რომლებიც თბილისში ვახტანგ ერისთავმა ჩაიყვანა. რუსეთის ჯარის სადრლობამ გურიელს პოლკოვნიკის ჩინი უბოძა.

ამ დროს სამხრეთ საზღვარზე ვითარება მკვეთრად გართულდა. ახალციხის საფაშო ხელთ იგდო შერიფ-ფაშამ. რუსეთთან კავშირის მომხრე სელიმ ხიმშიაშვილი იძულებული გახდა აჭარას გაქცეულიყო. შერიფი რუსეთთან სელიმ-ფაშის ურთიერთობის გაგრძელების წინააღმდეგი იყო და, როგორც ჩანს, თურქეთის მთავრობის დავალებით, აქტიურ ანტირუსულ ქმედებაზე გადავიდა. მან ახალციხეში 7000 მოლაშქრე შეაგროვა. თურქეთის ჯარები მოვიდნენ ბათომსა და ქობულეთში.

როგორც ჩანს, ამ დროს მოკლეს თურქებმა ბათომის ბეგი ქუჩუკ შარვაშიძე და მისი ძმა, რომლებიც რუსეთთან შეერთებაზე მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. რუსეთი ქუჩუკ-ბეგს ქვეშევრდომად მიღებას პირდებოდა ისეთივე პირობებით, როგორითაც რუსეთს სამეგრელოსა და გურიის სამთავროები შეუერთდნენ [10. 403 და 475; 26. IV. 281]. თურქებმა ბათომის ბეგად ჭანი ომარ-აღა ჟორდანია დასვეს [26. IV. 338]. მანუჩარ შარვაშიძემ მაშინვე შესთავაზა რუსეთის სარდლობას — ბათომში მმართველად სეფერ-ალი-ბეგ შარვაშიძის უმცროსი ძმა — სოსლან-ბეგი გავგზავნოთ, რუსეთის ჯარი დავახმაროთ, ბათომის მოსახლეობა მას მიემხრობაო [26. IV. 339]. რაკი ქუჩუკ-ბეგი აფხაზეთის შარვაშიძეთა ნათესავი იყო, რუსეთის სარდლობამ ხელსაყრელად ცნო ბათომში შარვაშიძეთა გამგებლობის აღდგენა და მანუჩარის გეგმას ინტერესით მოეკიდა. ბათომის შემოერთება რუსეთს შავი ზღვის მთელ აღმოსავლეთ სანაპიროზე გაბა-

ტონებდა. გურიელის ხელშეწყობა რუსეთისათვის ახლა განსაკუთრებით საჭირო იყო.

თურქთა ჯარების ქვემო გურიაში თავმოყრა ამ მხრიდან საომარი მოქმედების განახლების საფრთხეზე მიუთითებდა. ამავე დროს თურქეთში გაქცეული სოლომონ II-ის იმერეთში შემოჭრის საფრთხეც იყო. ასეთ ვითარებაში რუსეთის ხელისუფლება, რომელიც დარწმუნდა, რომ გურიელი თავისი უფლებების შეკვეცაზე არ დათანხმდებოდა, საჩქაროდ დათმობაზე წავიდა (რუსეთს ეს დათმობა დიდად არ უღირდა, ძალა მის ხელთ იყო და საჭირო შემთხვევაში ამ ძალას გურიელი წინ ვერ დაუდგებოდა) და ხელშეკრულების პროექტის მესამე და მეთორმეტე პუნქტები შეცვალა. 15 ივნისს ტორმასოვმა გურიელს გაუგზავნა „პუნქტები", რომელშიაც ორი სადავო მუხლი ნაწილობრივ შეცვლილი იყო [26. IV. 279 და 435].

საბოლოოდ რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში გურიის სამთავროს შესვლის ხელშეკრულება შემდეგი სახით გაფორმდა:

1. გურიის სამთავრო შედის რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში;

2. გურიაში რჩება მთავრის მემკვიდრეობითი ხელისუფლება; ყოველ მთავარს იმპერატორი ამტკიცებს;

3. სამთავროს ტერიტორიაზე სამოქალაქო საქმეების განსჯა გურიელის კომპეტენციაში რჩება, სისხლის სამართლის საქმეებს კი იმერეთის დროებითი მმართველობა (ე. ი. რუსეთის ხელისუფლება) განიხილავს და წყვეტს.

4. სამთავროს გარეშე მტრისგან დასაცავად გურიის ტერიტორიაზე დგება რუსეთის ჯარის ნაწილი;

5. თუ გურიაში რაიმე მადნის საბადო აღმოჩნდება და დამუშავდება, შემოსავლის ნაწილი მთავარს მიეცემა (ნაწილი რუსეთისაა).

6. თუ რუსეთი გურიის ტერიტორიაზე ახალ ქალაქს ააშენებს, ამ ქალაქის შემოსავლის ნაწილი გურიელს მიეცემა;

7. ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულების სამაგიეროდ გურიელი იმპერატორის მორჩილებას კისრულობს;

8. გურიელი სამთავროში მყოფ რუსის რაზმს შეშით, სანთლითა და ბინით უზრუნველყოფს;

9. მთავარი ამ რაზმს მოაძარაგებს პურით, ღომით, ქერით და თივით.

10. თუ გურიაში მადანი აღმოჩნდება, მთავარი ამ მადნის დამმუშავებელ რუსებს მიაწვდის მუშა-ხელს, — რუსთა მიერ დადგენილი ქირით;

11. თუ გურიაში გემთსაშენი ტყე მოიძებნება, იგი უფასოდ დაეთმობა რუსეთს, რუსებმა მხოლოდ მისი მოჭრისა და გატანის ქირა უნდა გადაიხადონ;

12. თუ რუსები გურიაში ნავსადგურს ააგებენ, მისი შემოსავლის შეოთხედი მთავარს მიეცემა;

13. მთავარი იმპერატორისგან მიიღებს ღირსების ნიშნებს — ხმალს და დროშას [26. IV. 438].

1810 წლის 19 ივნისს მამია გურიელმა ქუთაისში ხელი მოაწერა „სათხოვარი პუნქტების“ ყველა მუხლს.

10 ოქტომბერს ეს „პუნქტები“ იმპერატორთან წარსადგენად გაეგზავნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს ნ. პ. რუმიანცევს. ამასთანავე ტორმასოვმა გურიელისა და მარინა დედოფლის დაჯილდოება ითხოვა (26. IV. 437).

გურია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, როგორც ავტონომიური სამთავრო, მაგრამ სათანადო შეთანხმების შინაარსიდან ცხადია, რომ გურიელის ხელისუფლება ძალიან შეზღუდული იყო. გურიაში რუსეთის ჯარი დგებოდა (ჯარის სადგომი პოსტი ჩოხატაურში დაწესდა), რუსეთს უფლება ეძლეოდა გურიაში აეგო ნავსადგური და ქალაქი, მოეჭრა გემთსაშენი ხეები, ეძებნა და დაემუშავებინა საბადოები და ყოველივე ამას შემოსავლის მეტი წილი წაეღო. ასევე უნდა გადაეწყვიტა სამთავროში სისხლის სამართლის საქმეები. გურიაში მდგომი რუსის ჯარიც სამთავროს მოსახლეობას უნდა შეენახა.

ცხადია, რომ სამთავროს გაუქმებამდე ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. სწორედ ასე ესმოდათ ეს რუს პოლიტიკოსებსაც. რუსეთის გენშტაბის პოლკოვნიკი ბარონი პ. უსლარი აღნიშნავდა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ საქართველოს სამთავროებთან დადებული ხელშეკრულებები თუმცა ფორმალურად სამუდამოდ იყო დადებული, მაგრამ დიდხანს არ შეიძლებოდა ყოფილიყო დაცული; მთავრებს საბოლოოდ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი უნდა აეღოთ თავიანთ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე და რუსეთის იმპერიის ჩვეულებრივ მემამულეებად უნდა ქცეულიყვნენ, რუსეთის მოწინააღმდეგეები საქართველოს სამთავროებთან ურთიერთობის ამ აუცილებელ ბოლოს მეფის რუსეთის დაპყრობით პოლიტიკას მიაწერდნენ, ჩვენ — მთავრების ღალატს ვაბრალებთ, მაგრამ ორივე ეს ახსნა ცალმხრივია, რადგანაც პოლიტიკის სფეროშიც ისეთივე გარდაუვალი კანონები მოქმედებენ, როგორიც ბუნებაშია, — ცინიკურად აღნიშნავდა უსლარი [26. XI. 235].

ამ სიტყვებიდან ცხადია, თუ რა პოლიტიკურ ანგარიშს ემყარებოდა რუსეთი გურიის სამთავროსთან ხელშეკრულების დადებისას. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო: ერთ მხარეს იდგა ბატონერა, რუსეთის ერთი მაზრის ტოლა, მტრისაგან აკლებული სამთავრო, მეორე მხარეს კი რუსეთის უზარმაზარი იმპერია, რომელიც ევროპაში უკვე თავის ცნობილ როლს ასრულებდა და რომლის საგარეო პოლიტიკის კურსი შესანიშნავადაა დახასიათებული მარქსისა და ენგელსის მიერ.

1811 წ. დასაწყისში მომხდარმა რამდენიმე ფაქტმა რუსეთისათვის გურიის სამთავროს მნიშვნელობა დიდად გაზარდა. იმ ხანებში გურიის სამთავრო სახლის მეშვეობით რუსეთთან დაახლოება სცადა სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილმა, რომელიც მაშინ ახალციხიდან გამოძევებული იყო და თავის საგვარეულო სამფლობელოს — აჭარას განაგებდა. მიუხედავად ძარცხისა, სელიმს მეზობელ მხარეებზე დიდი გავლენა ჰქონდა, მას 5000 მოლაშქრე ჰყავდა და კარგად იყო გამაგრებული[26. IV. 447][8].

სელიმ-ფაშას განზრახული ჰქონდა თურქეთს ჩამოშორებოდა და რუსეთის დახმარებით ძველი საათაბაგოს ტერიტორიაზე ავტონომიური სამხრეთ საქართველოს მაჰმადიანური სახელმწიფო შეექმნა. სელიმმა კარგად იცოდა, რომ ამით იგი თურქეთის მთავრობას დაუნდობელ მტრად გადაიკიდებდა და მას ცოცხალს არ დატოვებდნენ [26. IV. 354], ამიტომ, მარცხის შემთხვევისათვის, წინასწარ თავშესაფარს ეძებდა. 1811 წ. მარტში მან წერილები გაუგზავნა გურიელსა და რუსეთის სარდლობას. გურიელს სელიმმა წინადადება მისცა, რომ ბაილეთისა და გურიამთის ციხეები მისთვის მიეყიდა. ამის შემდეგ სელიმი რუსეთის მხარეს გადავიდოდა და თურქთა გეგმებს ჩაშლიდა. სამაგიეროდ, ერთგულების საწინდრად, მძევლად თავის შვილს იძლეოდა. სელიმი რუსთაგან დახმარებას — 200 ქესის გაგზავნას ითხოვდა. სელიმის ეს წერილი იმერეთის მმართველ სიმონოვიჩს ქაიხოსრო გურიელიძის თანხლებით ერთმა აჭარელმა მიუტანა [26. 354 და 438—9].

რუსეთის სარდლობა სელიმთან შეთანხმების შემთხვევაში მზად იყო მისთვის 100 ქესა მიეცა, ოღონდ ამ ფულით სელიმს ჯარი უნდა შეეკრიბა და ახალციხის ფაშასა და ბათომის ბეგს უნდა შებრძოლებოდა [26. IV. 354].

---

[8] იმ დროს ქვემო გურიაში ადგილობრივი გამაჰმადიანებული მმართველები ისხდნენ: ქობულეთში — თავდგირიძე, ხინოში — ალი-აღა ცეცხლაძე, ჩაქვში, როგორც ჩანს, ბეჟანიძე, ბათომში — ჭანი ომარ-აღა ჟორდანია.

არსებობს ერთი ცნობა, რომ რუსეთის სარდლობამ სელიმს 1100 ოქრო გაუგზავნა და დახმარება აღუთქვა, მაგრამ მალე საქმე ისე წავიდა, რომ სელიმის გეგმები ჩაიშალა.

1811 წ. აპრილში ჭანეთის (ტრაპიზონის) სერასკირმა სულეიმან-ფაშა ხაზნადარ-ოღლუმ, ერზერუმის სერასკირმა ვეზირმა მაჰმად-ემინმა და ქობულეთელმა (ხინველმა) ალი-აღა ცეცხლაძემ ბაირახტარ იუსუფ გეგიძის ხელით მამია გურიელს, ბატონიშვილებს და გურიის თავადაზნაურობას წერილები გამოუგზავნეს. ისინი იტყობინებოდნენ, რომ ტრაპიზონისა და ერზერუმის საფაშოებისა და ქობულეთის სანჯაყის ჯარები ახალციხის ფაშის შერიფის ჯართან ერთად სულთნის ბრძანებით ზღვით და ხმელეთით დასავლეთ საქართველოდან რუსთა გასარეკად მიდიოდნენ. ფაშები გურიელს ურჩევდნენ, რომ თურქეთის მხარეზე გადასულიყო და მისი ჯარისათვის ხელი შეეწყო [26. IV. 440 და 445]. გურიელს ემუქრებოდა ჩილდირის (ახალციხის) ვალი მამედ-შერიფ-ფაშაც. გურიელმა ეს წერილები მაშინვე სიმონოვიჩს გაუგზავნა და თან მოქმედების საკუთარი გეგმა შესთავაზა: სელიმ ხიმშიაშვილს დავუკავშირდები, თურქებს სამთავროში შემოვიტყუებ და ერთიანი ძალით (ე. ი. რუსეთის, გურიისა და აჭარის) გავჟლიტოთო [26. IV. 444].

გურიელის კარგად მოფიქრებული გეგმის განხორციელება არ მოხერხდა. სელიმს ერთ-ერთმა შვილმა უღალატა, თავისი მომხრეებით თურქეთის სარდლებთან გამოცხადდა და მამამისის გეგმები გაუმჟღავნა. ამასობაში გრიგოლ წერეთელმა რუსეთის სარდლობას აცნობა, რომ ხაზნადარ-ოღლუ 5000 კაცით უკვე გონიაში იდგა და ბათომშიც თურქეთის 15000 ჯარისკაცი მოსულიყო. ხაზნადარ-ოღლუ დღითიდღე ელოდა ახალციხის ფაშას და სელიმ-ფაშის მოღალატე შვილს, რომ გაერთიანებული ჯარით გურიის სამთავროში შეჭრილიყო. სელიმმა რაკი დაინახა, რომ მისი განზრახვა გამჟღავნებული იყო და მის თავზე შავი ღრუბლები იკრიბებოდა, მამია გურიელს სთხოვა, რომ შეხვედროდა და რუსეთთან დაკავშირების პირობების შესახებ მოლაპარაკებოდა [26. IV. 445].

ამ დროს რუსეთის სარდლობამ უშიშროების გაზრდის მიზნით გურიაში მდგომ ორ ასეულს ზარბაზნებით შეიარაღებული 4 ასეული დაამატა. სელიმ ხიმშიაშვილთან ურთიერთობაში რუსეთის სარდლობამ ზედმეტი სიფრთხილე გამოიჩინა, მის გულწრფელობაში დაეჭვდა, არ ენდო და დახმარების ხელი არ გაუწოდა. სელიმმა რაკი დაინახა, რუსები არ დამეხმარენო, თავის გადარჩენის მიზნით კვლავ თურქეთის მთავრობასთან ძორიგების გზას დაადგა. აჭარის რუსეთთან შეერთების ეს ცდაც უშედეგოდ დამთავრდა.

ასეთ ვითარებაში საბოლოოდ გაფორმდა გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლა. 1811 წ. 8 აპრილს ალექსანდრე I-მა გურიელისადმი „უმაღლესი სიგელით“ დაადასტურა გურიის სამთავროს რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა. სიგელში აღნიშნული იყო, რომ იმპერატორმა დააკმაყოფილა გურიელის სურვილი, მიიღო იგი რუსეთის ქვეშევრდომად და გურიელი მემკვიდრეობით მთავრად დაამტკიცა. იმპერატორმა დაამტკიცა გურიელის „სათხოვარი პუნქტები“ და მას წყალობის ნიშნად უბოძა ხმალი და რუსეთის გერბიანი დროშა, რომელიც მთავრის სახლში უნდა ყოფილიყო დაცული [63. Ad — 2261].

ამას მეფის რუსეთის ჩვეულებრივი „წყალობები“ მოჰყვა. 1811 წ. 25 მაისს ალექსანდრე I-მა, ტორმასოვის წარდგინების საფუძველზე, საგანგებო სიგელით ქაიხოსრო ბატონიშვილს რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკის ჩინი უბოძა და იგი წმ. ანას მეორე კლასის ორდენით დააჯილდოვა. [63. Ad — 2857]. დაჯილდოების საბაბად გამოცხადებული იყო გურიის ჯარის აქტიური გამოსვლა სოლომონ II-ის წინააღმდეგ. იმპერატორის წერილი ქაიხოსროს ტორმასოვმა 1811 წლის 11 ივლისს გადაუგზავნა და წყალობა მიულოცა [63. Ad — 2259]. 1811 წ. ივნისში იმპერატორმა მამია გურიელს რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭა და წმ. ანას I კლასის ორდენი უბოძა. მარინა დედოფალს დაენიშნა პენსია — წლიურად 2000 მანეთი[9].

იმპერატორის სიგელი და ინვესტიტურის ნიშნები: გერბიანი დროშა, ძვირფასად შემკული ხმალი და წმ. ანას ორდენი, აგრეთვე რესკრიპტი მარინა დედოფლისადმი სიმონოვიჩმა 1811 წ. 19 ივლისს მაიორ კუტნევის ხელით გურიელს გაუგზავნა. იმპერატორის ჯილდო მიიღო გურიის რამდენიმე თავადმა და აზნაურმაც.

სიგელის მიღებისთანავე მამია გურიელმა რუსეთის იმპერიისადმი ერთგულების ფიცი დადო. იმ დროს გურიელი ნაგომარში ცხოვრობდა. „ფიცითა აღთქმის“ დოკუმენტი, ხელმოწერილი მთავრის მიერ და დამფიცებელი მღვდლის (როგორც ჩანს, მაქსიმე ქიქოძის) და მაიორ კუტნევის მიერ ხელმოწერილი, აგრეთვე გურიელის სამადლობელი წერილები იმპერატორისა და ტორმასოვისადმი სიმონოვიჩმა 1811 წ. 1აგვისტოს ტორმასოვს გაუგზავნა [10. 492].

გურიასთან ხელშეკრულების გაფორმების დროს რუსეთის ხელისუფლებამ გადაუჭრელი დატოვა გურიელისთვის საჯავახოს დაბრუ-

---

[9] მამია გურიელმა 1810 წ. ნოემბერში ცოლად შეირთო სოფიო გიორგის ასული წულუკიძე, სოლომონ II-ის (დედით) ბიძაშვილი.

ნების საკითხი. გურიელის არაერთგზის მიმართვაზე ტორმასოვმა 1811 წ. 11 ივნისს უპასუხა, რომ ეს საკითხი საგანგებო შესწავლას საჭიროებს და მომავალში გადაიჭრებაო [26. IV. 434]. იმდროინდელი ომიანობის გამო ეს საკითხი 1815 წლამდე გადაუჭრელი დარჩა.

ასეთი იყო გურიის სამთავროს ვითარება 1811 წლის შუახანებისათვის. რუსეთთან ხელშეკრულებით დაკავშირებული გურია კვლავ რუსეთ-თურქეთის ომის ცეცხლში უნდა გახვეულიყო, მაგრამ ამჯერად იოლად გადარჩა. რუსეთის სარდლობამ ხმა გაავრცელა, რომ თითქოს რუსეთის ფლოტი ტრაპიზონზე გალაშქრებას აპირებდა. როგორც კი ამ ხმამ ხაზნადარ-ოღლუმდე მიაღწია, მან ლაშქრობა მაშინვე მოშალა და ჯარით ტრაპიზონს დაბრუნდა.

იმ ხანებში რუსეთის სარდლობა სერიოზულად ემზადებოდა ე. წ. „ოსმალეთის გურიის“ (ბათომ-ჩაქვ-ხინო-ქობულეთის თემების) დაპყრობისათვის. 1811 წლის 8 სექტემბერს სიმონოვიჩი ტორმასოვს ატყობინებდა, რომ შეიძლება თურქებს წავართვათ ბათომი, სადაც კარგი ნავსადგური, ციტადელი და ბატარეაა და სადაც ბათომის ბეგი ცხოვრობს, ასევე შეიძლება დავიკავოთ ციხისძირის სიმაგრე, რომელიც ხინოსა და ქობულეთის თემებს იცავს; ეს მხარეები გურიას 25 წლის წინათ ჩამოაშორა აქაურმა თავადმა თავდგირიძემ, რომელიც გამაჰმადიანდა და თურქებს მიემხრო. სიმონოვიჩი ნებას ითხოვდა, რომ ხელსაყრელ მომენტში ციხისძირი დაეკავებინა და ამით გურია სამხრეთიდან დაეცვა [26. IV. 448].

1812 წლის 19 მაისს ტორმასოვმა ნება მისცა სიმონოვიჩს, ხელსაყრელ მომენტში დაეკავებინა ბათომი და იქ რუსეთის ერთგულების პირობით რომელიმე შარვაშიძე დაესვა [26. IV. 404]. მალე რუსეთსა და თურქეთს შორის საზავო მოლაპარაკება დაიწყო და ბათომზე ლაშქრობა აღარ შედგა.

რუსეთი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაკავებასთან ერთად თავიდანვე აქ მდებარე ქვეყნების ეკონომიკურ ათვისებაზეც ზრუნავდა. ამ მიზნით,1811 წ. გაზაფხულზე ფეოდოსიის ქალაქის თავმა ს. ბრონევსკიმ აფხაზეთთან, გურიასა და სამეგრელოსთან ვაჭრობის განვითარებისათვის „ფაზისის სააქციონერო სავაჭრო კომპანიის“ შექმნის გეგმა შეადგინა. კომპანიას შემდეგ თურქეთსა და ირანთანაც უნდა ევაჭრა. მისი ცენტრი ფეოდოსიაში უნდა ყოფილიყო, განყოფილებები კი სოხუმში, ფოთში, ქუთაისსა და თბილისში [26. IV. 403]. ეს გეგმა ბრონევსკიმ ჯერ ტორმასოვს გააცნო, შემდეგ კი იმპერატორს წარუდგინა. საქართველოს სამთავროებთან ვაჭრობაში უნდა ჩაბმულიყვნენ ტაგანროგელი ვაჭრებიც, რომელთაც აქ დამარილებული თევზი, ხიზილალა და რკინა უნდა შემოეტანათ [26. IV. 404].

ბრონევსკის პროექტს ხალისით გამოეხმაურა ხერსონის სამხედრო გუბერნატორი ჰერცოგი დე-რიშელიეც [26. IV. 402]. ამავე დროს სიმონოვიჩმა ტორმასოვს ფოთთან (მდ. მალთაყვასთან) და ოდესა-კალეში რუსული კოლონიების შექმნის პროექტი შესთავაზა. ამ ადგილებში შავიზღვისპირელ კაზაკთა ორი ჯგუფი, თითოეული 350 ოჯახისაგან შემდგარი უნდა დაესახლებინათ [26. IV. 408]. თურქებთან ზავის პირობებმა ეს პროექტიც ჩაშალა.

იმ ხანებში გურიის ცხოვრებაში რამდენიმე საყურადღებო ამბავი მოხდა: ქაიხოსრო ბატონიშვილმა სცადა ბოლო მოეღო თავისი პირადი შტრების — ნაკაშიძეების ძლიერებისთვის. მან რუსეთის მთავრობას ეაუგზავნა სოლომონ II-ის მიერ ნაკაშიძეებისადმი მიწერილი ბარათი, რომლიდანაც ცხადად ჩანდა ნაკაშიძეთა ანტირუსული განწყობილება და მათი დასჯა მოითხოვა. სიმონოვიჩმა ნაკაშიძეთა დასასჯელად და გურიამთის ციხის დასანგრევად 100 ჯარისკაცი გაგზავნა ერთი ზარბაზნითურთ, მაგრამ ნაკაშიძეებმა იმდენი მოახერხეს, რომ მათმა წერილმა ახალ მთავარმართველთან — მარკიზ პაულუჩისთან მიაღწია. რუსეთის სარდლობა ამ დროს საკმაოდ საფუძვლიანად ეჭვობდა, რომ ქაიხოსროს მიერ გაგზავნილი წერილი ნაყალბევი იყო. პაულუჩიმ ბრძანა, რომ ნაკაშიძეებისაგან მძევლები აეყვანათ და გურიამთის ციხე არ დაენგრიათ [26. V. 103].

იმავე წელს ქაიხოსრომ გადაწყვიტა პოლიტიკურ საქმიანობაზე ხელი აეღო და რუსეთის მთავრობას ყირიმში გადასახლების ნება სთხოვა [26. V. 438], მაგრამ ამ დროს ბათომში ხაზნადარ-ოღლუს ჯარი მოვიდა და ქაიხოსრომ თავისი განზრახვა ჯერ გადადო, შემდეგ კი გადაიფიქრა და გურიაში დარჩა.

როგორც ზემოთ დავინახეთ, გურია თურქეთის ჯარის შემოსევას გადაურჩა, მაგრამ ძალე თავს არანაკლები უბედურება დაატყდა. 1811 წელს ახალციხესთან მებრძოლ რუსის ჯარს შავი ჭირის („ჟამის“) ეპიდემია მოედო, რამაც ამ ფრონტზე ბრძოლები საბოლოოდ შეაჩერა. ჯარმა ჭირი ახალციხიდან იმერეთში შემოიტანა. ეს ეპიდემია 1808 წლის ეპიდემიაზე შეუდარებლად უფრო ძლიერი იყო. ახლა „ჟამმა“ დასავლეთ საქართველოს საშინელი ზიანი მიაყენა. გურიისა და სამეგრელოს მთავრებმა აქტიური ზომები მიიღეს, რომ ეპიდემია მათ სამფლობელოებსაც არ მოსდებოდა. ამ მიზნით იმერეთთან ვაჭრობა და მიმოსვლაც კი აკრძალეს [26. V. 97], მაგრამ ეს ზომები უშედეგო აღმოჩნდა.

1812 წ. დასაწყისიდან „ჟამი“ იმერეთთან ერთად გურიასა და სამეგრელოშიც მძვინვარებდა. მუშახელის მასობრივად განადგურებამ მოუსავლიანობა და საშინელი შიმშილი გამოიწვია [28. 154; 2. 117].

განსაკუთრებით იმერეთი დაზარალდა. აქ მთელი სოფლები გაუკაცრიელდა. ერთი ცნობით, 10 წლის ასაკს ზემოთ დახოცილთა რიცხვმა 80000 კაცს მიაღწია. მოსახლეობა ხის ქერქითა და ბალახით იკვებებოდა და აფხაზეთში იხიზნებოდა, სადაც ჭირი არ გადასულა [3. 203; 2. 117]. გურიაში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო, შიმშილობაც ნაკლებად იყო, მაგრამ მოსახლეობა მაინც საგრძნობლად შემცირდა [26. V. 469]. ადგილობრივი ცნობით, 1812 წელს „დიდი შიმშილობა იყო და ჟამი გაჩნდა ისთე, რომ მრავალი ხალხი დაიხოცა, თითქმის აღარ დარჩა მეოთხედი“ [63. Ad — 1370] „ჩყიბ წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდგომ ჟამი გამოჩნდა იმავე წელშიდ“ [28. 154].

ასეთი მძიმე ვითარება იყო დასავლეთ საქართველოში, როცა 1812 წ. 16 მაისს ბუქარესტში რუსეთსა და თურქეთს შორის ზავი დაიდო. საზავო ხელშეკრულების VI მუხლი ამიერკავკასიაში რუსეთ-თურქეთის საზღვრებს ეხებოდა. აქ ომის დაწყებამდე არსებული საზღვრები უნდა აღდგენილიყო. რუსეთმა თურქეთს დაუბრუნა დაკავებული ტერიტორიები, მათ შორის ანაპის, ფოთისა და ახალქალაქის ციხეები. საზავო ხელშეკრულებით რუსეთს გადაეცა შავი ზღვის სანაპირო ზოლი ანაკლიიდან ოთხი საათის, ხოლო რიონიდან ორი საათის სავალის მანძილზე [59. 53].

ბუქარესტის ხელშეკრულების მე-6 მუხლი საჭირო სიზუსტით არ იყო ჩამოყალიბებული, კონკრეტულად იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის შესახებ მასში არაფერი იყო ნათქვამი, რაც თურქეთს საშუალებას აძლევდა ამ მუხლისთვის სასურველი განმარტება მიეცა [49. 62]. თუ მას დავუმატებთ იმ ფაქტსაც, რომ ბუქარესტის ზავით რუსეთ-თურქეთის ყველა ძველი ხელშეკრულება ძალაში რჩებოდა (მათ შორის ქუჩუკ-კაინარჯის 1774 წლის ხელშეკრულებაც, რომელიც დასავლეთ საქართველოში თურქეთის უპირატეს უფლებებს აღიარებდა და 1791 წლის იასის ხელშეკრულება, რომელშიაც დასავლეთ საქართველოს შესახები მუხლი ბუნდოვნად იყო შედგენილი), ცხადი გახდება, რომ თურქებს დასავლეთ საქართველოზე პრეტენზიების საშუალება რჩებოდათ.

მართლაც, ერზერუმის სერასკირმა აჰმედ-ფაშამ 1812 წელს ახალ მთავარმართებელ რტიშჩევს პირდაპირ მოსთხოვა იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს თურქეთისათვის გადაცემა [26. V, 940]. თურქთა ასეთი მოთხოვნა არ გაგვიკვირდება, თუ გავიხსენებთ, რომ იმ დროს რუსეთში ნაპოლეონის არმია იდგა, ხოლო კახეთში რუსეთის ხელისუფლების საწინააღმდეგო დიდი სახალხო აჯანყება მიმდინარეობდა. ასეთ

ვითარებაში თურქეთი ყოველ წამს მზად იყო რუსეთისთვის დაერტყა.

ბუქარესტის ზავმა ამიერკავკასიის ფრონტზე მხოლოდ დროებითი შშვიდობა ჩამოაგდო; მოსაზღვრე საფაშოები არ ისვენებდნენ და რუსეთის სარდლობას ჯარი საომრად ჰყავდა გამზადებული.

1812 წელს გურიის ლაშქარმა მონაწილეობა მიიღო სამეგრელოსა და რუსეთის ჯარების სამურზაყანოზე ლაშქრობაში. მამია გურიელმა დადიანს დამხმარედ ჯარით გაუგზავნა ლევან ბატონიშვილი და ვახტანგ როსტომის ძე ერისთავი [3. 204; 62, 1349].

1813 წ. დასაწყისში ტრაპიზონის სერასკირმა სულეიმან-ფაშამ გურიელს და დადიანს მოსთხოვა, რომ რუსეთს ჩამოშორებოდნენ და თავი სულთნის ხელქვეითებად ეცნოთ. გურიელმა ეს რუსეთის სარდლობას აცნობა და დახმარება ითხოვა, იმავე დროს ნაკაშიძეების სიმაგრის — გურიამთის ციხის დანგრევის სურვილიც გამოთქვა. რტიშჩევი გურიელს დახმარებას შეჰპირდა და სამაგიეროდ მოითხოვა, რომ გურიელს რუსებისათვის თურქეთის საზღვართან, შეკვეთილში (სადაც ნაკაშიძეებს კოშკი ედგათ და ბაჟს იღებდნენ) რედუტის აგების ნება მიეცა. რაკი ფოთი თურქეთს დაუბრუნდა, შეკვეთილის სიმაგრე რუსეთს შავ ზღვაზე, რიონის სამხრეთით, დასაყრდენად გამოადგებოდა. რტიშჩევის წინადადებით, შეკვეთილის ბაჟი შემოტანილ საქონელზე მთავარს და ნაკაშიძეებს უნდა გაეყოთ. გურიელი რტიშჩევის მოთხოვნას დათანხმდა და რუსთა სარდლობას რედუტის ასაგებად ხეტყის, სხვა საშენი მასალის და ადგილობრივი მუშახელის საკუთარი ხარჯით გაგზავნა აღუთქვა, ე. ი. შეკვეთილის სიმაგრე ადგილობრივი სამუშაო ძალით და ხარჯით აშენდა. 1814 წ. დასასრულს შეკვეთილის რედუტი მზად იყო. რუსებმა მას წმინდა ნიკოლოზის სიმაგრე უწოდეს [26. V. 480 და 510].

გურიამთის ციხე დანგრევას ამჯერადაც გადაურჩა.

ჩოხატაურის პოსტზე მდგომ რუსთა ჯარსაც სურსათით და ფურაჟით გურიელი ამარაგებდა. სიმინდსა და ღომში მას მთავარი საბაზრო ფასის მესამედს ახდევინებდა [26. V. 509].

1813 წ. ივნისში საზღვარზე ვითარება კვლავ დაიძაბა. ხაზნადარ-ოღლი და სოლომონ II ფოთში მოვიდნენ და ანტირუსული აგიტაცია გააჩაღეს. სერასკირმა გურიელს შემოუთვალა — რუსეთი მთელ გურიას თურქეთს უთმობს და დაგვმორჩილდიო [65. 8814. 23]. ვახტანგ ბატონიშვილი სერასკირს ფოთში ეახლა. სერასკირმა მას გურიის სამთავრო ტახტი აღუთქვა. იმავე დროს სელიმ ხიმშიაშვილმა გურიელს შემოუთვალა, რომ მასთან ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტდა, თუ გურიელი თურქეთს არ მიემხრობოდა. 1813 წ. ივლისში გუ-

რიელმა დედამისი მარინა დედოფალი თბილისში გაგზავნა, რტიშჩევს შექმნილი მდგომარეობა აცნობა და თავის ერთგულებაში დაარწმუნა [26. V. 799].

ფოთში 100 ნავით და 2000 მოლაშქრით მოსული ახალ-ალ-ომენ-დანტი სეიდ-სულეიმან-ფაშა გურიის ჩრდილოეთ ნაწილს არბევდა, გურულებიც სამაგიეროდ ხელს არ აკლებდნენ. აგვისტოს მიწურულს დავით ბატონიშვილმა მარბიელი თურქები დაამარცხა და სერასკირი იძულებული გახდა ხონთქრისათვის ფოთში დამხმარე ჯარის გაგზავნა ეთხოვა [65. 2. 8814, 25 და 30].

1813 წ. 19 ნოემბერს გურია-სამეგრელოში დაბანაკებული ბელევსკის პოლკის შეფს პოლკოვნიკ მერლინის ფოთის ფაშა სეიდ-სულეიმანმა დასავლეთ საქართველოდან რუსეთის ჯარის გაყვანა მოსთხოვა. როგორც ხაზნადარ-ოღლუ, ისე სეიდ-სულეიმანიც ბუქარესტის საზავო ხელშეკრულებაზე მიუთითებდნენ. თურქეთის ფაშების აქტივობა შემდეგშიც გაგრძელდა. თურქებმა ქობულეთში, შეკვეთილთან ახლოს, სიმაგრის მშენებლობა დაიწყეს. რუსეთის სარდლობამ ამის გამო ახალციხის ფაშას პროტესტი განუცხადა. 1814 წ. 23 ივლისს სელიმ ხიმშიაშვილმა სიმონოვიჩს მოსწერა: „თელი იმერეთი დანიშნულ არს ჩვენად, ხვანთქრის ფარვანის ბრძანებით უნდა დაგვესო იქ მეფე სოლომონ, რადგან მამული ჩვენ გვგონია, რაცა გვინდა ციხესაც ავაშენებთ და ყულესაც[10] და თუ კანდრახტით[11] განირჩევა და დარჩება თქვენ მამულში, ადვილად შეიძლება მისი დაქცევა“ [65. 2. 8814. 39]. იმავე ხანებში ხაზნადარ-ოღლუმ რედუტ-კალეს (ყულევის) დაცლა მოითხოვა.

გახშირდა გურიის სამთავროზე თურქთა და მათგან წაქეზებულ ქართველ მაჰმადიანთა თავდასხმები. ფოთის გარნიზონის ჯარისკაცები ლევან ბატონიშვილის მამულიდან ტყვეებს იტაცებდნენ [65. 2. 8814. 30 და 38]. ტყვეთა მოტაცება გახშირდა გურიის სამხრეთ საზღვარზეც, სადაც თურქეთთან ზავის დადების შემდეგ შეტაკებები არ წყდებოდა. ტრაპიზონის ფაშამ თავის ხელქვეით ქობულეთის ბეგს 30 ქესა გამოუგზავნა და გურიის სამთავროზე გალაშქრება უბრძანა. ქობულეთის ბეგს გურიაზე სალაშქროდ აქეზებდა სელიმ ხიმშიაშვილიც.

1814 წლის 17 ნოემბერს ღამით ქობულეთის ბეგის ვაჟი 500 ცხენოსნით და ქვეითით მოულოდნელად გადმოვიდა საზღვარზე, შუა გურიაში შემოიჭრა და ოზურგეთს დაესხა. მომხდურებმა მთავრის სასახლე ვერ აიღეს, მაგრამ მის ახლომახლო მცხოვრებლები დაარბიეს, ტყვეები გაიტაცეს და მაშინვე უკან დაბრუნდნენ. მახლობელი მოსახლე-

---

[10] ყულე — კოშკი (თურქ.).

[11] ე. ი. კონტრაქტით, ხელშეკრულებით.

ობა ბუკის ხმაზე მაშინვე შეგროვდა, შემოსეულებს დაეწია და შეებრძოლა. ქობულეთლები დამარცხდნენ, გურიელის რაზმმა 60-მდე კაცი მოკლა, 40 ტყვედ ჩაიგდო და გატაცებული ტყვეები გამოიხსნა. მოკლულთა შორის იყო ოთხი აღა და ორი ბაირახტარი. ქობულეთის ბეგის შვილი დატყვევებას ძლივს გადაურჩა. მამია გურიელი ამ ამბის გაგებისთანავე ნაგომრიდან ოზურგეთს მოვიდა და 18 ნოემბერს ეს ამბავი სიმონოვიჩს აცნობა [65. 2. 8814. 43, 46—47]. იმ დროს საზღვრისპირას ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

რუსეთის მთავრობამ ამ თავდასხმის გამო ახალციხის და ფოთის ფაშებს პროტესტი განუცხადა, მაგრამ ეს პროტესტები უშედეგოდ დარჩა; თურქეთის ხელისუფალნი ცბიერად იქცეოდნენ: ფოთის ფაშამ პასუხად მოიწერა — ქობულეთლები ახალციხის ფაშას ემორჩილებიან და მას ედავეთო, სელიმ ფაშამ კი განაცხადა — მე ქობულეთლების საქმეები არ მეკითხება, ისინი ფოთის ფაშას ექვემდებარებიანო [65. 2. 8814. 38]. თავდასხმები ისევ გრძელდებოდა, ყოველდღე ომის დაწყება იყო მოსალოდნელი.

1815 წ. 8 თებერვალს ტრაპიზონში გარდაიცვალა სოლომონ II. რუსეთის მთავრობას ამის შესახებ პირველად გურიელმა აცნობა [10. 512][12].

1815 წ. ივნისში მოკავშირეებმა ბოლო მოუღეს ნაპოლეონ ბონაპარტეს. რუსეთის ცარიზმი ევროპის ჟანდარმად იქცა და აღმოსავლეთში სამოქმედოდ ხელები გაეხსნა. ამან თურქეთი აიძულა რუსეთთან მორიგება ეძებნა. გურიის სამთავროში შემოსაჭრელად გამზადებული თურქეთის ჯარი 1815 წ. ივნისში საზღვარს მოშორდა და დაიშალა. შემოსევის საფრთხე გაქრა [26. V. 513]. მალე ამის შემდეგ თურქეთის მთავრობამ ურჩი სელიმ ხიმშიაშვილისთვის მოიცალა. სელიმმა სულთანთან ბრძოლის დროს საბედისწერო შეცდომები დაუშვა: იმის ნაცვლად, რომ სხვადასხვა ქართული თემების ანტითურქული კავშირი შეექმნა, ახალციხის ფაშად ყოფნის დროს თავისი ძალით გათამამებული სელიმი თავგამოდებით ცდილობდა ტრაპიზონის ფაშისთვის წაერთმია შავი ზღვის სანაპირო ბათომიდან ფოთის ჩათვლით; ამით სელიმმა მტრად გადაიკიდა როგორც ბათომის, ჩაქვისა და ქობულეთის ადგილობრივი გამგებლები, ისე ტრაპიზონის ფაშაც. ამის გამო იყო, რომ გასაჭირის ჟამს სელიმს შემწე არავინ აღმოუჩნდა.

1815 წ. დასაწყისში სულთნის ბრძანებით ერზერუმის სერასკირმა სეიდ-ბაბა — იბრაჰიმ-ფაშა ფეჰლევანმა სელიმი ახალციხიდან გააძევა.

---

[12] მამია გურიელის ცნობით, სოლომონი 7 თებერვალს გარდაიცვალა.

1815 წ. ივნისში თავის საგვარეულო საგამგებლოში — ზემო აჭარაში, ხიხანის ციხეში შეხიზნული სელიმი ხანგრძლივი, მამაცური თავდაცვის შემდეგ თურქებმა ღალატით შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს. სელიმის ოჯახის წევრებმა თავი შეაფარეს თავიანთ მოყვარეს — მამია გურიელს. სელიმის ვაჟებმა — აჰმედ-ბეგმა და აბდი-ბეგმა (აბდის ცოლად ჰყავდა მამია გურიელის და კესარია) 1815 წ. 13 ივლისს გურიელთან შეთანხმებით და მისი გაპირებით იმერეთის მმართველ სიმონოვიჩს სელიმის ხაზნადარი მუსტაფა-აღა გაუგზავნეს და რუსეთისაგან დახმარება ითხოვეს. ამაზე სიმონოვიჩთან საგანგებო წერილით იშუამდგომლა გურიელმაც [65. 2. 256. 27 და 28]. რუსეთის მთავრობამ თურქეთთან ურთიერთობის გაუარესების რიდით სელიმის შვილებს დახმარებაზე უარი უთხრა, ოღონდ გურიელს ნება დართო მათთვის თავშესაფარი მიეცა. აჰმედმა და აბდიმ, რაკი დაინახეს, რომ რუსეთი მათ დახმარებას არ გაუწევდა, თურქებთან შერიგება და აჭარაში დაბრუნება ამჯობინეს.

1815 წ. ივლისიდან წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში (შეკვეთილში) საავჭრო გემების მიმოსვლა დაიწყო. გურიელმა რტიშჩევთან შეთანხმებით აქ ბეგაჟე დააყენა და ბაჟის 1/4-ს თავისთვის იღებდა. ბაჟი მხოლოდ თურქეთიდან შემოტანილ საქონელზე აიღებოდა, რუსეთიდან (ყირიმიდან) და იმერეთ-ოდიშ-აფხაზეთიდან შემოტანილ საქონელსა თუ სურსათზე ბაჟს არ იღებდნენ. რტიშჩევმა გააფრთხილა გურიელი, რომ თურქეთის ვაჭრებისაგან მცირე ბაჟი აეღო, რომ ვაჭრობა არ შემცირებულიყო [26. V. 513]. წმ. ნიკოლოზის სიმაგრე და მისი შემოსავალი ფაქტიურად რუსეთის ხელში აღმოჩნდა; გურიელს თავისი იმედგაცრუება არ დაუმალავს.

მამია გურიელი მოხერხებულად იყენებდა თურქეთთან მოსაზღვრეობას. სისტემატურად ატყობინებდა რა იმერეთის მმართველს მეზობელ საფაშოებში მომხდარ ამბებს, გურიელი რუსეთის ხელისუფლებას მისი სამთავროს მდებარეობის (პოზიციის) დიდმნიშვნელობას მოაგონებდა, თავის ერთგულებაზე მიუთითებდა და სამთავროს ტერიტორიის მთლიანობის აღდგენას ცდილობდა.

1815 წ. აგვისტოში გურიელმა რუსეთის მთავრობას სოლომონ I-ის მიერ მიტაცებული და ახლა რუსეთის ხელში მყოფი საჯავახოს დაბრუნება მოსთხოვა[13]. სიმონოვიჩისადმი თავისი თარჯიმნის ივანე

---

[13] საჯავახოში შედიოდა სოფლები: ბურნათი, ნანეიშვილისეული, ქვემოხეთი, ზემოხეთი, ჩომეთი, ობუთვანი, კალაგონი, თხილვანი, ნოღა, მუხაღრუა, ნიგოზღრუა, ხარტაული, მთავარანგელოზი, ბარი, ქვაყუდე, ყოვლადწმინდისკარი, გორმაღალი (გამოჩინებული), წიაღუბანი, გულეკარი, ტორჩეული, ოფეთი, აბაშა, ტოლა, ქორეთისუბანი.

ჟორდანიას ხელით 14 აგვისტოს გაგზავნილ წერილში გურიელი წერდა: „გარდა ამისა ახალნი ამბავნი: ოსმალთა სარასკალი ბაბა-ფაშა ახალციხეს მყოფი და ეგრეთვე ბათომს მყოფი ხაზინადარ-ოღლი, რადგანაც მოსჭრეს თავი სელიმ-ფაშას, და ყარა-ბეგსა სარან-ოღლისა და სხვათა ზორბებსა [14] მისცეს შიში და გასტეხეს, რომელ ყავდეს წინაღმდეგ და მოგვადგეს ჩვენ“. ამის შემდეგ გურიელი აცნობებდა რუსეთის სარდლობას, რომ თურქებს განსაზღვრული ჰქონიათ ირანიდან ალექსანდრე ბატონიშვილის (ერეკლე II-ის ვაჟის) გადმოყვანა და გურიის გზით იმერეთში შეჭრა. გურიის სამხრეთ საზღვართან შექმნილი ვითარების აღწერის შემდეგ გურიელი რუსეთის ხელისუფლებას საჯავახოს დაბრუნებას სთხოვს, და ამავე დროს ორ ზარბაზანს თავისი თოფჩებით „ხალხის გახალისებისათვის“, ე. ი. გასამხნევებლად [65. 2. 256. 29].

საპასუხო წერილში რტიშჩევმა გურიელი რუსეთის დახმარებაში დააიმედა და საჯავახოზე პრეტენზიის დასასაბუთებლად სათანადო დოკუმენტები მოსთხოვა.

1815 წ. 24 აგვისტოს გურიელმა რტიშჩევს კვლავ გაუმეორა თავისი მოთხოვნა და საჯავახოზე მისი უფლების შესახებ შემდეგი განუცხადა:,

1. გურია როცა ცალკე სამთავროდ გამოიყო, საჯავახო იმ დროიდან ამ სამთავროში შედიოდა, გურიის მეზობელმა მფლობელებმა ეს ფაქტი კარგად იციან.

2. XVIII საუკუნეში იმერეთის მეფეები, სარგებლობდნენ რა გურიაში ატეხილი შინაური შფოთით, ხშირად ისაკუთრებდნენ საჯავახოს.

3. საჯავახო რომ გურიელს მიეკუთვნა, მის შემდეგ ისეთი არეულობით სავსე დრო გავიდა, რომ გურიელს არათუ საჯავახოს მფლობელობის, არამედ თვით გურიაზე უფლების დოკუმენტიც კი აღარ შემორჩა. საჯავახო რომ გურიის ნაწილია, ეს იმით მტკიცდება, რომ გურიის ერისთავებს ახლაც აქვთ ამ ტერიტორიის მფლობელობის ან ამ მხარეში მათი მოხელეებად დანიშვნის საბუთები, რომლებიც გურიელების მიერაა გაცემული (რამდენიმე ასეთი დოკუმენტი გურიელმა

საჯავახო XVIII ს. 70-იან წლებში მამია IV გურიელს ჩამოართვა სოლომონ I მა. XVIII ს. მიწურულს იმერეთის მეფე დავით გიორგის ძემ საჯავახო მზითვად გაატანა თავის სიდედრს, ანა ერისთავის ქალს (ორბელიანის ქვრივს), რომელიც ვახტანგ გურიელს გაჰყვა. ქორწინებიდან 1 წლის შემდეგ ანა გარდაიცვალა და საჯავახო სოლომონ II-მ დაიკავა.

[14] ზორბა — მოჯანყე (თურქ.).

რტიშჩევს გაუგზავნა), „კიდევ საჯავახოშიდ მცხოვრებს აზნაურზედ და გლეხზედ გაცემული გურიელებისაგან სხვადასხვა წყალობის სბუ-თები დღესაც მრავალი იპოება საჯავახოშიდ და თუ (მც) ჩვენი არ ყოფილა ის ხსენებული საჯავახო, აქ განიხილეთ, — სხვისი სახელოთ ან სამკვიდროდ გაცემა როგორ შეიძლებოდა“ — აღნიშნავდა გურიელი [65. 2. 256. 35].

გურიელის მიერ წარდგენილი დოკუმენტები იმდენად თვალსაჩინოდ ადასტურებდნენ საჯავახოზე მის მფლობელობით უფლებას, რომ მთავრის გულის მოსაგებად რტიშჩევმა 1815 წ. 6 ნოემბერს გურიელს გადასცა საჯავახოს ნაწილი, — მდ. ქვაფათის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლები [65. 256. 514]. გურიელი იძულებული გახდა ამჯერად ამით დაკმაყოფილებულიყო.

მიუხედავად რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში შესვლისა გურიის სამთავრო მაინც თურქეთიდან თავდასხმების მუდმივ შიშში იყო. სამხრეთი საზღვარი ფაქტიურად ღია ფრონტი იყო და ზოგჯერ გურიელს სხვა აღარაფერი რჩებოდა, რომ შემოსაჭრელად გამზადებული მტრისთვის დაესწრო და პირიქით შეეტია. მაგ., 1817 წ. გურიელმა გაიგო, რომ სამხრეთ საზღვართან გურიაში შემოსაჭრელად გამზადებული რაზმი იდგა, სასწრაფოდ ჯარი შეჰყარა, საზღვარზე გადავიდა და თავშეყრილი მტერი გაფანტა [53. 1. 81—82].

გრძელდებოდა შინაური შფოთიც, არ თავდებოდა ბატონიშვილებს შორის კინკლაობა. 1817 წელს მთავარი ზოგ მამულზე ედავებოდა დავით ბატონიშვილს (28. 327); მთავარს ეურჩებოდნენ ნაკაშიძეებიც. გურიელი იძულებული გახდა რუსეთის სარდლობისათვის მიემართა, სარდლობამ 1817 წ. გურიაში გაგზავნა ჯარისკაცთა რაზმი, რომელმაც ააფეთქა ნაკაშიძეთა ციხე გურიამთაში. 1818—1819 წწ. ყმა-მამულზე დაობდნენ დავით ბატონიშვილი და ვახტანგ გურიელის ქვრივი [26. VI (1), 667.] 1815 წლიდან გრძელდებოდა დავა მთავარსა და ქაიხოსრო ბატონიშვილს შორის [26. VI (1) 667—668]. გურიელის ბიძა ზურაბ წერეთელი ცდილობდა მთავრისა და ქაიხოსროს ერთმანეთთან შერიგებას, მაგრამ მათ შორის ურთიერთობა თანდათან მწვავდებოდა. შემოქმედის ციხეში მყოფი ქაიხოსრო არც მთავარს ეპუებოდა და არც რუს მოხელეებს [26. VI (1), 667—668]. გურიელმა ბევრჯერ სცადა, რომ ქაიხოსროს მისთვის „თავი დაეკრა“, მის წინაშე „თავი დაემდაბლებინა“, მაგრამ ქაიხოსრომ ეს არ იკადრა. მამია იძულებული გახდა იმას შერიგებოდა, რომ ქაიხოსრო თავისი საბატონიშვილოს დამოუკიდებელი გამგებელი გახდა.

ამ სიძნელეებს ისიც დაერთო, რომ ახალგაზრდა მთავარი (მამია 1789 წელს იყო დაბადებული) მოულოდნელად მძიმედ დაავადმყოფ-

და, ხშირად ცუდად ხდებოდა და საქვეყნო საქმეებს სათანადოდ ვეღარ უძღვებოდა. ასეთ ვითარებაში მთავრის კარზე ყოვლისშემძლე პიროვნებად იქცა სახლთუხუცესი დავით იოანეს ძე მაჭუტაძე. „მაჭუტაძესა“ და ქაიხოსროს შორის ჩამოვარდნილმა მტრობამ მთავარი და ქაიხოსრო საბოლოოდ დააშორა ერთმანეთს.

1819 წ. 9 აპრილს ზემო აჭარის გამგებელი აჰმედ-ბეგ ხიმშიაშვილი დიდი რაზმით მოულოდნელად გადავიდა აჭარა-გურიის ქედზე, დაარბია სოფელი ასკანა და ტყვეები გაიტაცა. ახლომახლო სოფლების მოსახლეობა მაშინვე შეიკრიბა და ხიმშიაშვილის რაზმს მთის გზაზე დაეწია. ბრძოლაში მომხდურები დამარცხდნენ და დიდად დაზარალდნენ; გურიის მოლაშქრეებმა ტყვედ გატაცებული თანამემამულეები დააბრუნეს, დაატყვევეს აჰმედ-ბეგის ბიძაშვილი, ორი მოხელე, 12 ბაირახტარი და 73 რიგითი მოლაშქრე, მოკლეს ერთი აღა და 83 მოლაშქრე [26. VI (1), 669]. გურიელმა ეს ამბავი მთავარმართებელს აცნობა, მან საგარეო საქმეთა სამინისტროს და რუსეთის ელჩმა სტამბოლში სულთნის მთავრობას მტკიცე პროტესტი განუცხადა [29ა. 76][15].

ასე გადიოდა დრო. გურიის სამთავრო, რომელიც 1810 წლიდან რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობაში იყო შესული და რომელსაც „უმაღლესად“ დამტკიცებული ხელშეკრულებით მტრისგან რუსეთის ჯარით დაცვა ჰქონდა აღთქმული, სულ რბევა-აწიოკებაში იყო. გურიის ის სოფლები, რომლებიც თურქეთის საზღვრებიდან შემომავალ გზებთან ახლოს მდებარეობდა, საშინლად მოოხრდა და თითქმის გაუკაცრიელდა.

რუსეთის მთავრობა თურქეთთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდებოდა და დიპლომატიური გზით ცდილობდა გურიის საზღვრებზე მშვიდობის დამყარებას. რუსეთის სტამბოლელი ელჩი პროტესტს უცხადებდა ბრწყინვალე პორტას, მაგრამ ამას გურიისათვის მშვიდობა არ მოჰქონდა ეს ძირითადად იმით აიხსნებოდა, რომ რუსეთის იმპერიის მოსაზღვრე ტერიტორიების — ახალციხის საფაშოს, აჭარის და ქვემო გურიის (ქობულეთის) გამგებლები, გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები ფაქტიურად თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ, სულთნის განკარგულებებს ხშირად არაფრად აგდებდნენ და სულთანს მათი დამორჩილება არც შეეძლო.

---

[15] აჭარის მმართველის გურიაზე თავდასხმის მიზეზი სწორადაა ნაჩვენები ერთ ძველ დოკუმენტში: აჰმედ-ბეგ ხიმშიაშვილი „აოხრებდა სოფლებსა ხშირად თავდასხმით. კაცის სულების მოტაცებით ანუ დახოცვით. ვითარცა აწვევდა სჯულის გარდამავლობა“ (64 S — 5246).

ამიტომ იყო, რომ მთავარმართებელი ერმოლოვი (1816—1826 წწ) საგარეო საქმეთა მინისტრს ნესელროდეს წერდა, რომ, რაკი საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების გამგებლები თურქეთის მთავრობას აშკარად ეურჩებიან და მათთან ევროპული დიპლომატიის წესით პროტესტებს აზრი არ ექნება, სჯობს ყოველ მათ დარტყმას დარტყმით ვუპასუხოთ და მოვსპოთ საზღვარზე გადმოსული რაზმები, თურქეთის მთავრობა, რომელსაც მაჰმადიანი ქართველი ფეოდალები არ ემორჩილებიან, მათი დასჯის გამო საყვედურს არ გვეტყვისო [53. 80—82].

ასეთი რთული საგარეო და საშინაო ვითარების მიუხედავად, გურიის სამთავროს ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება მაინც განვითარების გზით მიდიოდა. ამას დიდად შეუწყო ხელი მამია V გურიელის ხანმოკლე, მაგრამ უნარიანმა გამგებლობამ. მთავარი შეძლებისდაგვარად ზრუნავდა ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პროგრესული სიახლეების დასანერგად.

ოფიციალურ პოზიციებზე მდგომი ისტორიკოსი ვ. ივანენკო წერდა: „ჩვენს (ე. ი. რუსეთის. — ქ. ჩ) ქვეშევრდომობაში შემოსვლამდე, ე. ი. 1811 წლამდე გურიის მმართველობა სავსებით პატრიარქალური იყო. იქ არ იყო არავითარი სახელმწიფო დაწესებულებანი და წარმოდგენა არ ჰქონდათ წერილობით საქმისწარმოებაზე“ [56. XII 256], რუსეთთან დაკავშირების შემდეგ კი „რუსეთის მთავრობის გავლენით ყოველგვარი სასამართლო საქმეების გასარჩევად მაშიამ გურიაში დაარსა დივანი რამდენიმე მდივანბეგის შემადგენლობით, დანიშნა სახლთუხუცესი, საფინანსო ნაწილის გამგებელი, ბოქაულთუხუცესი რამდენიმე იასაულით, — სასამართლო დადგენილებათა და მთავრობის ბრძანებათა აღსასრულებლად და რამდენიმე მოურავი სახელმწიფო საქმეთა განსაგებლად“ [56. III. 257].

ვ. ივანენკოს არც ერთი ზემოთ მოტანილი დებულება სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს მტკიცება მიზნად ისახავს მკითხველს შთაბეჭდილება შეუქმნას რუსეთთან შეერთების შემდეგ გურიის სამთავროში დამყარებული „კეთილდღეობის“ შესახებ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, გურიის ცალკე გამოყოფიდანვე ამ სამთავროში საკმაოდ კარგად ორგანიზებული ადმინისტრაციული აპარატი არსებობდა. მამია V გურიელს არც ერთი ახალი სახელო (თანამდებობა) არ შემოუღია. გურიაში თავიდანვე არსებობდა მთავრის კანცელარია (სამდივნო) სათანადო საქმისწარმოებით, ხოლო, რაც შეეხება სამართლის — წარმოების წერილობით გაფორმებას, ჩვენამდე მოღწეულია თავად ნაკაშიძის სარჩელის ტექსტი, რომელიც 1713—1716 წლებშია შედგენილი [4. 1. 474—475].

XVIII ს. პირველ მეოთხედშია შედგენილი სასამართლოს ოქმი აზნაურების სვიმონ იორაიშვილისა და იოვანე ანთელიძის საქმეზე [64. S — 1348ა, ყდაზე!], რაც იმის მაჩვენებელია, რომ გურიის სამთავროში წერილობით საქმისწარმოება ადრეც არსებობდა.

XVIII—XIX სს. მიჯნის მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებამ გურიის სახელმწიფო წყობილებას დაღი დაასვა, მაგრამ ქაიხოსრო ბატონიშვილისა და შემდეგ მამია გურიელის გონივრული მმართველობის წყალობით სამთავროს მმართველობის სისტემა არ მოშლილა. საქმის წარმოების რუსული სისტემის გავლენა მართლაც შეიმჩნევა, მაგრამ ეს ძირითადად ბიუროკრატიზმის ელემენტების გაჩენა-დამკვიდრებაში გამოიხატებოდა. ეს განსაკუთრებით 1810 წლიდან ჩანს, როცა გურიის ადმინისტრაციას იმერეთის დროებით გამგებლობასთან ჰქონდა ურთიერთობა. მეფის რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, რომ გურიელს თავის სამთავროში მმართველობის რუსული წესები დაენერგა, მაგრამ მთავარი, გასაგები მიზეზების გამო, ამაზე უარს ამბობდა.

გრიგოლ წერეთლისადმი მიწერილ წერილში [1823—1826 წწ] მამია წერდა: „რაჲცა გებრძანათ, ესრეთის პოლიტიკის ჩვეულება ხშირად აქვთ მათ, რომელიმე კარგს იტყვიან სასმენლად, საკმაო არს, მაგრამ საფუძველი კი კეთილი არ სჩანს... მე ვიცი, გურია არ შეინახავს როსიულათ გამგებელს“ [63. Sd — 1384]; მეფის რუსეთის მმართველობის სისტემის გავლენა მაშინ მხოლოდ იმაში გამოიხატა, რომ რუსეთთან ურთიერთობის საჭიროების შესაბამისად უფრო რეგულარული ხასიათი მიეცა მთავრის კანცელარიის მუშაობას, შემოიღეს შემოსული და გასული დოკუმენტების დანომრვა და სხვა. მამია გურიელმა მოაწესრიგა სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა. მას ჰქონდა „ანგარიშის წიგნები შემოსავლისა, გასავლისა და ვალთათვის“ [65. 2. 5670. 99].

სახელმწიფო მოურავებს ზუსტად ჰქონდათ აღრიცხული სახელმწიფო ყმა-მამულები და მათი შემოსავალი. მტკიცედ იყო დაცული სამართლის ნორმების გამოყენება. სამართლის წარმოებისას ბევრ შემთხვევაში საჭირო მითითება-განმარტებებს თვითონ მთავარი იძლეოდა[68. 1201], გარჩეული საქმეები სათანადო დავთრებში აღირიცხებოდა.

გურიის მდივანბეგთა ოქმების ნაწილი [1818 და 1822 წლებისა], იპოვა და შემოკლებით გამოსცა დიმიტრი ბაქრაძემ [28. 341—351], მათი სრული ტექსტი კი ი. დოლიძემ გამოაქვეყნა (ქართული სამართლის ძეგლები, VI, 1977) ოქმების ნაწილი ჯერჯერობით გამოუქვეყნებელია.

მოწესრიგებული იქნა ადგილობრივი მმართველობის საქმეებიც. სამთავროს საშინაო ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები იმდროინდელი სახელმწიფო დოკუმენტების ფორმასა და სტილშიაც აისახა. მამია V თავის ქვეშევრდომ ფეოდალებს მიმართავდა „ოდესაც ,,ამის ბრწყინვალეგას“, „მოწყალე ხელმწიფეს“, „კეთილშობილს“, „ძმას“... რაიმე დავალების მიცემისას „გთხოვ და გიბრძანებო“ — აღნიშნავდა მთავარი [62. 1350; მოამბე, 1899, №11, გვ. 19].

რუსეთის მფარველობაში შესვლას სხვა დადებითი მოვლენებიც მოჰყვა. მამია V-ის დროს გურიაში თვალსაჩინოდ შეიმჩნეოდა ევროპული გავლენის შემოჭრა, ევროპული ყოფის დამკვიდრების პირველი ნიშნები. გამდიდრდა და მრავალფეროვანი გახდა მთავრის ბიბლიოთეკა. მთავრის წიგნთსაცავში, სხვათა შორის, იყო „3 მარხვანი, 4 სადღესასწაულო, 4 სახარება და ერთი ამათგანი მდიდრულად დაწერილი, 5 დავითნი, ამათგან ზოგი ხუცური და ზოგი მხედრული, 4 ლოცვანი, 1 ზატიკი, 3 ჟამნი, 2 კურთხევანი, 1 მარგალიტის წიგნი, 2 სამართლის წიგნი, 1 ყარამანიანი, 1 არაკიანი, 1 ვეფხისტყაოსანი, 1 საამიანი, 1 მფრინველის კარაბადინი, 1 ცხენის ლექსი... 1 ქილილა ლექსის წიგნი...“ [65. 5670, 96—99]. დავით ბატონიშვილის (მამიას ვაჟის) წიგნებს შორის იყო „5 სახარება, 1 ქართული ლექსიკონი“ [65. 2. 5670, 101—102]. მთავრის სახლში ყოფილა „ქართლის ცხოვრებაც“.

ლევან ბატონიშვილი (მამიას ბიძა) რუსეთის ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილში წერდა, რომ გურიის სამთავროს ძველი საზღვრების შესახებ ცნობა „ეგების ცხოვრებაში ვნახოთ“ [26. II. 544]. მთავრის არქივში დაცული ყოფილა „ამას გარდა ძველი საოჯახო წიგნები (ე. ი. დოკუმენტები. — ქ. ჩ.) სხვადასხვა“ და თამასუქები, ხელწერილები, სათავდებო წიგნები — რიცხვით 200-მდე, აგრეთვე „სხვა და სხვა ანგარიშის წიგნები შემოსავლის და გასავლისა და ვალთათვის, სულერთიანათ ერთ ადგილას მდებარე“ [65. 2. 5670. 96—99], რუსეთთან დაკავშირების შემდეგ მთავრის მდიდარ წიგნთსაცავს შეემატა „ორს სკივრში სავსედ მდებარე... სხვადასხვა წიგნები: რუსულხი, ფრანციცულნი და სხვადასხვა ისტორიები“ [იქვე 26. II. 544]; ცხადია, ამ წიგნებს მთავრის კარზე მკითხველი ჰყავდა.

მთავრის გარდერობში, ეროვნული ტანსაცმლის გვერდით, ადგილი დაიკავა რუსულმა მუნდირმა, „სერთუკმა“, „კაფთანმა“. მთავრის სასახლეში გაჩნდა „დიდი სტოლის საათი თავისი მუზიკის კოლოფითა“, „ჩაინიკი“, „სამოვარი“ და მრავალი რუსული თუ ევროპული ნივთი. გურიელის ეზოში იდგა რუსული „კალასკა“ [65. 2. 5671. 96—101].

1822 წელს გურიელმა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ველიამინოვს სთხოვა ისეთი ორღანი გამომიგზავნე

როგორც გენერალ გორჩაკოვთან ვნახეო. ველიამინოვი გაგზავნას შეჰპირდა (26. VI 2 677) და ალბათ გაუგზავნა კიდეც. ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს ორგანი გურიელის სასახლეში გამოუყენებლად არ დარჩენილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდროინდელი გურიის ზედა ფენების კულტურულ მოთხოვნილებებზე მიგვითითებს ამბავი წერილი გრიგოლ წერეთლისადმი (1816 წ. 3. IXI), რომ მას მთავრისთვის გაეგზავნა ოქრომჭედელი ივანე ჩიკვილაძე თავისი „ხელჭურჭლით“ (სამუშაო იარაღებით), — ძალიან მჭირდებაო, — წერდა გურიელი და ამასთანავე სთხოვდა, რომ მისთვის გაეგზავნა წიგნებიც: „ანტონის აღწერა პაპისა და ბონაპარტეს მიწერმოწერა და მილორდის“ (იგულისხმება წიგნი „მილორდიანი“ — ქ. ჩ.).

მთავარს გურიის დიდმა ფეოდალებმაც მიბაძეს და მათ მდიდრულ კაბებსა და მოსირმულ ჩაქურებზე რუსული ეპოლეტები და ჯვარმედლები აბრწყინდა. ხმარებაში შემოვიდა რამდენიმე ევროპული და რუსული სიტყვა-გამოთქმა.

ყოველივე ეს, მართალია, საყოფაცხოვრებო დეტალებს წარმოადგენდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთის გზით და მეშვეობით არა მარტო ევროპული ნივთი და სიტყვა, არამედ ზოგჯერ ევროპული განათლების შორეული შუქიც მისაწვდომი გახდა, — ნათლად გამოჩნდება მთავრისა და გურიის დიდი ფეოდალების ცხოვრებაში მომხდარ ამ ცვლილებათა და სიახლეთა დიდი მნიშვნელობა.

ჩვენი ნათქვამი რომ უფრო თვალსაჩინო და დამაჯერებელი გახდეს, მოვიტანთ ვრცელ ამონაწერებს ერთი სანდო ისტორიული წყაროდან. დიმიტრი ყიფიანის სიტყვით, მამია V გურიელმა „ყმაწვილთა სასწავლებლად გააჩინა ოზურგეთში შკოლაი; ვაჭრობისა და აღებ-მიცემობის განსამხნევებლად ერთს თავის სოფელთაგანში დააწესა მან მარინობა (დღესასწაული წმინდის მარინასი), რომელზედაც შემდგომ მივიდოდნენ ხალხნი მთელის სამთავროთგან შეხალისებული სხვადასხვა სანახავებითა, რომელსაცა წარმოადგენდნენ ხოლმე მოლდავიისგან, ანუ ვალახიითგან მოწოდებული ფიგლიარები და მეკომედიები. ზნეობითს განსანათლებლად დააწესა მან თავის სახლში საღამოს შესაქცევი შეკრებილება ასამბლეების მსგავსად (ე. ი. ბალისა), გამოიყუანნა ევროპიითგან ბუზიკის მასწავლებელი და ჩვეულებად გააჩინა ევროპული ტანცები. ასე რომ, ძვირად იპოვება ახლა[16] მის დროის თავადი ვინმე ან თავადის ქალი, რომელმაც კარგად არ იცოდეს ევროპული ტანცაობა, და ესრეთ მცირედს ჟამში გურია აღვიდა უფრო უმაღლეს

---

[16] ეს 1840 წელსაა დაწერილი — ქ. ჩ.

განათლების ხარისხზე, ვიდრე სხვანი კავკასიის აქეთ მდებარე თემნი (20. 56).

დიმიტრი ყიფიანი რომ არ აჭარბებს, ამას სავსებით ადასტურებს 1837 წელს გურიაში მყოფი ოდესელი პროფესორი (წარმოშობით გერმანელი) ა. ნორდმანი. მისი სიტყვით, „ამიერკავკასიის ყველა ტომს შორის, რომლებიც მე მოვინახულე, პატარა, მშვენიერი გურიის მცხოვრებლები განათლებულობის უმაღლეს საფეხურზე დგანან“ [46. 434][17].

თანამედროვეთა სიტყვით, მამია გურიელი ყოველნაირად ცდილობდა გურიაში ევროპული კულტურის შეტანას. მის დროს ოზურგეთში მიწვეული მუსიკოსებისათვის მთავრის სასახლის ეზოში აუგიათ საგანგებო ნაგებობა („беседка“), სადაც საღამოობით უკრავდნენ ეს მუსიკოსები და რუსი ოფიცრები და გურიის თავადაზნაურები გატაცებით ცეკვავდნენ ევროპულ ცეკვებს: მენუეტს, პერეგურდინს და სხვ. ცეკვის მასწავლებლად მთავარმა ტანცმაისტერი დაიქირავა. გურიელი განსაკუთრებით დაინტერესებული იყო, რომ ევროპულ კულტურას ზიარებოდნენ მისი ქვეშევრდომი ახალგაზრდები. მამია, „უაღრესად ზრდილი და გონიერი ადამიანი, მთელი ძალით ცდილობდა ევროპულ ყაიდაზე გარდაექმნა გურია“, იგი სასახლეში ხშირად და ხალისით იღებდა უცხოელ და რუს სტუმრებს, ხელგაშლილად და გულღიად ცხოვრობდა და ერთი კვირაც არ გავიდოდა ისე, რომ მის სასახლეში არ ყოფილიყო ზეიმი და მხიარულება, რომელშიაც გურიის ახალგაზრდობა (ცხადია, თავადაზნაურობა) მონაწილეობდა [34].

საფრანგეთის თბილისელი კონსულის გამბას სიტყვით, მამია გურიელს ძალიან მოსწონდა ევროპელთა ზნე-ჩვეულებანი და ცდილობდა გურიაში მის გავრცელებას. გურიელის აღტაცებას იწვევდა ევროპული ძრეწველობის ნაწარმიც და იგი დიდად უწყობდა ხელს ევროპასთან სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას [60$_2$. 121].

დაწინაურდა იმ დროს განათლების საქმეც. გურიის სამთავროში სკოლები მონასტრებთან იყო. განათლებას მეტწილად ქალები ეწაფებოდნენ, რადგანაც ვაჟები მუდმივი საფრთხის გამო ძირითადად სამხედრო საქმით იყვნენ დაკავებულნი. სამონასტრო სკოლებში ქალებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, მოკითხვისა და სხვა წერილების დაწერას, ხელსაქმეს, აკითხებდნენ საგმირო პოემებსა და სხვა საერო თხზულებებს, ასწავლიდნენ სასულიერო ხასიათის თხზულებებსაც — დავითნს, დაუჯდომელს, დაბადებას, სახარებას, სამოციქულოს და ა. შ. [20. 63].

---

[17] «Из всех закавказских племен, которые я имел случай видеть, обитатели малой, но живописной Гурии стоят на высшей ступени образованности».

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მამია გურიელი ცდილობდა ვაჭრობისა და აღებმიცემობის განვითარებას. ოზურგეთთან ერთად მაშინ გურიის ცენტრი იყო მთავრის საზამთრო სადგომი ნაგომარი. სწორედ აქ დააარსა გურიელმა თავისი დედის — 1814 წ. გარდაცვლილი მარინას ხსოვნის აღსანიშნავად 1816 წლის 17 ივლისს (წმ. მარინას დღეს) ქალაქობა ანუ „იარმარკა“ (ბაზრობა), რომელიც შემდეგ ყოველწლიურად იმართებოდა.

სუფსის ნაპირას, მთავრის სასახლის გალავანში, დიდი ხეების ქვეშ გაშართული „მარინობა“, რომელიც 17 ივლისიდან თვის ბოლომდე გრძელდებოდა, გურიის სამთავროსა და მეზობელი მხარეების — იმერეთის, სამეგრელოს, აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობის თავშეყრის ადგილად იქცა. ორი კვირის განმავლობაში იქ იყიდებოდა როგორც ადგილობრივი ნაწარმი, ისე შემოტანილი საქონელიც. ადგილობრივი ნაწარმიდან მარინობაზე გამოჰქონდათ: აბრეშუმი (ძაფი და ქსოვილები, მაგ., დარაია), წინდები, შალები, ყაბალახები, ქუდები, ჩიბუხები, ჩარვლები, „ზუპუნები“ (телогрейка), სირმითა და ფერადი ძაფით გაწყობილი ელეღები (ჟილეტები), სათამაშოები, სალამურები, დოქები, ჭურები, კოკები, ქოთნები, თამბაქო, ხილი, ღვინო, ყველი... ნაგომრის „ქალაქობა“ ხალხის გართობასა და ახალი ამბების გაგების ადგილი იყო. აქ იმართებოდა „ბურთაობა, ჯირითობა, ჭაკუნობა (ბალახის ჰოკეი — ქ. ჩ.), ბაწარზე ხტომა თუ კაცზე გადახტომა და სხვა ათასი რაცხა, ვის გაახსენდება“ [61].

მამია გურიელი თავის სამფლობელოში ყოველ მოწინავე სიახლეს, ახალ საჭირო და სასარგებლო წამოწყებას ხელს უწყობდა და აქეზებდა. ამის საუკეთესო მაგალითია გურიაში ევროპული ტიპის მეურნეობის შექმნის ცდისადმი მისი დამოკიდებულება. ამ საქმის ინიციატორი იყო დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი შოტლანდიელი აგრონომი, იმ დროისათვის საკმაოდ განათლებული იაკობ მარი. იგი საქართველოში 1822 წ. ჩამოვიდა, როგორც ატკუდის სავაჭრო ფირმის წარმომადგენელი. ამ ფირმას რუსეთის ხელისუფლებისგან თბილისსა და ყულევში უბაჟოდ ვაჭრობის უფლება ჰქონდა მინიჭებული. საქართველოში ი. მარს ვაჭრობამ არ გაუმართლა; ამის გამო მან ვაჭრობას თავი მიანება და ოჯახითურთ გურიაში დარჩენა გადაწყვიტა.

მარს, როგორც აგრონომს, ძალიან მოსწონებია გურიის ბუნებრივი პირობები. იგი დარწმუნებული იყო, რომ ამ მხარეში ევროპულად მოწყობილ მეურნეობას კარგი შემოსავლის მოცემა შეეძლო. მარმა გურიელს სთხოვა, მისთვის გურიაში დასახლების ნება მიეცა და საცდელ-სანიმუშო მეურნეობის შექმნაში დახმარებოდა. გურიელმა ი. მარს თხოვნა შეუსრულა და რამდენიმე ქცევა მიწა უბოძა. მარი

ერთხანს ლანჩხუთში ცხოვრობდა, შემდეგ კი სოფ. დაბლაციხეში დასახლდა, აქ მთავრის ნაბოძებ მიწას თავისი ნასყიდიც დაუმატა და მეურნეობის მოწყობას შეუდგა. თავის მამულში მარმა რამისა და ინდიგოს მოყვანა სცადა, ყირიმიდან ვაზის ნერგები გამოიწერა და მოამენა; ამავე დროს იგი ადგილობრივი მაღლარი ვაზის ღვინის დაყენების წესის გაუმჯობესებას შეუდგა.

ი. მარმა ოზურგეთში საფუძველი ჩაუყარა მთავრის ბაღს, რომელშიაც უცხო და იშვიათი მცენარეები იყო გაშენებული. „მთავრის ბაღი" შემდეგ, ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს [1844—1854 წწ], გაფართოვდა და საყოველთაო მოწონებას იწვევდა, მაგრამ იგი რუსეთ-თურქეთის 1853—1856 წწ. ომის დროს შემოსეულმა თურქებმა გაანადგურეს.

ოფიციალური ცნობით, ი. მარმა მამია გურიელის სიცოცხლეშივე მოიპოვა გურიაში „საყოველთაო სიყვარული და ნდობა, ხოლო თავისი მეურნეობით ამ მხარეზე სასარგებლო გავლენას ახდენდა" [24. 103; 6. 15—16]. მალე მარის მეურნეობა ისე გაძლიერდა, რომ მას საკუთარი წარმოების ღვინო დიდი რაოდენობით გაჰქონდა ქუთაისში.

1833 წ. გურიაში მყოფი შვეიცარიელი მეცნიერი დიუბუა დემონპერე მარის მამულის ნახვით აღტაცებული დარჩა [60. 112—115]. გურიელი ხედავდა, რომ მარს მუშახელი სჭირდებოდა და მისთვის ყმების ბოძება უნდოდა, მაგრამ ი. მარმა განაცხადა: „მე სინდისი და მრთელი ჭკუა (ე. ი. საღი გონება — ქ. ჩ.) ნებას არ მაძლევს, რომ ჩემისთანა კაცები მე მონებად მყავდესო" (5).

ი. მარი გურიაში დასახლების შემდეგ პირველ ცოლს, ესპანელ ქალს, გაეყარა (ეს ქალი თბილისში დასახლდა. მისი ასული იყო ფაბრი, განთქმული პანსიონის პატრონი) და მოგვიანებით გურული ქალი — ნიკო მარის დედა — შეირთო.

იმდროინდელი სოციალურ-ეკონომიკური წყობის პირობებში ი. მარის საქმიანობას გურიის სამეურნეო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება არ შეეძლო, მაგრამ ის ფაქტი, რომ გურიელი და ადგილობრივი მოსახლეობაც ინტერესით და მხარდაჭერით შეხვდნენ გაუმჯობესებული ტიპის მეურნეობის შექმნის ცდას, აშკარა მაჩვენებელია იმდროინდელი პროვინციული ქართული საზოგადოების დიდი მისწრაფებებისა, სიახლისა და წინსვლისადმი.

მამია გურიელმა მნიშვნელოვანი ახალმშენებლობანიც წამოიწყო. მან ოზურგეთში ახალი, ევროპული სტილის სასახლის აგება გადაწყვიტა და თავისი რეზიდენციის საბოლოოდ ნაგომრიდან ოზურგეთში გადატანა უნდოდა. მაშინ გურიელს ნაგომრის ციხის გალავანში ქვის სასახლე ედგა, ოზურგეთში კი გურიელთა ძველი ციხე-დარბაზის ნამ-

ყოფ ადგილზე ხის ერთსართულიანი სასახლე ჰქონდა. მამიამ ოზურგეთში ქვის სამსართულიანი დიდი სასახლის მშენებლობა დაიწყო.

ალბათ ამ მშენებლობაზეა ლაპარაკი გურიელის წერილში იმერეთის მმართველ პოლკოვნიკ პუზირევსკისადმი 1820 წ. 14 მარტს. მამია სწერდა: — მშენებლობა დროებით გადავდე, რადგანაც „უსტაც[18] აქაური არა მყავდა, ოსმალთაგან უნდა მეშოვნა და ქობულეთის ბინეიმინი ციხეს აშენებს და იმას ჰყავს უსტა სადაც იყო — ყველა და მე ვეღარ ვიშოვე იქიდამ“ — [65. 2. 1008.].

მამიამ ოზურგეთში, სასახლის გალავანში ააგო მარანი, სამზარეულო სახლი, აბანო და სხვა ნაგებობანი, მოაწყო მშვენიერი ფანჩატური. მამია სასახლის დამთავრებას ვერ მოესწრო, როცა იგი გარდაიცვალა, მარმარილოს სვეტებიანი სასახლის მესამე სართულის გადახურვაღა რჩებოდა, მაგრამ ამ დროს გურიაში არეულობა დაიწყო (ამაზე ქვემოთ) და სასახლე დაუმთავრებელი დარჩა. შემდეგ სამეგრელოს მთავარმა დავით დადიანმა რუსეთის ხელისუფლებას თავისი ზუგდიდის სასახლისთვის სთხოვა ოზურგეთის სასახლის მარმარილოს სვეტები. მთავრობამ ნება დართო და დადიანმა ეს სვეტები ოზურგეთიდან წამოიღო, მაგრამ ამ დროს დავით დადიანი გარდაიცვალა (1853 წ.), თანაც ყირიმის ომიც გაჩაღდა და სვეტები ანაკლიაში ჩარჩა [19. 26; 37. 58—59; 45. 54]. მამია გურიელის დროს უნდა იყოს აგებული ოზურგეთში წმ. მარინას ხის ეკლესიაც, რომელიც ოზურგეთში XIX ს. მეორე ნახევარშიც იდგა.

სოფ. შემოქმედში ჩაწერილი ერთი ზეპირგადმოცემით მამია V გურიელსვე მიეწერება მდინარე ბჟუჯის კალაპოტის შეცვლა. ბჟუჯი წინათ იმ მაღლობის ძირში მიედინებოდა, რომელზედაც გურიელის სასახლე იდგა. წყალდიდობის დროს მდინარე სასახლის გალავანს ძირს უთხრიდა. გურიელის ბრძანებით სოფ. შემოქმედში არხი გაუჭრიათ და ბჟუჯის წყლის დიდი ნაწილი იმ არხში, მდინარის ახლანდელ კალაპოტში გადაუგდიათ. ძველ კალაპოტს სახელად ნაბჟუ[ჯ]არა შემორჩა.

მამია გურიელის დროს შეკეთდა გურიის ციხეები, დაიწყო ახალი გზების გაყვანა და ძველების შეკეთება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გურიელმა ნაგომრის სასახლესთან საგანგებოდ აგებულ შენობაში დააარსა ქსენონი (თავშესაფარი-საავადმყოფო), რომელიც 1892 წლამდე მოქმედებდა [22. 1898 წ., № 672].

მამია გურიელის ღონისძიებებმა საგრძნობი ცვლილებები გამოიწვია სამთავროს ეკონომიკურ ცხოვრებაშიც. გამოცოცხლდა ვაჭრობა. ყირიმიდან, ტრაპიზონიდან, სტამბულიდან, ახალციხიდან, ქუთაი-

---

[18] უსტა — ოსტატი, ხელოსანი (თურქ.).

სიდან, თბილისიდან, ევროპის ქალაქებიდან, — შორეული ლონდონიდანაც კი გურიის ბაზრობებზე დიდი რაოდენობით შემოდიოდა აზიური და ევროპული საქონელი. გურიაში ძველთაგანვე მოვაჭრე თურქებს, მაჰმადიან ქართველებსა და ქართველ კათოლიკეებს რუსებიც შეემატნენ.

იმდროინდელ გურიაში მთავარი მუდმივმოქმედი სავაჭრო პუნქტი დაბა დვაბზუ იყო. დვაბზუში ოჯახებით ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ ქართველი კათოლიკეები: ვაჭრები — თუმანიშვილი, მელიქიშვილი, ბაგდოშვილი, ოქრომჭედელი გრძელიძე და ქურქჩი ზალინაშვილი, — სულ 8 კომლი, 27 სული [65. 2. 6444, სია №1]. მარინობისა და დვაბზუს ბაზრობის გარდა განთქმული ბაზრობები იყო: ჯუმათის, შუხუთის, მარიობის (ბაილეთში) და ახალკვირის (ასკანაში) [65. 684. 88].

ამ დროს პირველად მოჰკიდა ხელი რეგულარულ ვაჭრობას რამდენიმე ადგილობრივმა მცხოვრებმა. ვაჭრებს გურიიდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ (იმერეთსა და ახალციხის საფაშოში) ღვინო და თაფლი დიდი რაოდენობით გადიოდა გურიიდან სიმინდი და ხე-ტყე, ძირითადად ხიგვზისა და ბზის ხეები. ბაზარზე გამოდიოდა არაყი, სელი, ბამბა და ბამბის ქსოვილი, აბრეშუმი (დაურთავი და ძაფი), ხისა და თიხის ჭურჭელი, თევზი, მარცვლეული, ტყავი, სანადირო მოწყობილობა, ქვის კეცები და სხვა.

ბაზრობა ჩვეულებრივ პარასკევობით იმართებოდა და ამის გამო ბაზრობას „პარასკევობაც“ ერქვა, საერთოდ კი ბაზრობას „ქალაქობას“ ეძახდნენ. პარასკევობა ძველთაგან დადგენილი წესი იყო. ბიზანტიასა და ძველ რუსეთში, და ალბათ საქართველოშიც, წმ. პარასკევა ვაჭრებისა და ბაზრების მფარველად იყო მიჩნეული. საქართველოში პარასკევი ნაწილობრივ უქმე დღედ ითვლებოდა. ამ დღეს „მიწის შეძვრა“ — მიწის სამუშაოების შესრულება არ შეიძლებოდა, თუ ამას დავუმატებთ, რომ მაჰმადიანური სარწმუნოებაც პარასკევს (ჯუმა დღეს) უქმედ მიიჩნევდა, ცხადი გახდება, რომ პარასკევი შემთხვევით არ იყო სავაჭრო დღე.

XIX ს. დასაწყისის გურიაში წიაღისეულის მოპოვება-დამუშავებაცაა დადასტურებული. ერთი ოფიციალური ცნობით, შუა გურიაში რამდენიმე ადგილას წარმოებდა ნავთობის, უფრო ზუსტად კუპრის (ბუნებრივი ასფალტის) მოპოვება. მდ. ნატანების აუზში, ე. წ. იაკობისა და ნარუჯას მიდამოებში ყოველ ზაფხულს პრიმიტიული წესით იღებდნენ 70 ფუთ კუპრს. საკუპრეებიდან ამოღებულ (ე. ი. მიწის ზედაპირზე თვითდინებით ამოსულ) კუპრს მაშინ წამლად, გუდების მოსაკუპრავად და ურმის ღერძის საცხად იყენებდნენ. კუპრი ბაზარზე ბათმანობით იყიდებოდა; 1826—1827 წლებში 1 ბათმანი

(20 გირვანქა) კუპრი რუსულ ფულზე ანგარიშით 60 კაპ. (ვერცხლით) ღირდა [54. 86].

ეკონომიკური ცხოვრების გამოცოცხლებამ ფულზე მოთხოვნილება გაზარდა. გურიის მოსახლეობის ზედა ფენებში ახალი, ევროპული ყოფის ელემენტების შემოჭრამ მებატონეებისთვის ფულის მნიშვნელობა გაზარდა. ფეოდალები, ზოგჯერ მთავრის სახლის წევრებიც, ხშირად იღებდნენ სარგებლიან (პროცენტიან) სესხს ადგილობრივი თუ უცხოელი ვაჭრებისგან, რადგანაც ფულადი შემოსავალი ნაკლებად ჰქონდათ. ამან საგადასახადო სისტემაში ცვლილებები გამოიწვია.

თუ წინათ გლეხთა საბატონო გამოსაღებებში ფულადი გადასახადი ძირითადად საოსმალო ხარკის გადასახდელად იყო გათვალისწინებული (XVIII ს. 70-იანი წლებიდან გურია თურქეთს ხარკს აღარ უხდიდა) და მთლიანი საბატონო ვალდებულების მცირე ნაწილს შეადგენდა, XIX ს. პირველ მეოთხედში საბატონო გამოსაღებში ფულადი ნაწილის გაზრდის მიზნით გახშირდა ნატურალური გადასახადის ფულადით შეცვლა. ეს ნატურალური მეურნეობის რღვევის საწყის სტადიაზე მიგვითითებს. ნატურალური მეურნეობის რღვევის შემდგომ მნიშვნელოვან განვითარებას აფერხებდა ფეოდალურ ურთიერთობათა შეურყეველი ბატონობა, რასაც რუსეთთან დაკავშირების შემდეგ, განსაკუთრებით 1829 წლიდან, ზურგს ფეოდალური რუსეთის იმპერიის ძლიერი სამხედრო მანქანა უმაგრებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეორე

1820 წლის აჯანყება

შედარებით მშვიდობიანი განვითარების გზაზე დამდგარი გურიის სამთავროს ცხოვრების ხანმოკლე მყუდროება 1820 წლის ქარიშხალმა დაარღვია. გურიის მოსახლეობის დიდი ნაწილი აქტიურად გამოეხმაურა 1819 წელს იმერეთში დაწყებულ სახალხო აჯანყებას.

1811 წ. მეფის რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) და ქართველი მართლმადიდებელი სამღვდელოება რუსეთის სინოდს დაუმორჩილა. საქართველოს ეკლესიის სამართავად 1815 წ. შეიქმნა „საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა“[1]. კათალიკოსის თანამდებობა გაუქმდა და საქართველოს სამღვდელოებას სათავეში ჩაუდგა მეფის რუსეთის სინოდის მიერ დანიშნული ეგზარხოსი. მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოსა და გურიის სამთავროები იმ დროს რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ავტონომიურ სამფლობელოებს წარმოადგენდნენ, რუსეთის მთავრობამ ამ სამთავროთა ეპარქიებიც ეგზარხოსსა და სინოდის კანტორას დაუქვემდებარა.

ძველად საქართველოს ეკლესიასა და სამღვდელოებას შემოსავალი ძირითადად საკუთარი ყმა-მამულიდან შემოსდიოდა. ქართული ეკლესია მსხვილი მიწათმფლობელი და მებატონე იყო. გარდა საბატონო გამოსაღებებისა, ეკლესიის შემოსავალს წარმოადგენდა სასულიერო (საწესო) გამოსაღებები და ეკლესიებთან გამართული „ქალაქობების“ ბაჟი, აგრეთვე შეწირულებანი.

მეფის რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა, რომ ქართული ეკლესიის ყმა-მამული და ყოველგვარი სხვა შემოსავლის წყარო სახაზინოდ ჩაერიცხა და სამღვდელოება, რუსეთის სამღვდელოების მსგავსად, სახელმწიფო ჯამაგირზე გადაეყვანა. ამას აშკარა პოლიტიკური მიზანი ჰქონდა — რეფორმის შედეგად ქართველი სამღვდელოება რუ-

---

[1] იმდროინდელ რუსულ დოკუმენტებში საქართველო (Грузия) ეწოდებოდა მხოლოდ ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფოს ტერიტორიას.

სეთის მთავრობაზე დამოკიდებული აღმოჩნდებოდა და ძალაუნებურად მისი ერთგული უნდა ყოფილიყო [42. 55].

რუსეთის მთავრობის ეს განზრახვა საქართველოში დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. განსაკუთრებით მტკიცედ გამოვიდნენ საეკლესიო რეფორმის წინააღმდეგ დადიანი, გურიელი და მათი სამთავროების სამღვდელოება. მათ პროტესტი განაცხადეს ამ ღონისძიების წინააღმდეგ, რადგანაც მისი გატარება აშკარად არღვევდა სამთავროთა ისედაც შეზღუდულ ავტონომიას.

საქართველოს მთავარმართებელი რტიშჩევი იძულებული გახდა ამ საკითხზე პირადად მოლაპარაკებოდა თბილისში მასთან ჩასულ ლევან დადიანს და მამია გურიელს. მთავრებმა რტიშჩევს განუცხადეს, რომ ისინი, როგორც იმპერატორის ერთგულნი, თანახმა არიან, რომ მათი სამფლობელოების ეკლესია და სამღვდელოება დაექვემდებარონ დიკასტურიას (რომელიც ქუთაისში უნდა გახსნილიყო), რადგანაც მიაჩნიათ, რომ ეს ეკლესიისა და ქრისტიანობისათვის სასარგებლო იქნება, მაგრამ იმის წინააღმდეგნი არიან, რომ სამეგრელოსა და გურიის საეკლესიო ქონება და შემოსავალი რუსეთის ხაზინას გადაეცეს. დადიანმა და გურიელმა თავიანთი უარი სათანადოდ დაასაბუთეს:

„Отобрание в казну церковных имений в Мингрелии и Гурии послужит для них одным гневом монаршим и нарушением священных прав, заключенных с ними трактатов, коими от милосердия его императорского величества дарованы им особыя преимущества, также собственныя суды и расправа и самовластное управление народом, исключая одних уголовных дел, подлежащих суждению по российским законам“ [26. V. 416].

დადიანმა და გურიელმა რტიშჩევს აშკარად უთხრეს, რომ სამთავროთა ყმა-მამულის რუსეთის ხაზინისთვის გადაცემა ფაქტიურად ამ სამთავროთა გაუქმების ცდა იყო. ეკლესია ორივე სამთავროში დიდძალ ქონებას ფლობდა და რეფორმა რომ გატარებულიყო, რუსეთის მთავრობას ამ ავტონომიური სამფლობელოების ტერიტორიაზე საკუთარი ყმა-მამული გაუჩნდებოდა, რაც მას საბაბს მისცემდა საჭირო შემთხვევაში სამთავროთა ტერიტორიაზე თავის ნებაზე ემოქმედა. გასათვალისწინებელია ქართული საეკლესიო მფლობელობის თავისებურებაც: ყმა-მამული ეკლესიას ძირითადად შეწირულებების სახით ჰქონდა მიღებული იმ პირობით, რომ ეკლესიას ეს შეწირულება არ გაესხვისებინა. განსაკუთრებით დიდი იყო ამ შეწირულებაზე მთავრის (ხელმწიფის) უფლება, რაც, რეფორმის გატარების შემთხვევაში, უნდა გაუქმებულიყო. ამრიგად, ეს რეფორმა ეხებოდა არა მარტო სა-

კუთრივ ქართული ეკლესიის ქონებას, არამედ მთავრების უფლებებსაც მასზე.

დადიანისა და გურიელის მტკიცე პროტესტის გამო, რტიშჩევი იძულებული გახდა სამართლიანად ეცნო მთავრების, როგორც ავტონომიური მფლობელების (самовластные владетели), მოთხოვნა [26. V. 416]. რტიშჩევმა მთავრებს აღუთქვა, რომ რუსეთის მთავრობის მიერ მათთან დადებული ხელშეკრულებების „სამართლიანობისა და სიწმინდის შესაბამისად მათ სამფლობელოებში არსებული საეკლესიო ქონება სამუდამოდ ხელშეუხებლად და მათ ხელისუფლებაზე დამოკიდებულად დარჩებოდა, როგორც ეს ძველთაგანვე იყო“ (26. V. 435).

ამავე დროს რუსეთის მთავრობა კვლავ ზრუნავდა იმაზე, რომ სამთავროთა ეკლესიები რუსეთის ეკლესიასთან ყოფილიყო დაკავშირებული. ამ მიზნით რტიშჩევმა 1816 წ. გაზაფხულზე დადიანი და გურიელი დაითანხმა, რომ მათ თავიანთი სამთავროების ეკლესიები სასულიერო საკითხებში იმერეთის ეკლესიის გამგებელ ქუთაისის მთავარეპისკოპოს დოსითეოსისთვის დაექვემდებარებინათ. საეკლესიო შემოსავლის გამგებლობა ადგილობრივ მღვდელმთავრებს რჩებოდათ. დოსითეოსის ხელში გადადიოდა საეკლესიო დადგენილებათა გატარების, ეკლესიათა კეთილმოწყობის, მღვდელმთავართა ზნეობრივ-სასულიერო ქცევის განსჯისა და ხელთდასხმის (კურთხევის) საკითხები.

გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსთა კურთხევა შეიძლებოდა მხოლოდ საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის თანხმობით, რის შემდეგაც ეს რუსეთის სინოდისთვის უნდა ეცნობებინათ; საბოლოოდ ეპისკოპოსებს დაამტკიცებდა იმპერატორი, რომელიც რუსეთისა და საქართველოს ეკლესიათა მეთაურად ითვლებოდა [26. V. 435].

რტიშჩევის აზრით, ჯერჯერობით ქუთაისში დიკასტერიის გახსნა ნაადრევი იყო. ასევე არ შეიძლებოდა რეფორმის გატარება სამეგრელოსა და გურიაშიც, რადგან ეს ტრაქტატთა დარღვევა იქნებოდა [26. V. 436] და რასაც, შესაძლოა, ხალხის მღელვარება გამოეწვია, ამას კი ძაშინვე გამოიყენებდნენ თურქეთში მყოფი იმერელი ემიგრანტები და თვით თურქეთის მთავრობა.

1816 წ. რტიშჩევი „კავკასიის რისხვამ“ — გენერალმა ერმოლოვმა შეცვალა. 1817 წ, ეგზარხოსი ვარლამი (ქსნის ერისთავი), რომელმაც ვერ შეძლო საეკლესიო რეფორმის გატარება, რუსეთში გაიწვიეს და ეგზარხოსად რიაზანის ყოფილი ეპისკოპოსი, უზნეო რეაქციონერი თეოფილაქტე რუსანოვი გამოგზავნეს.

თეოფილაქტე ენერგიულად შეუდგა რეფორმის გატარებას. მისი გეგმით საქართველოში ეპარქიების (საეკლესიო ოლქების) რიცხვი უნდა შემცირებულიყო, ეკლესიების ნაწილი უნდა გაეუქმებინათ,

საეკლესიო აზნაურები რუსეთის სახაზინო აზნაურებად უნდა გადაერიცხათ, ასევე საეკლესიო მიწები, გლეხები და სხვა ქონებაც: ამასთანავე სახაზინოდ ჩარიცხულ გლეხთა გადასახადებიც უნდა გაზრდილიყო (ადრე საეკლესიო გლეხობა შედარებით ნაკლებ ბეგარა-გადასაღებს იხდიდა) [42. 55—56].

საეკლესიო რეფორმა, როგორც ვხედავთ, დიდად საზიანო იყო არა მარტო ქართველი სამღვდელოებისთვის, არამედ საეკლესიო აზნაურებისა და გლეხობისთვისაც. ამის გამო, 1819 წელს როცა ახალი ეგზარხოსის მითითებით, რეფორმის მომზადების მიზნით, საეკლესიო ქონების აღრიცხვას შეუდგნენ, იმერეთში სახალხო აჯანყებამ იფეთქა. თუ საქართველოს ეკლესიის რუსეთის სინოდისადმი დაქვემდებარებას და დიკასტერიის შექმნას საქართველოში დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, რეფორმის მეორე ეტაპმა — საეკლესიო რეფორმამ მღელვარება გამოიწვია [26. V. 416].

ერმოლოვი თავდაპირველად წინააღმდეგი იყო იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებისა. მას არ მოსწონდა თეოფილაქტეს ზედმეტი გულმოდგინება და შიშობდა — მდაბიო ხალხი ამ ღონისძიებამ შეიძლება ააჯანყოსო [42. 58] ერმოლოვის შიში უსაფუძვლო არ იყო. იგი კარგად იცნობდა თეოფილაქტე რუსანოვს, როგორც პიროვნებას, და იცოდა, რომ მისგან კარგი არაფერი იყო მოსალოდნელი.

სანამ მომდევნო ამბებს შევეხებოდეთ, საჭიროა ყურადღება მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია საქართველოს რუსეთთან შეერთების მომდევნო პერიოდის უკეთ გაგებისათვის.

საქართველოში მეფის რუსეთის ბიუროკრატიული ადმინისტრაციის დიდ ნაწილს საეჭვო ყოფაქცევისა და შებღალული რეპუტაციის გაუმაძღარი და მომხვეჭელი პირები შეადგენდნენ [56. II. 341]. ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსის ა. ბერჟეს სიტყვით, რუსეთიდან საქართველოში ისეთ მოხელეებს გზავნიდნენ, რომლებიც ბოროტმოქმედებას კი არ ებრძოდნენ, არამედ ხელს უწყობდნენ და ქართველი ხალხი ამით მძიმედ იტანჯებოდა. ხალხის ცხოვრებაში გაუმჯობესება არ მომხდარა და იმედგაცრუებული კეთილისმსურველი ქართველები აღშფოთებული იყვნენ, რეჟიმის წინააღმდეგ გახეწყვნენ და ამას აჯანყებები და მღელვარებანი მოჰყვა [42. 51]; პ. კოვალევსკის სიტყვით, საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ მეფის რუსეთიდან ამ მხარისკენ დაიძრა „ხეპრე და თავხედი ჯიშის“ პირთა დიდი რაზმი, რომლებიც საქართველოში უხეშად და თავხედურად იქცეოდნენ, იყვნენ მექრთამეები, ქურდები და მძარცველები [39. 66].

რუს მოხელეთა უმრავლესობა საქართველოში სასამსახურო იოლი გამდიდრების მიზნით მოდიოდა. ვ. ბებუთოვის სიტყვით [1817 წ.], „საქართველოში ბევრი უპერანგოდ მოდიოდა და რუსეთში კაპიტალით ბრუნდებოდა“ [36. 1886, №11. 25—26]; თანამედროვენი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საქართველოში რუს მოხელეთა ბოროტმოქმედებანი განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ერმოლოვის მთავარმართებლობის დროს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს ნ. ნ. მურავიოვის ჩანაწერებიდან [36. 1886. №11]. მომხვეჭელობითა და უზნეობით გამოირჩეოდა ეგზარხოსი თეოფილაქტე, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი გამგებელი. ამას ერთხმად აღნიშნავენ მისი თანამედროვენი: ა. ერმოლოვი, ნ. მურავიოვი, დავით ბატონიშვილი და სხვები. ა. ერმოლოვი ასე ახასიათებდა თეოფილაქტეს: „Душа его, кажется, прекрасно подобрана к цвету монашеской одежды! Я подобного ябедника и шпиона не видывал и он с такими людьми входит в связи, что казаться может что составляет шайку разбойников“ [50. 12]. „По свойствам приличествует ему быть главным инквизитором, что однако же в нынешный век уже не во вкусе народов. Впрочем, может быть еще шпионом тайной полиции“ [50.23].

ერმოლოვი მრავალ მაგალითს ასახელებდა თეოფილაქტეს უზნეობისა (ლოთობა და სხვა) და აღნიშნავდა, რომ ამ ბერის თვითნებობა და სიხარბე იმერეთში დიდ მღელვარებას იწვევს, იმერლებს იგი სძულთ, თვით თეოფილაქტე კი იმიტომ ცდილობს რუსეთის ხაზინის შემოსავლის გაზრდას, რომ ამისთვის ჯილდოს მოელისო [50. 22—23]. თეოფილაქტემ მიითვისა ქართული ეკლესიის საგანძურის ნაწილი, ძვირფასეულობა აჰყარა ხატებს, გაჰყიდა საეკლესიო მიწები და აუარებელი ფული მიითვისა (14. 151). ერმოლოვი თეოფილაქტეს აშკარად ქურდს უწოდებდა (32. 380). დენის დავიდოვის სიტყვით, თეოფილაქტეს მფარველობდა სახალხო განათლებისა და სასულიერო საქმეების მინისტრი ა. ნ. გოლიცინი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ინტრიგანი და გარყვნილი პიროვნება (32. 380).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმ დროს საქართველოში მოსამსახურე რუსი მოხელეების აზრით თეოფილაქტეს მიერ რეფორმის გატარება საქართველოს გაძარცვა იყო. ამ მოხელეებს მიაჩნდათ, რომ რუსეთის მთავრობა მოვალე იყო თავისი ქვეშევრდომი ქართველები ამ მძარცველისგან დაეცვა (36. 1886, №11—336).

თეოფილაქტეს საქმიანობისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მან ქართულ ეკლესიებში ზოგან მთლიანად, ზოგან კი ნაწილობრივ აკრძალა ქართული გალობა და რუსული გალობა დააწესა [14. 153; 42. 55]. პ. კოვალევსკის სიტყვით, დასავლეთ საქართველოში 1819—1820

წლების აჯანყების მიზეზი საქართველოს ეგზარხოსის უვიცობა და "შეუფერებელი ღონისძიებანი იყო [40. 240]. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ თეოფილაქტე უზნეო, აღვირახსნილ ცხოვრებას ეწეოდა [36. 1886, №11. 289], ცხადი გახდება, რომ უსაფუძვლო არ ყოფილა ერმოლოვის "ში", — თეოფილაქტეს საქმიანობამ შესაძლოა მოსახლეობა ააჯანყოსო. მართლაც, მალე ერმოლოვს მოუხდა ეთქვა — თავნება და ხარბი ბერის გამო იძულებული გავხდი, რომ ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ იარაღი გამოვიყენოო [50. 22].

ყოველივე ზემოთქმულიდან სავსებით გასაგებია 1819—1820 წლების იმერეთისა და გურიის აჯანყების სახალხო ხასიათი.

ერმოლოვი აფერხებდა თეოფილაქტეს მიერ იმერეთში რეფორმის გატარებას, მაგრამ 1819 წ. მაისში, როცა ერმოლოვი თბილისში არ იმყოფებოდა, თეოფილაქტემ მთავარმართებლის მოადგილის თბილისის გუბერნატორ რ. ხოვენისაგან ნებართვა აიღო, იმერეთს გაემგზავრა და რეფორმის გატარებას "შეუდგა [32. 380], იმერეთში საეკლესიო ქონების აღრიცხვას თვითონ ხელმძღვანელობდა, გურიაში კი ამ საქმეზე სინოდალური კანტორის პროკურორი ჭილაძე გაგზავნა [42. 58].

საეკლესიო რეფორმის გატარების შედეგად გლეხთა გადასახადები "ნი"ვნელოვნად გაიზრდებოდა და კომლზე წლიურად 20—25 მანეთს (ვერცხლით) მიაღწევდა, რაც გლეხთა საგადამხდელო შესაძლებლობებს დიდად აღემატებოდა [42. 67]; სამღვდელოება კარგავდა თავის "შემოსავალს და გლეხთა პირად სამსახურს, საეკლესიო აზნაურები კარგავდნენ თავიანთ ყმებს. ხალხის უკმაყოფილება საერთო იყო. ამით ისარგებლა თავადაზნაურობის იმ ნაწილმა, რომელიც იმერეთში მეფის ხელისუფლების და ავტონომიის მომხრე იყო და სცადა საერთო-სახალხო მოძრაობას სათავეში ჩასდგომოდა. იმერეთის მეფობის კანდიდატად წამოაყენეს სოლომონ I-ის შვილიშვილი (დარეჯან ბატონი"შვილის ვაჟი) თავადი ივანე აბა"შიძე, რომელსაც ცოლად ჰყავდა მამია V გურიელის და ელისაბედი. ივ. აბაშიძესთან ერთად აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ ქუთათელი ეპისკოპოსი დოსითეოსი (წერეთელი) და გენათელი ეპისკოპოსი ექვთიმე (გურიის ერისთავ ქრისტეფორე "ბარეა"შიძის შვილი)[2].

---

[2] იმერეთის 1819—1820 წწ. აჯანყება აღწერილია პროფ. ნ. მახარაძის გამოკვლევაში „იმერეთის აჯანყება 1819—1820 წწ.". (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის". 1942 წ. ნაკვეთი III. რუსულ ენაზე). თეოფილაქტეს დახასიათებისთვის იხ. აგრეთვე ა. ბერეკეს წერილი [26. VI$_1$. III] და თეოფილაქტეს ბიოგრაფია ჟურნალში «Вестник Европы», 1873, кн. 11 и 12.

იმერეთის აჯანყებას ძლიერი გამოხმაურება მოჰყვა სამეგრელოსა და გურიაში. ეგზარხოსის მიერ საეკლესიო ქონების აღსარიცხავად გაგზავნილი მოხელეები ამ სამთავროებიდან მაშინვე გამოაძევეს. აჯანყებას აშკარად დაუჭირეს მხარი ქაიხოსრო და დავით გურიელებმა, რომლებიც კარგად ხედავდნენ, რა შედეგი ექნებოდა გურიის ავტონომიისთვის საეკლესიო რეფორმის გატარებას.

1820 წ. დასაწყისში, როცა იმერეთის აჯანყების ზოგი მოთავე დააპატიმრეს და რუსეთში გადაასახლეს, ივანე აბაშიძე გურიაში გაიქცა და შემოქმედის ციხეში მყოფ ქაიხოსრო ბატონიშვილს შეეფარა. რუსეთის სარდლობამ ქაიხოსროს აბაშიძის გაცემა მოსთხოვა. ქაიხოსრომ ამაზე უარი შეუთვალა. ეს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ნიშნავდა. იმერეთის მმართველმა პოლკოვნიკმა პუზირევსკიმ კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს გენერალ ა. ა. ველიამინოვს სამხედრო ექსპედიციის მოწყობის ნებართვა სთხოვა და 1820 წ. აპრილში გურიაში შევიდა.

პუზირევსკი, ნ. ნ. მურავიოვის სიტყვით, „ბოროტმოქმედი და მომხვეჭელი“ იყო [36. 1886 г. №11. 325] და თავის გამოჩენას ჩქარობდა. მას ქუთაისში ვერ მიუსწრო ველიამინოვის წერილმა მითითებით, რომ გურიაში ყოფნისას მოთმინებითა და გონიერებით ემოქმედა და საქმე არ გაემწვავებინა. პუზირევსკი მარანის პოსტის გავლით ჩოხატაურში მივიდა და იქიდან მცირე რაზმით შემოქმედისკენ გაემართა. 13 აპრილს პუზირევსკი შემოქმედის გორას მიადგა, რაზმი გორის ძირას დატოვა და თვითონ სამი კაცის თანხლებით ციხისკენ გაემართა.

ქაიხოსრო გურიელმა ჯერ კიდევ ადრე, როცა გაიგო, რომ რუსთა რაზმი ჩოხატაურის გავლით შემოქმედისკენ მიდიოდა, თავისი მოლაშქრეებით ციხე დატოვა და იქვე ახლოს, სოფ. კიტოზეთში დაბინავდა. პუზირევსკის ციხეში არავინ დახვდა და უკან გამობრუნდა. გზაში იგი შეხვდა სამ შეიარაღებულ გურულს, რომელთაც ჰკითხა: „სადაა ძაღლიშვილი ქაიხოსრო“ და ერთ-ერთ მათგანს — ახალგაზრდა აზნაურ იოთამ ბოლქვაძეს მათრახი გადაჰკრა. ბოლქვაძემ პუზირევსკი იქვე თოფით მოკლა, სხვებმა მისი მხლებელი კაზაკი მოკლეს, ხოლო ქართველი ოფიცერი და თარჯიმანი დაატყვევეს და ციხეში წაიყვანეს [42. 57]. უმეთაუროდ დარჩენილი რუსთა რაზმი ჩოხატაურის პოსტზე დაბრუნდა. გურია აჯანყებამ მოიცვა [56. III_2 513]. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ დავით ბატონიშვილი და დავით ზაალის ძე ერისთავი. ქაიხოსრო ბატონიშვილს პირადად აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია, იგი ქობულეთს გადავიდა და იქიდან აჯანყებულებს რჩევა-დარიგებებს უგზავნიდა. მისმა ხელქვეითმა აჯანყებულებმა შემოქმედის ციხე გაამაგრეს და თავდასაცავად მოემზადნენ.

რუსეთის ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსის დასკვნით, პუ-ზირევსკის მკვლელობაში ქაიხოსრო ბატონიშვილის ხელი არ ერია, პირიქით, იგი ნაწყენი დარჩა, როცა ეს ამბავი გაიგო, რადგანაც კარგად ხედავდა, რომ ამის შემდეგ რუსეთთან რაიმე მშვიდობიან შეთანხმებაზე და გურიაში დაბრუნებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა [56. III$_2$. 517].

პუზირევსკის მოკვლის გაგებისთანავე ჩოხატაურში მდგომი რუსთა რაზმის მეთაური პოდპოლკოვნიკი ზგორელსკი ეგერთა ორი ასეულით და ორი ზარბაზნით შემოქმედის ციხისკენ წავიდა, რომ პუზირევსკის გვამი წამოეღო. შემოქმედში ბუკის ხმაზე შეკრებილმა მოსახლეობამ ბეუჯზე ხიდი დაწვა და მოსულ რაზმს მდინარის პირას ბრძოლა გაუმართა. ბეუჯი ადიდებული იყო და გასვლა არ შეიძლებოდა.

ზგორელსკის რაზმმა დიდი ზარალი ნახა და იძულებული გახდა ოზურგეთს წასულიყო. ამ ამბის გაგებისთანავე ზემო გურიაში აჯანყებულები დავით ბატონიშვილისა და დავით ერისთავის მეთაურობით ჩოხატაურის პოსტს დაესხნენ და გადაწვეს [42. 98]. პოსტის დამცველთაგან ოზურგეთამდე მხოლოდ ოცმა კაცმა გააღწია (ეს ოცი კაცი სვიმონ ერისთავმა გადაარჩინა).

ზემო გურიის აჯანყებულები ჩოხატაურიდან სამეგრელოში გადავიდნენ და სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილი ააჯანყეს. აჯანყებულებს დადიანის ძმა — გიორგი ბატონიშვილი მეთაურობდა.

ამ დროს გურიის აჯანყებულ მოსახლეობასთან რუსეთის წინააღმდეგ კავშირის დამყარება სცადეს თურქეთის წარმომადგენლებმა, მაგრამ გურიის მოსახლეობა ამას არ გამოეხმაურა.

პუზირევსკის მოკვლის ამბავი ველიამინოვმა 17 აპრილს გაიგო. ამის შესახებ ერმოლოვს წერილით აცნობა მამია გურიელმაც. ველიამინოვის მიერ მიღებული მოხსენებიდან ისე ჩანდა, თითქოს პუზირევსკი თვითონ ქაიხოსრო ბატონიშვილმა მოკლა.

ამ ცნობის მიღებამ ერმოლოვი გააცოფა. პუზირევსკი, ნ. ნ. მურავიოვის სიტყვით, ერმოლოვის საყვარელი პიროვნება იყო, 1812 წ. სამამულო ომში ისინი ერთად იბრძოდნენ. ერმოლოვმა დაიფიცა, რომ იგი შურს იძიებდა პუზირევსკის მოკვლაზე. მან მაშინვე გაგზავნა გურიაში გენერალი ველიამინოვი ეგერთა პოლკით და არტილერიით. ერმოლოვმა საგანგებო წერილით შეუთვალა მამია გურიელს — ჯარით შეერთებოდა რუსთა რაზმს და ებრძოლა „ბოროტმოქმედ“ ქაიხოსროს წინააღმდეგ.

ეგერთა 44-ე პოლკისადმი ბრძანებაში 1820 წ. 28 აპრილს ერმოლოვი წერდა:

„მე თქვენ გიჩვენებთ ადგილს, სადაც ცხოვრობდა სულმდაბალი ავაზაკი ქაიხოსრო გურიელი; ქვა ქვაზე არ დატოვოთ ბოროტმოქმედთა ამ თავშესაფარში, ცოცხალი არ დატოვოთ არც ერთი ბილწი თანამზრახველთაგანი“ [35. 399].

იმ დროს იმერეთში აჯანყება ისევ გრძელდებოდა. მეფის რუსეთის სარდლობა შიშობდა, აჯანყების ალი აღმოსავლეთ საქართველოში არ გადასულიყო და მის ჩაქრობას ჩქარობდა. გურიაში შესვლამდე ველიამინოვმა იმერეთის მოჯანყე სოფლები დალაშქრა. ივნისში მეფის რუსეთის ჯარმა იმერეთის დამშვიდება შეძლო და გურიაში გადავიდა. აჯანყებულები დამსჯელ რაზმს ელოდნენ, ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ და თავდაცვისთვის ემზადებოდნენ. მოსახლეობის ნაწილმა ტყეს და ციხეებს მიაშურა. მთელი ღამეების განმავლობაში ციხეთა კოშკებზე სასიგნალო ცეცხლი ენთო და აჯანყებულები ერთმანეთს ბუკებით ეხმიანებოდნენ [56. III_2 518].

მამია გურიელმა იმ დროს ძალაუნებურად მეფის რუსეთის მხარე დაიკავა. თავდაპირველად იგი შიშობდა, ვაითუ ხალხის აჯანყების გამო მეფემ მე დამსაჯოსო, მაგრამ ერმოლოვმა გურიელი წერილით დაამშვიდა და აცნობა, რომ მეფის რუსეთის მთავრობას დამნაშავედ ქაიხოსრო ბატონიშვილი მიაჩნია და მთავრისგან ერთგულების საქმით დამტკიცებას ელოდა.

ამ წერილის მიღებისთანავე გურიელი თავისი ერთგული მოლაშქრეებით და თავადაზნაურობით ველიამინოვის ბანაკში გამოცხადდა და დახმარება შესთავაზა [64. A — 1542ა, №10 —13]. ამ დროს მთავარსა და ქაიხოსროს შორის ურთიერთობა კარგა ხანია გამწვავებული იყო და მთავარს მის წინააღმდეგ გამოსვლა, ჩანს, არ გაძნელებია.

ველიამინოვი გურიაში დიდი ძალით შევიდა. მის რაზმში იყო 3200 ქვეითი, 150 მხედარი და 7 ზარბაზანი. 24 ივნისს ეს რაზმი შემოქმედის ციხეს მიადგა.

ქაიხოსრო იმ დროს ციხეში არ იყო. აჯანყებულებთან ერთად ციხეში იმყოფებოდნენ დასახმარებლად მოსული ქობულეთლები და აჭარლები [56. III_2. 531; 64. ზურაბ წერეთლის ფონდი, №60]. შემოქმედის ციხე მაღალი, სამი მხრიდან თითქმის მიუვალი, წაბლის ხშირი ტყით დაფარული გორის მწვერვალზე იდგა. რაზმმა ციხეს იმ მხრიდან მოუარა, საიდანაც მას არ ელოდნენ და მოულოდნელად შეუტია. ჯარისკაცებმა ციცაბო აღმართზე ზარბაზნებიც აიტანეს და ახლოდან, 5 საჟენის დაშორებიდან დაუწყეს სროლა ციხის კარებს.

სისხლისმღვრელ ბრძოლაში ორივე მხარემ დიდი ზარალი ნახა. დამსჯელი რაზმიდან 15 კაცი მოკვდა და 52 დაიჭრა. სროლის ხმაურში ჯარისკაცთა ნაწილმა ციხეს შემოუარა, საიდუმლო კარს მიაგნო,

რომელსაც არავინ იცავდა და ციხეში შეიჭრა. აღმოჩნდა, რომ ციხის მცველები გაპარულიყვნენ და ადგილზე მხოლოდ 5 კაცი იყო დარჩენილი, ჯარისკაცებმა ხუთივე ხიშტებზე ააგეს [47. 127]. შემოქმედის მონასტრის ეკლესიებისთვის, რომლებშიაც უამრავი ხელნაწერი წიგნი ნახეს, ხელი არ უხლიათ, მაგრამ ბრძოლის დროს არტილერიამ დაანგრია გალავნის ნაწილი და სამრეკლო, რომელიც 11 წლის შემდეგ იქნა აღდგენილი.

ერმოლოვის ბრძანების შესაბამისად შემოქმედის ციხე საძირკვლამდე დაანგრიეს, „გააცამტვერეს" [64. ზ. წერეთლის ფონდი №60]. ახლა ციხის რამდენიმე კოშკის ნაშთიღაა შემორჩენილი; ახლომახლო სოფლებში სახლები გადაწვეს და ენახები აკაფეს [56. III$_2$. 531]. შემოქმედის მიდამოების მოსახლეობა გაღატაკებული დარჩა. აქაურები ადრინდელ მდგომარეობას ალბათ 30 წლის განმავლობაშიც კი ვეღარ მიაღწევენო, — მოახსენებდა ერმოლოვს ველიამინოვი [56. III$_2$ 531].

შემდეგ თავადი კაცო ნაკაშიძე მეფის რუსეთის ხელისუფლების წინაშე თავს იქებდა ერთგული სამსახურით: აჯანყებულები „დაისაჯნენ სახლების დაწვითა, ყანებისა და ენახის აღსპობითა მართებლობის მიერ ძეებთა ჩემთა წინამძღოლობითა" [65. 1448. 9354].

ძალე გურიელმა შეიპყრო და რუსეთის სარდლობას გადასცა პუზირევსკის მკვლელი იოთამ ბოლქვაძე, რომელიც ჯარისკაცთა „მწყობრში გაატარეს" და ზუმბების ცემით მოკლეს.

აჯანყების მთავარი ცენტრის დარბევის შემდეგ დამსჯელი რაზმი დავით ბატონიშვილის მამულისკენ გაემართა და თავს დაესხა გულიანის მთაზე და ღვედის ეკლესიასთან გამაგრებულ აჯანყებულებს. დამსჯელმა რაზმმა იერიშით აიღო ღვედის საყდარი და გადაწვა სოფ. ღვედი. აჯანყებულებმა უკან დაიხიეს და ბრძოლა გააგრძელეს. 11 აგვისტოს ჯარმა აიღო და დაანგრია გრიგოლეთის კოშკი, რომელიც დავით გურიელს ეკუთვნოდა. აჯანყების ეს კერაც ლიკვიდირებული იქნა, გადარჩენილი მოჯანყეები გაიფანტნენ, ნაწილმა თავი ფოთს შეაფარა.

21 აგვისტოს მეფის რუსეთის ჯარი ზემო გურიაში დავით ერისთავის მამულს მიადგა და ჩოხატაურს შეუტია. ორდღიან ბრძოლაში ორივე მხარემ დიდი ზარალი ნახა. დამსჯელმა რაზმმა ჩოხატაური აიღო, იქ მდგარი კოშკები დაანგრია, მის მიდამოებში ბაღ-ენახები გაჩეხა. დავით ერისთავი შვილთან ერთად აჭარაში გაიქცა.

ამ დროს მეფის რუსეთის წინააღმდეგ აშკარა მოქმედება დაიწყო გურიის სახლთუხუცესმა დავით იონეს ძე მაჭუტაძემ. მან ფოთიდან მოიყვანა დავით ბატონიშვილი და მასთან ერთად გრიგოლეთის

დაკავება სცადა, მაგრამ მეფის რუსეთის მხარეზე მყოფმა მოურავმა გიორგი ნაკაშიძემ ისინი გრიგოლეთში არ შეუშვა. დავით მაჭუტაძემ ორასამდე შეიარაღებული კაცი შეკრიბა და თავის სამფლობელოს ცენტრის — ნიგოზდიდის ციხის გამაგრებას შეუდგა. ამავე დროს მან ერთი თავისი გლეხი ქობულეთში გაგზავნა, აღებული ფულით ტყვია-წამალი შეიძინა და დამსჯელ რაზმთან საბრძოლველად მოემზადა. როგორც კი ეს ამბავი მამია გურიელმა გაიგო, „შერისხა მას და დასთიშა მილიცია იგი". როცა დამსჯელი ჯარი მოულოდნელად ნიგოზდიდთან გამოჩნდა, დ. მაჭუტაძის მოლაშქრეები უკვე დაფახტულნი იყვნენ და იგი იძულებული გახდა დავით ბატონიშვილთან ერთად გაქცეულიყო. ჯარმა ნიგოზდიდის სიმაგრე დაანგრია და იქვე მდგარი მაჭუტაძის სასახლეც გადაწვა. მალე დამარცხდა აჯანყებული საჯავახოც [33. 434; 65. 2. 8923]. აგვისტოს ბოლოს აჯანყება უკვე ჩამქრალი იყო [42. 119; 64. A — 1319 მინაწერი]. აჯანყების მოთავენი: ქაიხოსრო ბატონიშვილი, დავით ბატონიშვილი, დავით ზაალის ძე ერისთავი და დავით იოანეს ძე მაჭუტაძე თავიანთი ოჯახებით თურქეთის საზღვარზე იმყოფებოდნენ.

1821 წ. 1 აპრილს იმერეთის მმართველმა გენერალმა გორჩაკოვმა გურიის მოსახლეობას საგანგებო პროკლამაციით მიმართა. მან აჯანყებულებს მოსთხოვა 11 აპრილამდე გამოცხადებულიყვნენ ჩოხატაურის პოსტზე მაიორ მიხინთან და პატიება ეთხოვათ. პროკლამაციას ერთვოდა „სია გურიულთა მუხანათთა, რომელნიცა სამარადისოდ განიდევნებიან საზღვართაგან იმპერიისათა". ამ სიაში იყვნენ: თავადები: ქაიხოსრო და დავით ბატონიშვილები, დავით ერისთავი, სიკო ერისთავი, მაქსიმე ერისთავი (ბერი), ვახუშტი გუგუნავა, გიორგი მაქსიმელიშვილი, ალ. თავდგირიძე, ამბაკო შალიკაშვილი; აზნაურები: გურგენ და ეტლია ბებურიშვილები, დურსუნ ბოლქვაძე, ზურაბ სეხნიაშვილი, ერდიშელ თაყაიშვილი, ბუჭუა ჭყონია, გოგინიკა კალანდარიშვილი და მაქსიმე იორაიშვილი. აქვე იყო „სია გურიულთა, რომელთა მიეცემის ნება გამოცხადებისა ჩახატაურსა შინა უფალს მაიორს მიხინთან გასამართლებლად სასამართლოთი". ამ სიაში იყვნენ: თავადები: დავით მაჭუტაძე, სოლომონ ერისთავი, ფრიდონ თავდგირიძე; აზნაურები: სვიმონ ასათიანი, ლევან ქადაგიძე, ხოსია გიგინეიშვილი და მის შვილი კიკო, გაბრიელ ჩხატარაიშვილი [65. 488. 357].

ამ სიაში აღნიშნულ პირთაგან ჩოხატაურში ნებით გამოცხადდნენ ან დაპატიმრებული მიიყვანეს: ლომინ ერისთავი, ლევან ქადაგიძე, სვიმონ ასათიანი და ზურაბ ქაიხოსროს ძე სეხნიაშვილი. ლომინ ერისთავი მეფის რუსეთის ხელისუფლებამ ჯარში გაგზავნა (ფინეთში) საიდანაც 1839 წ. დაბრუნდა. სხვადასხვაგვარად დასაჯეს სხვებიც. და-

ვით მაჭუტაძე მეფის რუსეთის ხელისუფლებას შეურიგდა და გურიაში დაბრუნდა.

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ველიამინოვმა, ერმოლოვის ბრძანების შესაბამისად ემიგრაციაში წასულ მოჯანყეთა ყმა-მამული მეფის რუსეთის ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. 1820 წ. 31 დეკემბერს ერმოლოვმა ოფიციალურად აცნობა გურიელს, რომ მან გურიის აჯანყების მონაწილეებს ქონება ჩამოართვა და მეფის რუსეთის ხაზინის კუთვნილებად გამოაცხადა [65. 2. 1015. 9—10]. ჩამორთმეულ მამულებში ერმოლოვმა მოურავები დანიშნა. დავით ბატონიშვილის მამულის მოურავად დანიშნა გურიამთელი გიორგი ნაკაშიძე, ქაიხოსრო ბატონიშვილის მამულისა — მაკვანეთელი ლაზარე, გიორგი და ბახუტა როსტომის ძე ნაკაშიძეები. ამ მოურავებს ერმოლოვმა შემდეგი სამოქმედო განაწესი მისცა:

1. მოურავები მათი საგამგებლო მამულების საქმეთა გადაწყვეტისას ემორჩილებიან იმერეთის მმართველს, რომელსაც შეუძლია შეცვალოს ან, საჭირო შემთხვევაში, დასაჯოს ეს მოურავები; ახალ მოურავებს მთავარმართებელი ამტკიცებს.

2. მოურავები თავიანთ სამოურავოებში ჰკრეფენ გადასახადებს ადგილობრივი ჩვეულების („დებულების") მიხედვით.

3. მოურავები გადასახადების შესახებ ანგარიშს აბარებენ იმერეთის მმართველს.

4. ყველა იმ საკითხში, რაც სახაზინო მამულთა მართვას არ შეეხება, მოურავები მთავარს ემორჩილებიან; ამავე დროს ეს მოურავები რუსეთის მოხელეებად ითვლებიან.

5. თუ მოურავები მთავარს ურჩობას გაუწევენ, მას შეუძლია დასაჯოს ისინი, როგორც თავისი ქვეშევრდომები, მაგრამ არა როგორც მოურავები.

6. მთავარს არ შეუძლია სახაზინო მოურავს ისეთი რამ დაავალოს, რაც ამ მოურავს თავისი მოვალეობის შესრულებაში ხელს შეუშლის.

7. თუ სახაზინო მოურავი მთავრისადმი უპატივცემულობას ან უხეშობას გამოიჩენს, გურიელმა მას რუსეთის მთავრობასთან უნდა უჩივლოს და მთავრობა მოურავს დასჯის.

ა. ერმოლოვმა ეს განაწესი მამია გურიელს გაუგზავნა და იმედი გამოთქვა, რომ მთავარი სახაზინო მოურავების საქმიანობას ხელს არ შეუშლიდა [65. 2. 1015. 3—4].

ამ აქტით რუსეთის ხელისუფლებამ დაარღვია გურიის მთავართან 1810 წ. ივნისში დადებული ხელშეკრულება. ავტონომიური გურიის სამთავროს ტერიტორიისა და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნა-

წილი მეფის რუსეთმა მიითვისა. ცხადი იყო, რომ ცარიზმი გურიასთან დადებულ ტრაქტატს არაფრად აგდებდა. ამის გამო გურიელმა 1821 წ. 8 იანვარს ოფიციალური პროტესტით მიმართა იმერეთის მმართველის მოვალეობის შემსრულებელს გენერალ ივანე აფხაზს. გურიელმა აღნიშნა, რომ ერმოლოვის განკარგულება ეწინააღმდეგებოდა იმპერატორის „აღთქმას“: „უმაღლესად მარწმუნა მე სიმტკიცე ტრაქტატითა, სრულის ჩემის მფლობელობისა გურიასა შინა“, წერდა გურიელი [65. 2. 1015. 9].

გურიელი აღნიშნავდა, რომ ერმოლოვმა დაარღვია იმპერატორის პირობა, სამთავროს ნაწილი ჩამომერთვა და ამის გამო ზოგი თავადი აღარ მემორჩილებაო. გურიელი წერდა: „ერთგულება ჩემი მაიმედებდა მე, რომელიც ძველად ჩვენ გვქონია, უკეთუ ის გარეშე საზღვრებიცა (ე. ი. ქვემო გურია: ბათომ-ჩაქვ-ხინო-ქობულეთის თემები. — ქ. ჩ.) დაეპყრა რუსეთის მართებლობას, ვსასოობდი დიდად; —იმასაც შემოიყვანდა საკუთარს ჩვენს უწყებასა ქვეშე, და ამას არასოდეს მოველოდი, რომელიცა თვით მე წინააღმდეგად გამომიცხადებიეს და მითხოვნია მმართველობისათვის მათის დამორჩილებისა, რომელ ისინი მოგვაკლოს და არ გვიბოძოს“ [65. 2. 1015. 13—14].

ამ წერილითა და თავისი წარმომადგენლის ალექსანდრე თავდგირიძის პირით გურიელმა ერმოლოვის ბრძანების გაუქმება და ჩამორთმეული ყმა-მამულის მისთვის გადაცემა მოითხოვა. გარდა თავისი ძალაუფლების შეზღუდვისა და ეკონომიური ზარალისა, გურიელს ის შედეგებიც აწუხებდა, რაც ერმოლოვის ბრძანების შესრულებას აუცილებლად მოჰყვებოდა — მის ხელისუფლებას სამთავროში ავტორიტეტი დაეკარგებოდა.

თავის მეორე წერილში, რომელიც 1821 წ. 10 იანვარსაა დაწერილი, გურიელი აღნიშნავდა, რომ „მთავარი უნდა იყოს უფალი თვისთა ხელქვეითთა ზედა და არა ამხანაკურად, რომელ ხელქვეითმა მისმა სურვილისამებრ მისცეს მთავარი ჩივილსა თანასწორად თვისისა“, თუ მე მთავარი ვარ, მაშინ ჩემი ხელქვეითებიდან ჩამორთმეული ქონება მე უნდა მომეცეს, თუ არა და ჩემი მთავრობა მხოლოდ ცარიელი სიტყვა იქნება და, ამ შემთხვევაში, ჯობს სამთავრო სრულიად ჩამომართვათ; თუ დანაშაული არაფერი მაქვს, მამული რად მერთმევა, ხოლო თუ დამნაშავედ მთვლით, მითხარით — რა დავაშავე, რომ თავი ვიმართლო, თორემ უდანაშაულოდ დასჯილს ქაიხოსრო ბატონიშვილი და დავით ერისთავი სასაცილოდ ამიგდებენო [65. 2. 1015. 13—14].

1822 წ. 30 აპრილს გურიელს წერილით უპასუხა ველიამინოვმა. იგი ადასტურებდა ალ. თავდგირიძის ხელით 3 და 10 იანვრით დათარიღებული წერილების მიღებას, არ იზიარებდა გურიელის საყვე-

დურს მისი ხელისუფლების შეზღუდვის გამო და ურჩევდა მთავარს — მდგომარეობას შერიგებოდა და ურჩობით მთავარმართებელი არ გაეღიზიანებინა [65. 2. 1015. 16].

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურიელმა ველიამინოვის რჩევას ყური არ უგდო და კვლავ გადაჭრით მოითხოვა ერმოლოვის ბრძანების გაუქმება. როგორც მთავარს, მას სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო: „ავტონომიურ“ გურიაში თვითნებურად გამგებლობდნენ ცარიზმის გენერლები. მათ დაანგრიეს ციხეები, გადაწვეს სოფლები და სასახლეები, აკაფეს ბაღ-ვენახები, მოახდინეს მიწებისა და ყმების კონფისკაცია, დანიშნეს მეფის რუსეთის ხაზინის მოურავები. რუსეთ-გურიის ტრაქტატი ფიქცია ხდებოდა. ამის გამო გურიელმა უკიდურეს ზომას მიმართა — ერმოლოვს გურიიდან მეფის რუსეთის ჯარის გაყვანა მოსთხოვა [64. A — 1542ა, №13].

ერმოლოვი ასეთ ურჩობას მიჩვეული არ იყო და უკანდახევას არ აპირებდა. მან გადაჭრით უარყო გურიელის პროტესტი და მთავარს მისწერა: აჯანყების ჩაქრობას და თქვენი ხელისუფლების გადარჩენას რუსეთის ჯარს უნდა უმადლოდე; მოღალატეთა მამულები თქვენს მამულებს რომ შევუერთოთ, მათი ძველი პატრონები ამ მამულების ძალით დაბრუნებას შეეცდებიან და არეულობა დაიწყება, ახლა კი, როცა ეს ყმა-მამული რუსეთის ხაზინის კუთვნილებად იქცა, ძველი პატრონები მათ ვეღარ დაიბრუნებენო.

ერმოლოვმა გურიელის ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითა და გურიიდან ჯარის გაყვანაზე უარი თქვა: გურიაში გატარებული ღონისძიებანი, შესაძლოა, კიდევაც შელახავენ თქვენს ინტერესებს, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის და რუსეთისადმი თქვენი ერთგულება ამ ღონისძიებების გატარებაში ხელშეწყობით უნდა დაამტკიცოთო — მიმართავდა მთავარმართებელი გურიელს [64. A — 1542ა, №13]. მთავრის გულის მოსაგებად რესეთის ხელისუფლებამ იგი წმ. ვლადიმირის მეორე ხარისხის ჯვარით დააჯილდოვა. გარდა ამისა, იმერეთის აჯანყების დროს ერთგულების გამოჩენისთვის, ერმოლოვის შუამდგომლობით, გურიელის ვაჟის — დავითის მიმრქმელი (ნათლია) გახდა იმპერატორი ალექსანდრე I [42. 114].

ამ „წყალობამ“ გურიელს თავისი უფლებების დაცვისთვის ბრძოლაზე ხელი ვერ ააღებინა. გურიელმა კარგად იცოდა, რომ მის განწყობილებას მეფის რუსეთისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. გურია თურქეთს ესაზღვრებოდა და მნიშვნელოვან სტრატეგიულ უბანს წარმოადგენდა. მეფის რუსეთის ჯარი იმ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა დამორჩილებისთვის იბრძოდა; ამიერკავკასიის ზოგი მხარეც ჯერ კიდევ დაუმორჩილებელი იყო.

საქვეყნოდ ცნობილი იყო, რომ გურიის სამთავრო მეფის რუსეთის ქვეშევრდომობაში სრული ავტონომიის პირობით იყო შესული და ეს ავტონომია იმპერატორის „აღთქმით“ იყო გარანტირებული. ასეთ ვითარებაში ხელშეკრულების დარღვევა და გურიის ძალით დამორჩილება მეფის რუსეთის საერთაშორისო პრესტიჟს დიდ ზიანს მოუტანდა, თურქეთსაც მეფის რუსეთის ვერაგობაზე ლაპარაკის საბაბს მისცემდა და კავკასიის ხალხების ანტირუსულ განწყობილებას გააძლიერებდა. ეს კარგად ესმოდათ როგორც გურიელს, ისე მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკის მაშინდელ მესვეურებსაც, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრ გრაფ ნესელროდესაც, რომელიც რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში გურიის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებდა და შუამდგომლობდა, რომ იმპერატორს გურიელის ვაჟი მოენათლა და ამით მთავრის ერთგულება განემტკიცებინა.

გურიელი თავგამოდებით იბრძოდა თავისი სამთავროს ერთიანობისა და თავისი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. 1822 წ. იანვარში იგი პირადად ეახლა თბილისში ერმოლოვს. 23 იანვარს ერმოლოვმა მის პატივსაცემად საგანგებო წვეულება გამართა. გურიელი მთავარმართებელს ქართული ტანსაცმლით, რუსეთის არმიის გენერლის მუნდირითა და ეპოლეტებით, ლენტითა და წმ. ანასა და წმ. ვლადიმირის ორდენებით შემკული ეწვია. ნ. ნ. მურავიოვის სიტყვით, გურიელი მაღალი და კარგი გარეგნობის ახალგაზრდა კაცი ყოფილა. 24 იანვარს გურიელს ასეთივე წვეულება გაუმართა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსმა გენერალმა ველიამინოვმაც [36. 1888, II. 103]. 26 იანვარს ერმოლოვმა გურიელის პატივსაცემად გენერალ მადათოვთან გამართა მეჯლისი (ბალი), ხოლო 28 იანვარს თბილისის გუბერნატორმა რ. ხოვენმა მიიწვია [36. 1888, II. 104]. ნ. მურავიოვი ხაზგასმით აღნიშნავს ამ წვეულებების დიპლომატიურ ხასიათს: „Гурияль нам много хлопот наделал; его все кормят в ожидании войны с турками“ [36. 1888, II. 104].

იმ დროს ავლაბარში საკუთარი სასახლეები ჰქონდათ დადიანსა და გურიელს. გურიელი ამ ვიზიტის დროს, ალბათ, თავის სასახლეში იდგა.

საგარეო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით მეფის რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა უკან დაეხია: ერმოლოვმა თავისი განკარგულება გააუქმა — გურიის აჯანყების მონაწილეთა ყმამაძულზე რუსეთის ხაზინამ ხელი აიღო და გურიელს გადასცა [65. 488. 1851. 23].

ერმოლოვმა გურიაში მის მიერ დაწესებულ მოურავთა თანამდებობანი გააუქმა, მაგრამ გურიელს მოსთხოვა, რომ მოურავებს, რომელთაც სახელოები რუსეთის ერთგულებისთვის ჰქონდათ მიცემუ-

ლი, მათ ყოფილ სამოურაოებში მცხოვრებ გლეხთა ათისთავი (10 %) ჯილდოდ მისცემოდათ. გურიელი იძულებული გახდა ამაზე დათანხმებულიყო. ძაიორმა გიორგი ნაკაშიძემ მიიღო 20 კომლი გლეხი, გიგო ერისთავმა — 7 კომლი, სვიმონ ერისთავმა — 7 კომლი; ქაიხოსრო ბატონიშვილის მამული (საშემოქმედლო) მთავარმა დაიკავა, მაგრამ 1822 წ. 5 მაისს როსტომ ნაკაშიძემ და მისმა შვილებმა მას „ქრთამად“ 850 მანეთის ღირებულების ნივთები მიართვეს და მისგან „შემოქმედის სოფლის მოურავობა“ მიიღეს [65. 4355; 65. 488. 1851; 28; 332].

რუსეთის ხელისუფლებისა და გურიელის შეთანხმებით ჩოხატაურის „პოსტზე“ მეფის რუსეთის ჯარის ერთი ნაწილი დარჩა.

რაც შეეხება საეკლესიო რეფორმას, იგი ეგზარხოს თეოფილაქტეს სიკვდილის შემდეგ (1821 წ. VII) მხოლოდ იმერეთში გატარდა. სამეგრელოსა და გურიაში მისი გატარება მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული. აქედან ჩანს ვის მხარეზე იყო სიმართლე 1819—20 წწ.

ამავე ხანებში რუსეთის მთავრობა გურიის სამთავროში აქტიურ ეკონომიკურ დაზვერვებს აწარმოებდა. რუსეთში მიაჩნდათ, რომ არგონავტების შესახებ ძველ ბერძნულ თქმულებას რეალური საფუძველი გააჩნდა, — მასში ძველ კოლხეთში ოქროს მოპოვების ფაქტი იყო არეკლილი. 1821 წ. ერმოლოვმა გურიაში მადნების საძიებლად მოავლინა სამთო ნაწილის უფროსი კარპინსკი, რომელმაც დაათვალიერა სოფლები გორისფერდი და ოქროსქედი (ამ უკანასკნელის სახელმა დააინტერესა), სპილენძის, რკინის, აჯასპის, კვარცისა და საშენი ქვის საბადოები ნახა, მაგრამ ოქრო ვერსად აღმოაჩინა. კარპინსკიმ დაათვალიერა ნავთობის ბუნებრივი სადინარები გურიამთასა და იაკობს ‘ძორის მდ. ხატანების აუზში, სადაც საგანგებოდ ამოთხრილ ორმოებში — საკუპრეებში — კუპრს აგროვებდნენ [31. 80. 83. და 85].

ემიგრაციაში მყოფი ქაიხოსრო ბატონიშვილი გულმოდგინედ ცდილობდა გურიიდან მეფის რუსეთის ჯარის განდევნა მოეწყო. მას ამისთვის საკმაოდ მიაჩნდა გურიის მოსახლეობის ერთიანი აჯანყება უცხო ძალის დაუხმარებლად. იგი წერილებს სწერდა მამია გურიელს, მას რუსების წინააღმდეგ გამოსვლისკენ მოუწოდებდა და იმავე დროს აფრთხილებდა, რომ რუსების წინააღმდეგ იგი არ დაკავშირებოდა თურქებს — საქართველოს ამ მოსისხლე მტრებს [47. 129; 56. III_2; 538].

ქაიხოსრომ თურქეთიდან რამდენიმე მიმართვა — პროკლამაცია გამოუგზავნა გურიის მოსახლეობას. ერთ-ერთი ამ წერილით, რომელიც ხელში ჩაიგდო და რუსეთის სარდლობას გაუგზავნა მამია გურიელმა, ქაიხოსრო განმარტავდა თავის მიზანსა და პროგრამას. იგი ამტკიცებდა, რომ მას არ ჰქონია და არც აქვს მთავრის ხელისუფლე-

ბის მიტაცების განზრახვა, პირიქით, — მას უნდა გააძლიეროს მამიას ხელისუფლება, თვითონ კი თავისი საბატონიშვილო მამულით დაკმაყოფილდება. ქაიხოსრო აღნიშნავდა, რომ იგი რუსებს ან რუსებთან კავშირს კი არ ებრძვის, არამედ ცარიზმის ძალადობას. მან ცარგად იცოდა, რომ გურიის მცირე სამთავრო ვერ გაუმკლავდებოდა რუსეთის უზარმაზარ იმპერიას, რომელიც იმ დროს ძლიერების ზენიტში იყო და უკვე ასრულებდა ევროპაში თავის ცნობილ როლს, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნდა ერთიანი ძალით, დიპლომატიური მანევრების გამოყენებით, — რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებით, გურიის სამთავროს არსებობის გადარჩენა, რეალური ავტონომიის შენარჩუნება. ქაიხოსრო წერდა: „გურია დედაბრობით წასახდენი არ არის... ვიცი, რომ ყველანი წავხდებით და ბარემ ხელის გამოღებითა და სახელით სჯობს წახდენა, თორემ მე იმასაც კი არ მოგახსენებ, — რუს ხელმწიფეს მოვერევითთქვა, მაგრამ ეს კი მწამს, რომ თუ(მც) ერთად შევკრებებით. გურიაში ვერ დამკვიდრდება რუსი“ [63. Hd—10594].

ქაიხოსროს მცდელობას გურიის სამთავროს ბედის შეცვლა აღარ შეეძლო. კოლოსი, რომლის წინაშეც მთელი ევროპა ძრწოდა, ამ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მხარეს აღარ დათმობდა. სამთავროშიც საშინაო ვითარება ნელ-ნელა იცვლებოდა. იქ უკვე მეფის რუსეთის ჯარი იდგა, თავადაზნაურობის ნაწილი ფაქტიურად მეფის სამსახურში იდგა, რუსეთის ჯამაგირს ღებულობდა, რუსულ ეპოლეტებს ეძებდა და ცხადია, რუსეთთან ბრძოლაზე აღარ ფიქრობდა, მით უმეტეს, რომ თვით რუსეთი სამხედრო-ფეოდალური იმპერია იყო და ქართველ ფეოდალთა მემამულურ-მებატონური უფლებების შეზღუდვას არ აპირებდა.

უკვე 1822 წელს, როცა დადასტურდა, რომ ქაიხოსრო ბატონიშვილი პოლკოვნიკ პუზირევსკის მკვლელობაში არ ერია, იგი რუსეთის ხელისუფლების მიერ ამნისტირებული იქნა. რუსეთის მთავრობამ მას რამდენიმეჯერ შესთავაზა შერიგება, მაგრამ ქაიხოსრო ბოლომდე დარჩა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ პრინციპების ერთგული, რაც 1783 წ. გეორგიევსკის ტრაქტატში იყო ასახული [7. 204].

ქაიხოსრო ბატონიშვილის შიში გამართლდა. 1828 წ. მიწურულს მეფის ჯარმა გურია დაიკავა. ამის შემდეგ მას დიდხანს აღარ უცოცხლია, იგი გარდაიცვალა 1829 წლის 25 სექტემბერს ქ. ჩარშამბაში, სამსუნის მახლობლად, იგი დაკრძალეს ჩარშამბის ბერძენთა ფერისცვალების ეკლესიაში. მის საფლავს დაადგეს მარმარილოს ძეგლი გურიელთა გერბით („ქართული გვირგვინი, რომელიც ორ ანგელოზს უჭირავს“) და წარწერით:

„ჩყკთ სეკდემბრის კვსა დღესა 1829 წ.
საფლავსა ამას შინა მდებარე
ნეტარხსენებული
გურიელი გიორგის ძე ქაიხოსრო.
აღმომკითხველო შენდობა უბრძანეთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ცოლ-შვილი 1832 წ. გურიაში დაბრუნდა, ყმა-მამული დაიბრუნა და რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომთა რიგში ჩადგა.

1875 წ. ფერისცვალების ეკლესია გადააკეთეს და გააფართოვეს. აძის გამო ქაიხოსრო ბატონიშვილის საფლავი მოშალეს, წარწერიანი ქვა ეკლესიის ერთ-ერთ კედელში გარედან ჩააშენეს, გერბიანი ქვა კი უკან კედელში ჩასვეს, მომაღლოდ. ქაიხოსროს ძვლები ამოიღეს და მიტკლის ტომარაში ჩაალაგეს. ბერძენთა ეპისკოპოსმა ეს ნეშტი აკურთხა და ახლად აგებული ეკლესიის საკურთხეველში დაასვენა [11; გვ. 249].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მესამე

გურიის სამთავროს გაუქმება

1820 წ. აჯანყების შემდეგ გურიაში კვლავ შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება დაიწყო. იმდროინდელი შინაური ამბებიდან აღსანიშნავია საშეურნეო ცხოვრების ზოგიერთი სიახლე. 1826 წ. გურიელმა ქუთაისელ ქართველ კათოლიკებს — აზნაურ სიმონ ფირალოვს და მოქალაქე სტეფანე კაჩუხოვს იჯარით მისცა სამთავროს ტერიტორიაზე არყის გამოხდისა და სამღებროების მოწყობა-ექსპლუატაციის მოხოპოლია [65. 2. 3340, 19—20]. საიჯარო კონტრაქტი 10 წლის ვადით იყო დადებული. მოიჯარადრეებს ამ ხნის განმავლობაში 120 ოსმალური ქესა უნდა გადაეხადათ (წლიურად 12 ქესა). ერთი ცნობით, 1820-იან წლებში გურიაში „მანეთი იყო ხუთ ყურუშათ", ხოლო „რვა ქესა იქმოდა რვაას მანეთს" [65. 2. 4355. 50]. აქედან გამომდინარე, საიჯარო გადასახადი სულ 12000 მანეთს შეადგენდა. მოიჯარადრეებმა ააგეს რამდენიმე არყის სახდელი „ზავოდი" და სამღებრო. სამღებროებში ადგილობრივ მცხოვრებთაგან მოქსოვილი ტილო და აბრეშუმის ქსოვილები იღებებოდა. 1826—1828 წლებში სოფიო დედოფალმა (მთავრის ქვრივმა) ამ მოიჯარადრეებისაგან 2641 მან. და 89 კაპ. მიიღო [65. 2. 3340. 17—18]. იმავე ხანებში გურიის სამთავროში რაღაც იჯარა აუღია ქუთაისელ ქართველ კათოლიკეს იაკობ ზუბალოვს [65. 2. 5670. 99]. უფრო გვიან, 1828 წელს დავით მაჭუტაძემ ქუთაისელ მოქალაქეებს პავლე და სიმონ მურადოვებს იჯარით მისცა თავის სოფელ ნიგოზდიდში არყის გამოხდის უფლება. მურადოვებმა მაშინვე მოაწყვეს ნიგოზდიდში არყის „ზავოდი" და ღვინის შეძენა დაიწყეს [65. 2. 3340. 1].

ამ ფაქტებიდან ჩანს, თუ როგორ იყო განვითარებული იმდროინდელ გურიაში მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და ბოჭკოვანი მცენარეების მოყვანა, აგრეთვე შინამრეწველობა, კერძოდ — კუსტარული ფეიქრობა.

კათოლიკე და სხვა ვაჭარ-მრეწველთა საქმიანობამ და საგარეო ვაჭრობის გაფართოებამ გამოაცოცხლა სამეურნეო ცხოვრება. სწრაფად იზრდებოდა სამთავროს ცენტრი — ოზურგეთი. აქ იწყეს დასახლება ადგილობრივმა ხელოსნებმა და ვაჭრებმა, მათ შორის ახალციხელმა და ქუთაისელმა კათოლიკეებმა. მალე ეს ადგილი, სადაც ადრე მხოლოდ მთავრის სასახლე, მცირე სიმაგრე და რამდენიმე სახლი იდგა, გურიის ეკონომიკურ ცენტრად იქცა. ამის შედეგი იყო, რომ 1838 წ. რუსეთის ხელისუფლებამ დვაბზუს ბაზრობა გააუქმა და იგი ოზურგეთში გადმოიტანა.

მამია გურიელი 1824—1826 წლებში ხშირად ავადმყოფობდა. დედოფალი სოფიო 1825 წ. 12 იანვარს მთავარმართებელს სთხოვდა, რომ გურიელის სამკურნალოდ გამოეგზავნათ ახალციხეში მცხოვრები ექიმი, პატრი ფრა კარლო, რომელიც იმხანად თბილისს იმყოფებოდა [63. „სხვადასხვა“, 331]; თვით გურიელი ერმოლოვს სთხოვდა, რომ მისთვის გაეგზავნათ ექიმი მარტინენკო [63. „სხვადასხვა,“ 331].

1826 წ. დასაწყისში გურიელი უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი და ლაპარაკი უჭირდა. პატრი კარლო გურიაში ჩავიდა [8. 499], მაგრამ მთავარს ვერაფერი უშველა, მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა.

ამ დროს გურიას სტიქიური უბედურება დაატყდა: 2 აგვისტოს „დიდი წყალდიდობა იქნა და სოფლები დახვეტა, ამავე თვეში მკალი მოვიდა, სიმინდი და ღომი შეჭამა“ [63. Ad — 1370].

1826 წ. 21 ნოემბერს მამია V გურიელი გარდაიცვალა [28. 155]. მას დარჩა ვაჟი — დავითი და ასულები: ეკატერინე, ტერეზია, კოჭიბროლა და სოფიო.

მთავრის სიკვდილიდან მესამე დღეს სახლთუხუცესმა დავით მაჭუტაძემ და მდივანბეგმა გიორგი ნაკაშიძემ, რომლებიც გურიაში მოთავეობდნენ, დედოფლის მითითებით სამთავროს თავადაზნაურობა შეკრიბეს და სოფიო დედოფლისა და დავით ბატონიშვილის (მემკვიდრის) ერთგულებაზე დააფიცეს. დაფიცებაზე უარი განაცხადეს მხოლოდ გურიის ერისთავის სახლისშვილებმა, რომლებმაც საჭიროდ მიიჩნიეს ამ აქტზე რუსეთის ხელისუფლების წინასწარი თანხმობის მიღება [26. VI_1, 678]. მართლაც, ერმოლოვმა არასწორად ჩათვალა სოფიოს საქციელი და მას საყვედური შემოუთვალა. ერმოლოვს ეეჭვებოდა სოფიოს რუსეთისადმი ერთგულება და გადაწყვიტა შეძლებისდაგვარად შეეზღუდა მისი საგამგებლო უფლებები.

ერმოლოვის ბრძანებით 1827 წ. 3 იანვარს დაარსდა გურიის სამთავროს სამმართველო საბჭო(Совет управления княжества Гурийского), რომელსაც უნდა ემართა სამთავრო, სანამ ტახტის მემკვიდრე სრულ-

წლოვანი გახდებოდა. საბჭოს თავმჯდომარედ დედოფალი იქნა დამტკიცებული. საბჭოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო 6 წევრი: ვახტანგ ერისთავი, დავით მაჭუტაძე, სვიმონ გუგუნავა, გიორგი ნაკაშიძე, გიორგი ერისთავი და გიორგი თავდგირიძე. საბჭოს ადგილსამყოფლად ნაგომარი დაინიშნა. ადრე ერმოლოვი დედოფალს ჰპირდებოდა, რომ საბჭოს შედგენას მას მიანდობდა, მაგრამ პირობა დაარღვია და საბჭოში ზოგი დედოფლის აშკარა მტერი შეიყვანა [56. XII. 258]. ამით საბჭოში რუსეთის ინტერესების დაცვა უზრუნველყოფილი იყო.

ერმოლოვის ამ დადგენილების გამო დედოფალმა სოფიომ პროტესტი განაცხადა; ერმოლოვმა მას განუმარტა, რომ მისი (სოფიოს) თავმჯდომარეობა იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის მთავრობა გურიის სამთავრო სახლს ხელისუფლებას არ ართმევს; რაც შეეხება იმას, რომ დედოფალს სამთავრო თავადებთან უნდა განეგო, — ამაში სათაკილო არაფერია, — სენატში თვითონ რუსეთის იმპერატორი თავმჯდომარეობსო — ანუგეშებდა სოფიოს ერმოლოვი, თითქოს არ იცოდა, რომ იმპერატორი რუსეთის თვითმპყრობელი ხელმწიფე იყო, ხოლო სენატორები მისი ყურმოჭრილი ყმები. ერმოლოვმა მოსთხოვა სოფიოს — ნებით დამორჩილებოდა რუსეთის ხელისუფლების დადგენილებას, სანამ ეს ხელისუფლება იძულებული გახდებოდა დედოფლისთვის მორჩილება ებძანებინა.

1826 წ. 7 დეკემბერს იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი ბებუთოვი სოფიოს ეწვია, რომ იგი გურიის სამმართველო საბჭოს შექმნაზე დაეთანხმებინა, მაგრამ ვერაფერს გახდა [26. VI$_1$ 682]. ასევე უშედეგოდ დასრულდა სოფიოსთან ამ საქმის მოსაგვარებლად გაგზავნილი ქაიხოსრო წერეთლისა და სეხნია წულუკიძის მისიაც [26. VII. 406]. სოფიო თავგამოდებით იბრძოდა ერთპიროვნული ხელისუფლების შენარჩუნებისათვის. ერმოლოვის განმარტებაზე, რომ გურიის საგაძგებლო საბჭო შეიქმნა სამთავროს მმართველობის მოუწესრიგებლობისა და სამმართველო-ადმინისტრაციული აპარატის უქონლობის გამო, სოფიომ უპასუხა ვრცელი წერილით, რომელშიაც იგი ერმოლოვს აღუწერდა გურიის სამთავროს მმართველობის სისტემას და ამით მიუთითებდა საბჭოს შექმნის უსაფუძვლობაზე [26. VI$_1$. 682]. დედოფლის მოთხოვნით გურიის თავადაზნაურობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა (მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ჯუმათელმა, დავით ვახტანგის ძე გურიელმა, გიორგი ლევანის ძე გურიელმა, სვიმონ და გიგო ერისთავებმა, გუგუნავებმა, ნაკაშიძეებმა, ნარიმან მაჭუტაძემ, ბიჭია შალიკაშვილმა და სხვებმა) 1827 წ. თებერვალში ერმოლოვს მიმართა თხოვნით, რომ საბჭოს შექმნის შესახებ დადგენილება გაეუქმებინა. წერილში აღნიშნული იყო, რომ დედოფალს შეუძლია თვითონ მართოს სამ-

თავრო, ამასთანავე საბჭოს წევრებიც ისეა შერჩეული, რომ მთავრის სახლის ინტერესებს არ შეესაბამება; როცა თურქთა შემოსევის საფრთხე იყო და მთავარი ლოგინად იყო ჩავარდნილი, დედოფალი სამთავროს საქმეებს კარგად განაგებდა, ამით უფრო შეუძლია მას გამგებლობა, როცა რუსეთის წყალობით ჩვენს მხარეს საგარეო საფრთხე აღარ ემუქრებაო, — აცხადებდნენ დედოფლის მომხრეები [65. 1448. 5807].

მიუხედავად სოფიოს წინააღმდეგობისა, რუსეთის ხელისუფლებამ უკან არ დაიხია, იგი გულმოდგინედ მოისწრაფოდა გარკვეული მიზნისკენ — „ერმოლოვს საქმე პირდაპირ გურიის სამთავროს ავტონომიის გაუქმებისკენ მიჰყავდა“ [56. XII. 258]. ერმოლოვის ბრძანებით სოფიოს აეკრძალა დამოუკიდებლად რაიმე საქმის გადაწყვეტა.

საბოლოოდ გურიის სამთავროს სამმართველო საბჭოს დებულება, რომელიც ერმოლოვმა შეადგინა, შემდეგ მუხლებს შეიცავდა:

1. საბჭო წესდება მთავრის გარდაცვალების გამო. 2. საბჭოს შემადგენლობაში შედის თავმჯდომარე (დედოფალი) და 6 წევრი; 3. საბჭოს წევრები ინიშნებიან დედოფლისა და იმერეთის დროებითი მმართველობის მიერ რუსეთის ერთგულ თავადთა და აზნაურთაგან. 4. საბჭო იარსებებს მემკვიდრის სრულწლოვანებამდე; 5. საბჭოს ექვემდებარება სამოქალაქო სამართლის სფეროში შემავალი საქმეები, სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავს იმერეთის დროებითი მმართველობა; 6. საბჭომ უნდა აწარმოოს სხდომათა ოქმები, რათა საჭირო შემთხვევაში რუსეთის მთავრობას შეეძლოს საქმის ვითარებაში გარკვევა (მაგ., გურიის მცხოვრებთა მიერ რუსეთის მთავრობისადმი საჩივრის მიმართვის დროს); 7. საბჭო საქმეებს წყვეტს წევრთა საერთო სხდომაზე. დადგენილება მიიღება ხმის უმრავლესობით. ხმების გაყოფის შემთხვევაში მიიღება ის აზრი, რომელსაც მხარს დაუჭერს დედოფალი; 8. საბჭოში ყველა დოკუმენტი შედის არა ერთი რომელიმე წევრის, არამედ საერთოდ საბჭოს სახელზე; ასევე საბჭოს სახელით გაიცემა ყოველგვარი დოკუმენტი; 9. თუ საბჭო საჭიროდ მიიჩნევს გურიაში რაიმე ახალი დაწესებულების შექმნას, ეს საბჭომ იმერეთის მმართველს უნდა შეუთანხმოს, მმართველი კი თავის მხრივ საქართველოს მთავარმართებელს მიმართავს; 10. საბჭოს ევალება შეასრულოს რუსეთის მთავრობისადმი მიცემული ყველა პირობა [26. VI_1. 680].

სამმართველო საბჭოს წევრები მცირეწლოვანი მემკვიდრის მეურვეებად იქნენ გამოცხადებული [26. VI_1. 680].

გურიის სამმართველო საბჭოს დებულების შინაარსი თვალსაჩინოდ გვიჩვენებს, რომ დედოფალი სოფიო სავსებით მართალი იყო,

როცა საბჭოს დაარსებას მთავრის ხელისუფლების მოსპობად მიიჩნევდა. ამის გამო სოფიო ამ საბჭოს უგულვებელყოფდა, მის დროს საბჭო ფაქტიურად მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, — 1827—1828 წლებში სოფიო სამთავროს საქმეებში საბჭოს წევრებს არ რევდა; დედოფალთან ერთად ამ საქმეებს მისი ფავორიტი — სახლთუხუცესი დავით მაჭუტაძე განაგებდა.

სამმართველო საბჭოს შექმნამ გურიის საშინაო ვითარება გაართულა და საგარეო ურთიერთობაზეც იმოქმედა. სამთავროში შეიქმნა ორი პოლიტიკური დაჯგუფება, პირველი — მთავრის ხელისუფლების აღდგენისა და სამთავროს ავტონომიის შენარჩუნების მომხრეებისა, დედოფლისა და დ. მაჭუტაძის მეთაურობით და მეორე — რუსეთის მომხრეებისა — ნაკაშიძეების მეთაურობით. ამ ორ ჯგუფს შორის გაჩაღებულმა მტრობამ სამთავროს მოსახლეობას დიდი ზიანი მიაყენა. შექმნილი მდგომარეობით მაშინვე დაინტერესდა თურქეთი, რომელიც ხელსაყრელ დროს ეძებდა, რომ დასავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარეულიყო და აქედან რუსეთი გაეძევებინა.

თურქეთის აგენტურის საქმიანობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მისი აგენტები, როცა სურდათ, შეუფერხებლად შემოდიოდნენ სამთავროს ტერიტორიაზე: საზღვარი ხშირი ტყითა და ჭაობებით იყო დაფარული და თითქმის დაუცველი იყო. ზღვითაც შეუფერხებლად შეიძლებოდა შემოპარვა: რუსთა ჯარის პოსტები ვერ არჩევდნენ ერთნაირად ჩაცმულ და ერთნაირად მოლაპარაკე ქრისტიან და მაჰმადიან გურულებს, მით უმეტეს, რომ ზოგი გაქცეული ქრისტიანი ქვემო გურიაში, ქობულეთის სანჯაყში ცხოვრობდა, ხოლო ქვემო გურიიდან გამოქცეულებიც მრავლად იყვნენ დამკვიდრებული სამთავროს ტერიტორიაზე.

თურქეთს აქტიური მოქმედების დრო მალე დაუდგა. 1827 წ. 8 დეკემბერს სულთანმა გამოაქვეყნა „ხათი — შერიფი“ (დეკლარაცია), რომლიდანაც ცხადად გამოჩნდა, რომ თურქეთი ბალკანეთსა და ამიერკავკასიაში დაკარგული პოზიციების აღდგენას თავის უახლოეს მიზნად ისახავდა.

1828 წ. აპრილში დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი. ამიერკავკასიის ფრონტზე ვითარება მეტად დაძაბული იყო. რუსეთის სარდლობას განსაკუთრებით აფიქრებდა მარჯვენა ფლანგი — გურიის სამთავროს ტერიტორია, რადგანაც რუსეთის პოლიტიკით გურიის დედოფლის უკმაყოფილება საყოველთაოდ იყო ცნობილი.

1828 წ. 8 მაისს თბილისის სამხედრო გუბერნატორი ნ. მ. სიპიაგინი კავკასიის ცალკე კორპუსის მეთაურს, საქართველოს მთავარმართებელს გენერალ პასკევიჩს მოახსენებდა, რომ მას საეჭვოდ მიაჩნდა

გურიის დედოფლის რუსეთისადმი ერთგულება, რადგან სოფიო უკ-
მაყოფილო იყო სამთავროს სამმართველო საბჭოს შექმნით.

სიპიაგინის სიტყვით, დედოფალს და დ. მაჭუტაძეს ურთიერთო-
ბა ჰქონდათ ქვემო გურიისა და აჭარის ბეგებთან. გურიის ჯარმა 1827
წ. დაიკავა პალიასტომის ტბის ნაპირები, რომლებიც გურია-სამეგრე-
ლოს შორის დავის საგანი იყო. ბატონიშვილმა დავით გიორგისძემ
აქედან უშუალო ურთიერთობა დაამყარა ფოთის ფაშასთან. სიპია-
გინს საჭიროდ მიაჩნდა, რომ პალიასტომის ტბა დადიანისთვის დაებ-
რუნებინათ და გურიის თავადებისთვის თურქეთთან ურთიერთობის
ეს გზა ჩაეკეტათ; ასევე საჭიროდ იყო მიჩნეული ჩოხატაურის პოსტ-
ზე მდგომი რუსთა რაზმის გაძლიერება. სიპიაგინის აზრით, თუ და-
დასტურდებოდა, რომ თურქები გურიაში შემოჭრას აპირებდნენ, რუს-
თა ჯარს გურიის ციხეები და გზები უნდა დაეკავებინა [66. 4644. 235
—240]. სიპიაგინის ეს მოხსენებითი ბარათი პასკევიჩმა ნიკოლოზ I-ს
გადაუგზავნა.

1828 წ. 1 აპრილს პასკევიჩი ატყობინებდა ნიკოლოზ I-ს, რომ
სოფიოს განზრახული აქვს გვიღალატოს, მოსახლეობას თავის ერთგუ-
ლებაზე აფიცებს და საჭიროა გურია ჯარით დავიკავოთო.

1828 წ. 27 ივლისს რუსეთის არმიის მთავარი შტაბის უფროსმა
ი. ი. დიბიჩმა პასკევიჩს აცნობა ნიკოლოზ I-ის აზრი გურიის საკითხ-
ზე: თუკი დადასტურდებოდა, რომ გურიის დედოფალი თურქეთს
დაეხმარებოდა ან რაიმე სხვა საქციელით რუსეთისადმი არაკეთილ-
განწყობილებას გამოამჟღავნებდა, რუსთა სარდლობას უფლება ეძ-
ლეოდა გადაეყენებინა დედოფალი, ჩამოერთმია მისთვის სამთავ-
როს საქმეთა განგების უფლება, დაეპატიმრებინა სოფიოს მრჩევ-
ლები დავით მაჭუტაძე და დავით გურიელი და სამთავროს მართვა
საბჭოსთვის ან, სარდლობის შეხედულებისამებრ, დროებითი მმართ-
ველობისთვის ჩაებარებინა [66. 4644. 250]. იმპერატორის ეს მითი-
თება ფაქტიურად წყვეტდა გურიის სამთავროს ბედს.

ომის დაწყებისთანავე სოფიო დედოფალი დ. მაჭუტაძისა და სხვა
ერთგული პირების მეშვეობით სულთნის კარს დაუკავშირდა. საჭირო
შემთხვევაში მხარდაჭერა რომ უზრუნველყოფილი ჰქონოდა, დედო-
ფალმა გურიის თავადაზნაურობას ერთგულების ფიცი დაადებინა და
მძევლები მოსთხოვა. თავადთა ნაწილმა, რომელიც სოფიოს გეგმებს
არ თანაუგრძნობდა, მას მორჩილებაზე უარი განუცხადა, ზოგიერთი
კი, მაგ., ერისთავთა სახლი, იძულებული გახდა მძევლები მიეცა, მაგ-
რამ, ამის მიუხედავად, რუსეთის მხარეზე დადგა. სოფიოს მომხრეთა
რიცხვი ძალიან მცირე იყო, დ. მაჭუტაძემ მხოლოდ 500 მოლაშქრის
თავმოყრა შეძლო [38. I. 163]. სოფიომ ენერგიულად დაიწყო მოქმე-

დება. იგი თვითონ დადიოდა თავადაზნაურთა ოჯახებში და მათ თავის მხარეზე გადაყვანას ცდილობდა. დ. მაჭუტაძემ ფარულად მოიარა ფოთი, ბათომი, ტრაპიზონი და იმას მიაღწია, რომ სულთანმა გურიის დედოფალს საგანგებო ფირმანით დახმარება და მფარველობა აღუთქვა და საჩუქრები გამოუგზავნა [38. I. 163]. სამთავროს საზღვართან, ქობულეთში, სოფიოს დასახმარებლად თურქები დიდ ჯარს უყრიდნენ თავს.

ამავე დროს გურიაში აქტიურად მოქმედებდნენ რუსეთის მომხრეებიც. დედოფლის ყოველი ნაბიჯი მაშინვე ცნობილი ხდებოდა რუსთა სარდლობისათვის. ამიერკავკასიის ფრონტის მარჯვენა ფრთას მაშინ იმერეთის მმართველი გენერალი გესე სარდლობდა.

1828 წ. აპრილში გესემ წინადადება მისცა სოფიოს, რომ თურქეთთან ურთიერთობა შეეწყვიტა და ერთგულების ნიშნად რუსეთის ხელისუფლებისათვის მძევლად გაეგზავნა დ. მაჭუტაძე. რუსეთის მთავრობას მიღებული ჰქონდა ცნობა, რომ სოფიო აპირებდა ცოლად გაჰყოლოდა დავით მაჭუტაძეს და გურიაში მთავრის ხელისუფლება აღედგინა.

მალე რუსეთის სარდლობამ მიიღო ცნობა, რომ თურქეთის 10 000 ჯარისკაცი გურიის საზღვარზე დაბანაკდა და შემოსევისათვის ემზადებოდა. ზემო აჭარის ბეგს აჰმედ ხიმშიაშვილს თურქეთის სარდლობის დავალებით გურიაში აჭარელთა და ლაზთა რაზმები უნდა შეეყვანა და მოესპო ჩოხატაურის პოსტი, რომელიც მარჯვენა ფლანგზე რუსთა მთავარი დასაყრდენი იყო (38. 1. 163). გურიის ტერიტორიას ამიერკავკასიის ფრონტისათვის, სტრატეგიულს გარდა, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: გურიაში თურქთა შემოსვლას, შესაძლოა, იმერეთსა და სამეგრელოში ანტირუსული გამოსვლები მოჰყოლოდა [52. IV$_1$. 4]. საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო თურქთა შემოჭრის შემთხვევაში გურიის მოსახლეობის პოზიციაც. პასკევიჩის სიტყვით, გურიის 5000 მოლაშქრის გამოყვანა შეეძლო [66. 3644. 41].

გურიის საზღვარზე თურქთა თავმოყრის გაგებისთანავე გენერალმა გესემ საჩქაროდ მიიღო საჭირო ზომები. მან გაძლიერა ჭალადიდისა და ხაბადის პოსტები, ხოლო ჭალადიდიდან რიონის სამხრეთი ნაპირით ფოთის ციხისკენ მიმავალ გზაზე ადგილობრივი მოსახლეობის გაძლიერებული საგუშაგოები დააყენა [38. I. 164].

თავადაზნაურობაში რუსეთის სასარგებლოდ აგიტაციის გასაწევად და რუსეთის მომხრეთა გასამხნევებლად რუსთა ჯარის სარდლობამ ზურაბ წერეთელი გაგზავნა. 1828 წ. 9 მაისს პასკევიჩმა წერილი გაუგზავნა სოფიო დედოფალს, აუწერა ფრონტებზე რუსთა ჯარის წარმატება, მორჩილება ურჩია და გააფრთხილა — თუ რუსეთს უღა-

ლატებ გურიას მისი ჯარი ააოხრებსო [66. 4644. 36—37]. ამან დედოფალი ვერ შეაშინა. 1828 წ. 1 ივნისს სოფიომ მიიღო ტრაპიზონის ფაშის მიერ გამოგზავნილი დიდი მოხელე — სილაჰდარი, რომელმაც დედოფალს გურიის სამთავროს ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მიღების დამადასტურებელი სულთნის ფირმანი და საჩუქრები გადასცა. სულთანმა საჩუქრები გამოუგზავნა გურიის თავადებსაც [66. 4644. 46; 52. IV$_1$. 4].

1820 წ. გურიიდან გაქცეული დავით ვახტანგის ძე გურიელი, ქაიხოსრო გურიელის ოჯახის წევრები და სხვა ემიგრანტები ქობულეთს ბრუნდ[ებ]ენ და ხმა გაავრცელეს — რუსებს გურიის ტახტის მემკვიდრის — დავით ბატონიშვილის რუსეთში გადასახლება და სამთავროს გაუქმება უხდათო. ამ ხმამ სოფიოს ანტირუსული პოზიცია უფრო გაამტკიცა [26. VIII. 406]. ამაში დიდი როლი შეასრულა იმ დროს ქობულეთში მოსული ბატონიშვილების — ერეკლე II-ის ვაჟების — ალექსანდრეს და ვახტანგის აგიტაციამაც [29. 117]. ამავე დროს, 1828 წ. ივლისში ზემო აჭარის ბეგმა აჰმედ ხიმშიაშვილმა წერილით მიმართა დედოფლის ურჩი ერისთავების სამფლობელოს — სურების ხეობის მოსახლეობას და მათგან დედოფლისადმი მორჩილება მოითხოვა; წინააღმდეგ შემთხვევაში აჰმედ-ბეგი სურებს ოხრებით ემუქრებოდა [26. VIII. 413].

ამ მუქარამ და აგიტაციამ ვერ გასჭრა. გურიის მოსახლეობის ანტითურქული განწყობილება ისე ძლიერი იყო, რომ დედოფალმა თავისი მომხრეების რიცხვი ვერ გაზარდა. გურიის ერისთავები და გიორგი ბატონიშვილი (მამია IV გურიელის შვილი) აშკარად დადგნენ რუსეთის მხარეზე. მათ ოჯახები იმერეთში გახიზნეს, ხელქვეითებისაგან საკმაოდ დიდი რაზმები შეადგინეს და ჩოხატაურში მდგომ რუსთა ჯარს შეუერთდნენ. სოფიოს წინააღმდეგი იყვნენ ნაკაშიძეებიც, მაგრამ რადგანაც მათი მამული თურქეთის საზღვართან იყო და მათსა და რუსეთის ჯარს შორის დედოფლის მომხრეთა ჯარი იდგა, ნაკაშიძეებმა სიფრთხილე გამოიჩინეს და აქტიურად არ გამოსულან. მოსახლეობის თურქებისადმი სიძულვილი ისე ძლიერი იყო, რომ დედოფლის უშუალო ხელქვეითები — მთავრის სახლის გლეხებიც კი სოფიოს წინააღმდეგ გამოდიოდნენ [66. 4644. 46 და 76].

მოსახლეობის პოზიციაზე დიდი გავლენა იქონია პასკევიჩის „პროკლამაციამ“ გურიის მოსახლეობისადმი. პასკევიჩი აცხადებდა, რომ რუსეთი, რომლის ძლიერება მსოფლიომ იცის, ებრძვის ოსმალეთს. ამ დროს ფაშების მზაკვრობით მოტყუებულმა სოფიო დედოფალმა ოსმალებისგან საჩუქრები მიიღო, რისთვისაც დედოფალი სასჯელს ვერ გადაურჩებაო. პასკევიჩი გურიის მოსახლეობას მოაგონებდა მათ

„მოვალეობას რუსეთის ხელმწიფისადმი," „მონებრივი ერთგულებისკენ" მოუწოდებდა და ორგულთა გაჟლეტასა და ურწმუნოებისაგან გურიის საზღვრების დაცვას მოითხოვდა [63. Hd — 14772].

1828 წ. ივლისის დასაწყისში 4000 თურქი და მაჰმადიანი ქართველი გურიაში შემოიჭრა და ამ მხარის აოხრება დაიწყო [66. 4644. 22]. გენერალ სიპიაგინის ცნობით, ივლისში გურიაში რუსეთის მოწინააღმდეგეთა დასახმარებლად მოსულა აჰმედ-ბეგი 500 მოლაშქრით და ზარბაზნით [66. 4646. 11]. სოფიოს წარმატების იმედი მიეცა, მაგრამ ეს იმედი ამაო იყო, ხალხი მას მხარს არ უჭერდა; დედოფლის მოქმედება აშკარა ავანტიურად იქცა და მარცხისათვის იყო განწირული.

მალე რუსეთის ჯარმა ბალკანეთში და ამიერკავკასიის ფრონტზეც ბრწყინვალე გამარჯვებებს მიაღწია. 1828 წ. 15 ივლისს რუსეთს ჩაბარდა ფოთის ციხე და რიონის შესართავთან თურქთა მიერ აგებული მეორე ქვის სიმაგრეც. ამ მხრიდან რუსეთის ჯარის ზურგის უშიშროება უკვე უზრუნველყოფილი იქნა. როგორც კი გურიაში შემოსულმა თურქეთის ჯარმა ფოთის დაცემა გაიგო, მაშინვე უკან გაბრუნდა [66. 4648. 22].

24 ივლისს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო ახალქალაქი. ბრძოლაში დაიღუპა სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟი ფარჰად ბეგი. რუსეთის ჯარი ახალციხეზე საიერიშოდ ემზადებოდა. ამ ამბის გაგებისთანავე გურიაში შემოსული აჭარელთა რაზმი ისევ აჭარაში დაბრუნდა და ახალციხის დამცველთა დასახმარებლად გაეშურა. დედოფლის მომხრე გურულებმა სვიმონ ერისთავის სასახლე და კარმიდამო გადაწვეს და ასკანის ციხეში შევიდნენ, სადაც იმ დროს დედოფალი სოფიო იმყოფებოდა [66. 4648. 11].

27 ივლისს პასკევიჩმა იმპერატორისაგან ითხოვა მითითება, — როგორ ემოქმედა იმ შემთხვევაში, თუ სოფიო თურქეთში გაიქცეოდა ან გურიაში დარჩებოდა. ნიკოლოზ I-მა უპასუხა, რომ თუ დედოფალი გაიქცეოდა, მაშინ გურია რუსეთს უშუალოდ უნდა შეუერთდეს და იმერეთის დროებით მმართველობას დაემორჩილოს, ხოლო თუ დედოფალი დარჩება, მას მაინც ყველა უფლება ჩამოერთვას და მემკვიდრის სრულწლოვანობამდე სამთავრო უნდა მართოსო საბჭომ რუსი ჩინოვნიკის თავმჯდომარეობით [66. 4644. 222].

ფრონტზე რუსთა ჯარი წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. სოფიომ დაინახა, რომ თურქეთს ომი წაგებული ჰქონდა და რუსეთისკენ შემობრუნება გადაწყვიტა. 8 აგვისტოს მან პასკევიჩს მონანიების წერილი მისწერა და აღუთქვა, რომ ერთგულების დასამტკიცებლად საკუთარი ძალით ბათომს, ჩაქვს და ქობულეთს თურქებს წავართმევ

და რუსეთს გადავცემო. ამავე დროს, 16 აგვისტოს სოფიომ წერილი გაუგზავნა გენერალ სიპიაგინს. შინაარსი თითქმის იგივე იყო: დედოფალი ნაბობდა თავის დანაშაულს რუსეთის წინაშე და ამ დანაშაულის გამოსასყიდლად რუსეთს ქობულეთისა და ბათომის დაპყრობას ჰპირდებოდა, ოღონდ ამ ლაშქრობის დროს გურიის ჯარის გასამხნევებლად და წასახალისებლად რუსთა ჯარის დახმარებას ითხოვდა [66. 4648. 26 და 55], ე. ი. სოფიო ბათომის მიმართულებით ერთიანი ლაშქრობის წინადადებას **იძლეოდა.**

პასკევიჩმა, რომელსაც უკვე მიღებული ჰქონდა გურიის დაკავების ნებართვა, სოფიოს ქვემო გურიის დასაკავებლად ორი კვირის ვადა მისცა. ამავე დროს მან გენერალ გესეს მისწერა: თუ სოფიო თავის დაპირებას ორ კვირაში არ შეასრულებს, გურია ჯარით დაიკავე, დედოფალი გადააყენე და ხელისუფლება რუსი ოფიცრის ხელმძღვანელობით თავადთა საბჭოს გადაეცი [66. 4644. 222]. პასკევიჩმა იცოდა, რომ სოფიო თავის დაპირებას ვერ შეასრულებდა.

1828 წ. 16 აგვისტოს რუსეთის ჯარმა იერიშით აიღო ახალციხე — თურქეთის ძირითადი დასაყრდენი ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ფრონტზე რუსეთის საბოლოო წარმატება ეჭვს აღარ იწვევდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის სარდლობამ უკვე სხვა თვალით შეხედა სოფიოს წიხადადებას და შესაძლებლად დაინახა მისი მიღება, თუმცა დედოფლის ერთგულებაში მაინც დაეჭვებული იყო. საქმე ის არის, რომ ქვემო გურიის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ დიდი ხანი არ იყო გასული, ქობულეთის მხარე სულ 40—50 წლის წინათ იყო დაპყრობილი. იქაური მოსახლეობის ნაწილი ჯერ კიდევ ქრისტიანობდა და თუ გურიის ლაშქარი რუსეთის ჯართან ერთად ბათომისკენ გაილაშქრებდა, მოსალოდნელი იყო, რომ ამ მხარის მოსახლეობა თურქების წინააღმდეგ აჯანყებულიყო.

იმავე დროს, აგვისტოს შუა რიცხვებში აფხაზეთის მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ. გენერალ გესეს წერილით სთხოვა ეშუამდგომლა პასკევიჩთან, რომ მისთვის ნება დაერთო თავისი ჯარით, საკუთარი ნავებით გაელაშქრა და დაეკავებინა ქობულეთი. შარვაშიძე რუსთა ჯარის დახმარებას არ თხოულობდა, ოღონდ საჭიროდ მიაჩნდა, რომ ამ ლაშქრობის დროს რუსეთის გემებს ნაპირის გასწვრივ ეცურათ და აფხაზთა ნავები თურქთა მოულოდნელი თავდასხმებისაგან დაეცვათ [66. 4648. 26—27 და 87].

სოფიოსა და შარვაშიძის გეგმები, ცხადია, შემთხვევით არ შექმნილა, ისინი ქვემო გურიის მოსახლეობის ანტითურქულ განწყობილებას ითვალისწინებდნენ. ქობულეთის ერთი ნაწილის, გურიის სამთავროს მოსაზღვრე ადგილების მფლობელი ასლან-ბეგ თავდგირიძე რუ-

სეთთან დაკავშირების აშკარა მომხრე იყო, ხოლო მისმა ძმამ — ქობულეთის სანჯაყ-ბეგმა მამედმა[1] რუსეთის სარდლობას აცნობა, — თუ რუსთა ჯარი ქობულეთზე გამოილაშქრებს მე თქვენს მხარეზე გადმოვალ და დაგეხმარებით, თურქების წინააღმდეგ დამოუკიდებლად გამოსვლა კი არ შემიძლია, რადგანაც ქობულეთში ტრაპიზონის ფაშის მიერ გაგზავნილი 2000 თურქი დგას ოსმან-ბეგის სარდლობითო [56. XII. 259].

როგორც ვხედავთ, გურიის არც ქრისტიანი და არც მაჰმადიანი მოსახლეობა თურქებისადმი სიმპათიით არ იყო განწყობილი. გურიის სამთავროს ბედიც საბოლოოდ ამან გადაწყვიტა.

რუსეთის ფლოტმა მაშინვე ილაშქრა ტრაპიზონის მიმართულებით და ჭანეთის სანაპიროზე თურქეთის სიმაგრეები დაბომბა, მაგრამ ამას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია[2], რადგანაც ხმელეთზე საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა.

რუსეთის სარდლობა ტრაპიზონზე ხმელეთის გზით გალაშქრების სამზადისს შეუდგა. ლაშქრობის წინ ზურგი რომ საფრთხისგან უზრუნველეყო, სარდლობამ გურიის დედოფალს მძევლებად დავით მაჭუტაძე და დავით ვახტანგის ძე ერისთავი მოსთხოვა. სოფიომ მძევლების გაგზავნაზე უარი განაცხადა. მაშინ პასკევიჩმა გურიაში თავადი ფალავანდიშვილი გაგზავნა და დედოფალს სამთავროს სამმართველოს საბჭოს ამოქმედება მოსთხოვა. სოფიომ ამაზეც უარი განაცხადა და თავდასაცავად მზადება დაიწყო. ფალავანდიშვილმა თვითონ ნახა, როგორ ამაგრებდნენ დედოფლის ბრძანებით ასკანის ციხის კედლებს [26. VIII. 408—9].

8 სექტემბერს პასკევიჩმა გურიის საკითხზე თავისი მოსაზრებები აცნობა გრაფ. ი. ი. დიბიჩს. იგი წერდა, რომ სოფიო გადაყენებული უნდა იქნას და მემკვიდრის სრულწლოვანებამდე გურიის განსაგებლად უნდა შეიქმნას საბჭო. თუ დავით ბატონიშვილი (მემკვიდრე) თურქეთში წავა, მაშინ გურია რუსეთს უშუალოდ უნდა შეუერთდეს. მე აქამდე იარაღით იმიტომ არ დავიკავე გურია, — წერდა პასკევიჩი, — რომ მის საზღვრებთან 5000 კარგი მსროლელი იდგა, რომლებიც შემდეგ ახალციხის დასაცავად წავიდნენ (ლაზები და აჭარლები აჰმედ-ბეგის მეთაურობით. — ქ. ჩ.); გურიაზე, ახალციხესა და ყარსზე ერთდროულად რომ გველაშქრა, დავმარცხდებოდით, ახლა კი, როცა ყარსი, არდაგანი, ახალციხე, ხერთვისი და აწყური ჩვენს ხელთაა, გუ-

---

[1] ასლანი და მამედი სულეიმან (მაქსიმე) თავდგირიძის შვილები იყვნენ. ამ მამედის შვილებია შემდეგ ცნობილი ფაშები—ალი და ოსმანი.

[2] სამწუხაროდ, რუსეთის ფლოტის ეს ლაშქრობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში აქამდე შესწავლის საგნად არ გამხდარა.

რიას უსისხლოდ დავიმორჩილებთ, თურქები მას ვერ დაეხმარებიან, მარტო გურულები კი შებრძოლებას ვერ გაბედავენო.

პასკევიჩს იმედი ჰქონდა, რომ რუსეთს ბათომი შესაძლოა ზავის პირობებით მიეღო; მაშინ „თურქეთის გურია“ უშუალოდ რუსეთს უნდა შეერთებოდა: „Если уже при заключении мира часть Турецкой Гурии с Батумом будет нам уступлена, то и сему округу должно состоять под непосредственным управлением российским“ [66. 4644. 221—222].

სექტემბერში შავი ზღვის სანაპიროზე ჩვეული კოკისპირული წვიმები დაიწყო და გზები თითქმის გაუვალი გახდა. ამ მხარეში მყოფ რუსეთის ჯარს დიზენტერია, მალარია და სხვა სნეულებანი მოედო. რამაც ჯარისკაცთა ნახევარი მწყობრიდან გამოიყვანა. ამას დაერთო ისიც, რომ მოულოდნელად ძლიერ აცივდა. ყოველივე ამან ტრაპიზონისკენ გალაშქრების და „თურქეთის გურიის“ გათავისუფლების გეგმა ჩაშალა [38. I. 349]. რუსეთის სარდლობისთვის მიცემულ ვადაზე — 30 სექტემბერს, ცხადია თურქეთისთვის არც გურიის ლაშქარს შეუტევია და გენერალმა გესემ პასკევიჩის მითითება შეასრულა — იმავე დღეს ორი ბატალიონი გურიაში შეიყვანა.

სოფიომ ოჯახის წევრების და ერთგული პირების თანხლებით ოზურგეთის სასახლე დატოვა და ქონება, რის წაღებაც შეეძლო, თან წაიღო. დედოფალი ერთხანს მაკვანეთში შეჩერდა, შემდეგ კი ლეხაურის ციხეში გადავიდა, ოზურგეთი და ასკანის ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა. გესეს სოფიოს ხელში ჩაგდება ჰქონდა ნაბრძანები და მისი სიფხიზლის მოსადუნებლად ხალხს გამოუცხადა, — მე გურიაში იმიტომ შემოვედი, რომ აქაურ ლაშქართან ერთად თურქეთზე გავილაშქროო და სოფიოს შეუთვალა — ოზურგეთში დაბრუნდი, რომ ქვემო გურიის განთავისუფლების გეგმა ერთად შევადგინოთო [56. IV_2. 137]. სოფიო გესესთან გამოცხადებას აპირებდა, მაგრამ დ. მაჭუტაძემ გადააფიქრებინა.

პირველ ოქტომბერს ღამით დედოფალმა ლეხაურის ციხე დატოვა და ქობულეთში თურქთა სარდალ ოსმან-ბეგთან მივიდა. ლეხაურის ციხე რუსთა ჯარმა დაიკავა. ციხეში მას დახვდნენ სოფიოს მცირეწლოვანი შვილები — სოფია და ტერეზია, უფროსები — დავითი და ეკატერინე დედოფალს თან წაეყვანა. დედოფალთან ერთად თურქეთში წავიდნენ: დავით მაჭუტაძე, გიორგი თავდგირიძე, ლაზარე ნაკაშიძე, 8 აზნაური და 56 მსახური. სოფიომ თან მძევლად წაიყვანა გიორგი ერისთავის შვილები: კონსტანტინე და დავითი და გიგო ერისთავის ვაჟი — ალექსანდრე [56. IV_2. 138].

გესე გაქცეულებს კვალდაკვალ მიჰყვა. 15 ოქტომბერს რუსეთის ჯარი წმ. ნიკოლოზის სიმაგრესთან (შეკვეთილთან) შეებრძოლა თურქეთის ჯარს და გაიმარჯვა, მაგრამ წინ აღარ წასულა. სოფრომ დაინახა, რომ ქობულეთში დგომა საშიში იყო და ტრაპიზონს წავიდა.

რუსეთის ჯარმა ნოემბრის დასაწყისში გურიის ყველა ციხე და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

რუსეთის ჯარის მიერ გურიის სამთავროს დაკავების შემდეგ, ნოემბრის შუა რიცხვებში, პასკევიჩმა ამ მხარის სამართავად დროებითი მმართველობა დააწესა. იმდროინდელ ქართულ დოკუმენტებში მას „გურიის დროებითი სასამართლო“ ეწოდება. გურიის სამთავროს დროებითი მმართველობის სათავეში რუსი ოფიცერი იდგა, რომელსაც ექვემდებარებოდა მმართველობის ორი წევრი, გურიის თავადთაგან.

დროებითი მმართველობა ადგილობრივი კანონების მიხედვით განიხილავდა და წყვეტდა სამოქალაქო საქმეებს, სისხლის სამართლის საქმეები კი განსახილველად და გადასაწყვეტად ეგზავნებოდა იმერეთის მმართველს ქუთაისში, რომელსაც გურიის დროებითი მმართველობა უშუალოდ ემორჩილებოდა. მალე, მოსახლეობის თხოვნით, მმართველობას კიდევ ორი წევრი შეემატა. მმართველობის პირველ შემადგენლობაში შედიოდნენ: პოდპოლკოვნიკი კულიაბკო (თავმჯდომარე) და გურიის სამთავროს მდივანბეგები: გიორგი ერისთავი, გიორგი ნაკაშიძე, სვიმონ გუგუნავა და ვახტანგ ერისთავი. დროებითი მმართველობის ადგილსამყოფელი იყო სოფელი ნაგომარი. გურიაში შენარჩუნებული იქნა ადგილობრივი მმართველობის ძველი სისტემა, კერძოდ, მოურავებისა და ნაცვლების თანამდებობანი.

ასე იმართებოდა გურია 1840 წლამდე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ 1830 წლიდან გურიის სამთავრო გაუქმებულად გამოცხადდა და ამ მხარეს გურიის ოლქი („Гурийская область“) ეწოდა.

1840 წ. გურიის ოლქი ოზურგეთის მაზრად გარდაიქმნა. 1841—1847 წლებში ოზურგეთის მაზრა საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შედიოდა, 1847 წლიდან კი ახლად შექმნილ ქუთაისის გუბერნიაში შევიდა.

მართალია, გურიის დროებით მმართველობაში ადგილობრივი თავადები შედიოდნენ და საქმეები ხმის უმრავლესობით უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერს მმართველობის თავმჯდომარე, — რუსი ოფიცერი განაგებდა. იმერეთის მმართველის გენერალ ესპეხოს სიტყვით, გურიის დროებითი მმართველობის დადგენილებები მხოლოდ მისი თავმჯდომარის დადგენილებები იყო და მმართველობის წევრები ამ დადგენილებებს ხელს ისე აწერდნენ, რომ წაკითხულიც კი არ ჰქონდათ [65. 2. 4200. 23].

გურიის მმართველობაში ადგილობრივი მოსახლეობის წამომადგენლობა ფორმალური იყო და მმართველობის კოლეგიალობა ფიქციას წარმოადგენდა. რუსი მოხელე, რომელმაც 1837 წელს სპეციალურად შეისწავლა დროებითი მმართველობის საქმიანობა, წერდა: „გურიაში ახლა არსებული დროებითი მმართველობა,... როგორც რვაწლიანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, არც იქაურობას და არც იქაური ხალხის სულს არ შეესაბამება“ [65. 2. 6444. 50].

1828 წ. ნოემბრის ბოლოს რუსეთის მთავრობამ თურქეთში გაქცეულ პირთა ყმა-მამული ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა. გურიის დროებითმა მმართველობამ მოურავებს მათ სამოურავოებში არსებული სახელმწიფო (მთავრის სახლის) ქონებისა და შემოსავლის ანგარიში მოსთხოვა. მოურავებმა ეს ანგარიშები 1828 წ. მიწურულსა და 1829 წლის იანვარ-თებერვალში წარადგინეს [63. Qd — 8428—8434]. ყოველგვარ სამთავრო (სახელმწიფო) შემოსავალს ახლა მოურავები გურიის დროებით მმართველობას აბარებდნენ, რომელსაც შემოსავლის ნატურალური ნაწილი ფულად უნდა ექცია და იმერეთის დროებითი მმართველობისათვის გადაეგზავნა.

გურიის შემოსავალი რუსეთის ფინანსთა სამინისტროს განკარგულებაში არ გადასულა, — საქართველოს მთავარმართებლის განკარგულებაში დარჩა [65. 2. 6444. 2]. დროებითი მმართველობა სახაზინო გლეხებიდან გადასახადს იმავე რაოდენობით იღებდა, როგორც ეს მთავრის დროს იყო. გადასახადის აკრეფა ყოველი წლის 1 ოქტომბერს იწყებოდა. შემოსავლის ნაწილი გურიის დროებითი მმართველობის ხარჯების დაფარვას ხმარდებოდა.

ამრიგად, 1828 წ. ნოემბრიდან გურიის სამთავრომ ფაქტიურად არსებობა შეწყვიტა, იგი საბოლოოდ შეუერთდა რუსეთის იმპერიას. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა ამბობდა, „რუსობა“ დაიწყო [65. 2. 3554. 2.]. რუსეთის ცარიზმი გურიას დაპყრობილ ტერიტორიად თვლიდა და მიაჩნდა, რომ „გურიის ნაწილი (იგულისხმება ტერიტორია რიონსა და ჩოლოქს შორის, — ქ. ჩ.) რუსეთს შეუერთდა თურქეთთან ადრიანოპოლის ზავის პირობების თანახმად“ [65. 2. 8070. 3].

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოთხე

გურიის სამთავრო რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომში

რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომი რუსეთისთვის წარმატებით წარიმართა. რუსეთის ჯარმა 1828 წელს დუნაისპირეთის დაკავების შემდეგ 1829 წელს გადალახა ბალკანეთის მთები, გაათავისუფლა ბულგარეთი, 8 აგვისტოს ადრიანოპოლი დაიკავა და სტამბულს დაემუქრა. ამიერკავკასიის ფრონტის მარცხენა ფრთაზეც რუსთა ჯარმა, რომლის შემადგენლობაშიც სახელოვნად იბრძოდა მრავალრიცხოვანი ქართული სახალხო ლაშქარი („მილიცია"), ზედიზედ აიღო ძლიერი ციხესიმაგრეები: ახალქალაქი, ახალციხე, ყარსი, ბაიაზეთი, ბაიბურთი, ერზერუმი და ევფრატის ნაპირებს მიაღწია.

სხვაგვარად წარიმართა საომარი მოქმედება ამიერკავკასიის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე, გურიის სამთავროს საზღვრებთან. გურიის მოსახლეობა რუსეთის სარდლობის მოწოდებისთანავე ერთიანად გამოვიდა თურქეთის წინააღმდეგ და რუსთა ჯარს მრავალრიცხოვანი სახალხო ლაშქარი მიაშველა.

1829 წ. დასაწყისში გურიაში რუსთა სარდალს გესეს ჰყავდა: ჩოხატაურის პოსტზე — 327 ქვეითი 45 ზარბაზნით, ნაგომრის ციხეში — 165 ქვეითი 1 ზარბაზნით, წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში —317 ქვეითი 2 ზარბაზნით, ფოთის ციხეში —496 ქვეითი 4 ზარბაზნით, ე. ი. სულ 1305 ქვეითი და 52 ზარბაზანი [38. II. 18]; რუსთა ჯართან ერთად საომრად გამოსული იყო გურიის მილიცია: ოზურგეთში —500 კაცი, შეკვეთილში — რაზმი (რაოდენობა ცნობილი არაა), ჩოხატაურის პოსტზე, ასკანისა და ლეხაურის ციხეებში — 150, ბუკისციხეში — მეციხოვნეთა რაზმი (რაოდენობა ცნობილი არაა) [38. II. 50]; ასე რომ გურიის მოლაშქრეთა რაოდენობა გესეს ჯარის რაოდენობას არ ჩამორჩებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ადგილობრივი მოლაშქრეები კარგად იცნობდნენ საომარი მოქმედების ასპარეზის რთულ რელიეფს, ცხადი გახდება, რომ ომში ფრონტის ამ უბანზე გურიის

მილიციის მონაწილეობას რუსეთის სარდლობისთვის უკიდურესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

1822 წ. მარტის დასაწყისში ტრაპიზონის სამთუღიანმა ფაშამ ქეჰაია-ოღლიმ ქვემო გურიაში 3000 ჯარისკაცი მოიყვანა, ადგილზე — ბათომში, ჩაქვსა და ქობულეთში 5000 მოლაშქრე შეაგროვა და ტრაპიზონიდან დამხმარე კორპუსის — 10000 კაცის მოსვლის მოლოდინში კინტრიშსა და შეკვეთილს შორის ლიმანში[2] დაბანაკდა.

თურქთა ბანაკი ზღვასა და ხშირ ტყეს შორის იყო განლაგებული და 300 კვ. საჟენი ფართობი ეკავა. ლიმანის ბანაკი თურქებმა ადრე, ჯერ კიდევ 1828 წ. შემოდგომაზე გაამაგრეს. მას ირგვლივ ხის, შუაში მიწით ამოვსებული ორმაგკედლებიანი ბრუსტვერი ერტყა და სამი მხრიდან ორმა თხრილი ჰქონდა. ბანაკის წინ, ჩრდილოეთით კიდევ რამდენიმე თხრილი გათხარეს, ხოლო ამ თხრილების წინ სამი დიდი ხერგილი იყო გაკეთებული.

1829 წ. თებერვლის შუა რიცხვებში თურქეთის სარდლობამ ახალციხიდან რუსთა განდევნის გეგმა შეიმუშავა. თურქეთის ჯარმა ახალციხეს ალყა შემოარტყა და 20 თებერვლიდან 3 მარტამდე შეუჩერებლად უტევდა. საალყო კორპუსის სარდალი იყო ზემო აჭარის გამგებელი აჰმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, რომელსაც სულთანი ახალციხის აღებისთვის სამთუღიანი ფაშის წოდებას, ახალციხის ფაშობას და დიდ ფულად ჯილდოს შეჰპირდა. აჰმედ-ბეგი თავიდან არ აპირებდა თურქთა მხარეზე აქტიურად გამოსვლას, მაგრამ სულთანმა შემოუთვალა,— ურჩობის შემთხვევაში თავს წააგებო და იძულებული გახდა დამორჩილებულიყო [38. II. 12—14].

რუსეთის სარდლობამ ახალციხის გადასარჩენად გადაწყვიტა გურიაში მდგარი რუსეთის ჯარი აჭარაზე გაელაშქრებინა, რომ ახალციხის მოალყე აჭარლები სახლში დაბრუნებულიყვნენ. გენერალმა გესემ 28 თებერვალს ჩოხატაურში თავი მოუყარა რუსეთის ჯარის ერთ ბატალიონს, 1515 გურულ მოხალისეს[3], ორ საველე და ორ სამთო

---

[1] თურქეთში მაღალი რანგის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს — ფაშებს რანგის მიხედვით ეძლეოდათ ერთი, ორი ან სამი თუღი; თუღი ერქვა ცხენის ძუის კონით შემკულ მოოქროვილ ბურთულას, რომელიც ტარზე იყო დამაგრებული და ფაშის გვერდით ატარებდნენ. ერთთუღიანი ფაშის ტიტული იყო მირლივა, ორიანის — მირმირანი, სამთუღიანისა კი ვეზირი. ვეზირი სულთნის საბჭოს წევრი იყო. იყო მცირე ზომის ქუდზე დასამაგრებელი თუღიც.

[2] ესაა ქობულეთის ლიმანი, ახლანდელი ფიქვნარი.

[3] რუსეთის სარდლობამ გესეს უბრძანა, რაც შეიძლებოდა მეტი გურული მოლაშქრე შეეკრიბა; თითო მოლაშქრეს თვეში 1 ჩერვონეცი (ოქროს ათმანეთიანი) ეძლეოდა და ნადავლიც მას ერგებოდა.

ზარბაზანს და ასკანის გზით აჭარისკენ დაიძრა. როცა ჯარი გურიის მთებს მიადგა, ნახეს, რომ მთაზე მთის ძირიდანვე ისე დიდი თოვლი იდო, რომ აჭარაზე აქედან გალაშქრებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო [56. IV$_2$. 190; 38. II. 35]. ამ დროს მოვიდა ცნობა, რომ ლიმანში მდგარი თურქეთის ჯარი გურიაში შეჭრას აპირებდა. ამ ამბის გაგებისთანავე გესე ჯარით სასწრაფოდ ლიმანისკენ გაეშურა. გესეს ასეთი გეგმა ჰქონდა: მოულოდნელად დასხმოდა თავს ლიმანის ბანაკს, აეღო იგი და ბათომზე გაელაშქრა.

ლიმანთან ბრძოლის წინ გესეს ჯარში სულ 2530 კაცი (რუსი და ქართველი) და 6 მსუბუქი ზარბაზანი იყო. გესემ 5 მარტს ჯარი ფარულად გადაიყვანა მდ. ნატანებზე და ლიმანისკენ დაიძრა. რუსთა ნაწილები ზარბაზნებით ზღვისპირს გაჰყვნენ, გურიის მილიცია კი მარცხენა ფლანგზე, ტყეში, ვიწრო გზას მიჰყვებოდა. ნატანებიდან სამ ვერსზე რუსთა კოლონას წინ ხერგილსუკან ჩასაფრებული თურქეთის ჯარის ცეცხლი გადაეღობა. ამ დროს მტერს მარცხნიდან მოულოდნელად დაარტყა გურიის მილიციამ. ამან მტერი ისე შეაშინა, რომ მან მეორე და მესამე ხერგილიც უბძოლველად მიატოვა და ბანაკს შეეფარა. ახლა რუსების არტილერია ამოქმედდა და ჯარიც შეტევაზე გადავიდა. ერთიანი შეტევა, რომელშიაც, პასკევიჩის სიტყვით, განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გურიის ლაშქარმა, ლიმანის ბანაკის აღებით დასრულდა. ლიმანის დამცველთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი გადარჩა. რუსეთის ჯარს მაშინვე შეეძლო შეტევა გაეგრძელებინა და ქობულეთი აეღო, მაგრამ გესემ ეს მიზანშეწონილად არ ჩათვალა და შეტევა შეწყვიტა. ლიმანის ბრძოლაში 15 გურული დაიღუპა (12 გლეხი და 3 თავადი და აზნაური) და 11 დაიჭრა. ლიმანში ნაშოვნი ნადავლი მთლიანად გურიის მილიციას გადაეცა.

6 მარტს გესეს ჯარმა ლიმანის სიმაგრე დაანგრია და შეკვეთილის გავლით ოზურგეთისკენ წავიდა. შეკვეთილი გაამაგრეს, იქ სამი ასეული და 4 ზარბაზანი დატოვეს.

ამ დროს ფრონტის მარცხენა ფლანგზეც რუსებმა წარმატებას მიაღწიეს, 3 მარტს ახალციხის მოალყე ჯარი დაამარცხეს და ახალციხეს ალყა მოეხსნა.

ლიმანთან მარცხმა თურქებს მთელი ქვემო გურიის დაკარგვის საფრთხე შეუქმნა. ამით შეშფოთებულმა თურქეთის სარდლობამ ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს[4] ქობულეთში აჭარელთა დიდი რაზმის გაგზავნა უბრძანა. 20 და 30 მარტს ტრაპიზონიდან კინტრიშის (ქობულეთის) სიმაგრეში მოვიდა 40 დიდი ნავი, რომლებითაც 1000 მოლაშქრე მოეყვანა დიდძალი იარაღით და ტყვია-წამლით. მალე თურქეთის სარ-

[4] ახმედ ხიმშიაშვილმა ფაშობა ახალციხის ალყის დროს მიიღო.

დლობამ ქობულეთის სანჯაყში 17000 მოლაშქრეს მოუყარა თავი. ამ ჯარიდან 5000 კაცი 2 ზარბაზნით ლიმანში დააყენეს, 3000 კაცი 2 ზარბაზნით კი ოზურგეთისკენ მიმავალ გზაზე, მუხაესტატესთან. ამ დროს კინტრიშის სიმაგრეში მოვიდნენ გურიის დედოფალი სოფიო და დავით ვახტანგის ძე გურიელი თავიანთი ამალით.

მიუხედავად დიდი მზადებისა, თურქეთის ჯარი შეტევაზე არ გადმოსულა,—ტრაპიზონიდან ოსმან ფაშას ხაზნადარ-ოღლუს ელოდნენ 4000 მოლაშქრით.

გესე თურქთა შემოტევის მოსაგერიებლად ემზადებოდა, — ოზურგეთში, ჩოხატაურში, ასკანაში, ლეხაურში, ნაგომარსა და ბუკისციხეში გარნიზონები გააძლიერა [26. VII. 781].

გესეს ეს ღონისძიებანი დროული აღმოჩნდა. ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილმა გურიის მთები გადმოლახა და ერისთავთა მამული ააოხრა, სოფლები დაარბია და ერისთავთა სასახლეები გადაწვა [65. 2. 4022]. ამ შემოსევის მიმართულება შემთხვევით არ იყო ამორჩეული: გურიის ერისთავთა სახლი რუსეთის მხარეზე იდგა და თურქებთან ომში დიდ როლს თამაშობდა, — ვახტანგ ერისთავი გურიის მილიციის სარდალი იყო. ომში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა ერისთავებიც: ბრძოლაში დაიღუპა გრიგოლ ერისთავი, გიორგი ერისთავი კი ბრძოლის დროს მიღებული ჭრილობით გარდაიცვალა [65. 2. 4022].

გურიაში შემოჭრილი ახმედ-ფაშის რაზმი მალე დამარცხდა და განდევნილი იქნა.

1829 წ. 27 ივნისს რუსეთის ჯარმა თურქეთის უძლიერესი ციხესიმაგრე ერზერუმი აიღო. ამ ამბის გაგებისთანავე ქობულეთის მოსახლეობამ რუსეთის მხარეზე გადასვლა გადაწყვიტა. ამის შესახებ გენერალ გესეს შეუთანხმდნენ ქობულეთის თავკაცები, მაგრამ მათი განზრახვა ვერ განხორციელდა: ქობულეთში მოულოდნელად მოვიდა თურქეთის დიდი მოხელე, ჭანეთის ერთი ნაწილის გამგებელი ტუსჩიოღლი 8000 მოლაშქრით. მან ეს რაზმი ოზურგეთისაკენ მიმავალ გზაზე, მუხაესტატესთან დააყენა და ქობულეთლებს რუსეთის სარდლობასთან კავშირის გზა გადაუჭრა, ამასთანავე ქობულეთლებს ერთგულების საწინდრად მძევლები ჩამოართვა. ქვემო გურიის რუსეთთან შეერთება ჩაიშალა, ქობულეთლები იძულებული გახდნენ რუსეთის წინააღმდეგ ეომათ [38. II. 236].

ამავე ხანებში ჩაიშალა რუსეთის მხარეზე აჭარის გადმოსვლის ცდაც. 1829 წ. ზაფხულში პასკევიჩის მითითებით ახალციხის პროვინციის მმართველი გენერალი ბებუთოვი ზემოაჭარის გამგებელ ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს დაუკავშირდა და რუსეთის მხარეზე გადასვლა შესთავაზა [38. II. 194]. ახმედ-ფაშა რუსეთთან შეერთებაზე თანახმა იყო

იმ პირობით, თუ მას ფაშის წოდებით აჭარის გამგებლად დატოვებდნენ, გენერალ-მაიორის ჩინს მისცემდნენ და წმ. ანას I კლასის ორდენს უბოძებდნენ. სამაგიეროდ აჰმედი რუსეთს ჰპირდებოდა, რომ თავის სანჯაღს გარდა რუსეთს დაუპყრობდა და ჩააბარებდა მეზობელ მხარეებსაც: ქვემო აჭარას, ბათომს და ქობულეთს. ბებუთოვის არასწორი მოქმედების გამო მოლაპარაკება გაჭიანურდა (ბებუთოვი აჰმედს ემუქრებოდა, დაბძმცირებელი კილოთი მიმართავდა). ამასობაში კი ეს ამბავი ოსმალეთის მთავრობამაც გაიგო და ერზერუმის სერასკირს ზემო აჭარის გამგებლის დასჯა მოსთხოვა. სერასკირმა აჰმედს მუქარა შემოუთვალა. მალე ბებუთოვი გენ. ოსტენ-საკენმა შეცვალა. მან აჰმედს თავისი დანაპირები გაახსენა. აჰმედი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა და ყოყმანობდა. ორი კვირის შემდეგ, აგვისტოში მან შეუთვალა ოსტენ-საკენს: ქვემო აჭარა არ მემორჩილება, თქვენთან ურთიერთობის გამო მეზობლები და ნათესავებიც გადამეკიდნენ და ამ ურთიერთობის გაგრძელება მიჭირსო. მაშინ ოსტენ-საკენმა აჰმედს ვადა დაუდო—თუ 4 დღის განმავლობაში პირადად არ გამოცხადდები ჩემთან ახალციხეში, — აჭარაში ჯარით შემოვალო. ამის შემდეგ განაწყენებულმა აჰმედმა რუსებთან მოლაპარაკება შეწყვიტა [26. VII. 815].

1829 წ. 4 აგვისტოს გენ. გესემ რუსეთის ჯარი იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მილიციასთან ერთად ბათომზე სალაშქროდ წაიყვანა. ჯარი ორ კოლონად მიდიოდა: ზღვისპირით — ლიმანისკენ და ტყით — მუხაესტატეს მიმართულებით. გურიის მილიციის ნაწილები ორივე კოლონაში იყვნენ. 6 აგვისტოს ქართული მილიცია მუხაესტატესთან მდგარ თურქთა ჯარს მარცხენა ფლანგიდან დაესხა და დაამარცხა. ამის გაგებისთანავე თურქებმა უბძოლველად მიატოვეს ლიმანის ბანაკი არტილერიითა და მთელი ბარგით და უკან დაიხიეს. პოლკოვნიკი პაცოვსკი ფეხდაფეხ მიჰყვა გაქცეულებს. თურქთა ჯარმა თვითონ გადაწვა კინტრიშის სიმაგრე, მიატოვა მთელი ამუნიცია, სურსათი და ბათომისკენ გაიქცა. 9 აგვისტოს რუსეთის ჯარმა კინტრიში უბრძოლველად დაიკავა. გესეს უნდოდა ბათომზე ელაშქრა, მაგრამ იძულებული გახდა დროებით წინსვლა შეეჩერებინა, რადგანაც მარცხენა ფლანგიდან (გურია-აჭარის ქედიდან) აჭარის ფაშის ჯარის თავდასხმის საფრთხე იყო. აჰმედ ფაშას რუსებისთვის ლივანის ბეგის ჯარსა და ციხისძირის გარნიზონთან ერთად უნდა შეეტია [26. VII. 819; 38. II. 288].

ამ შეტევის თანადროულად, 14 აგვისტოს, გენერალ გესესთან შეუთანხმებლად ახალციხიდან ზემო აჭარაზე გაილაშქრა რუსეთის ჯარის დიდმა რაზმმა არტილერიით გენერალ ოსტენ-საკენის სარდლობით, მაგრამ სასტიკად დამარცხდა და 28 აგვისტოს უკან — ქვაბლიან-

ში დაბრუნდა. [56. IV$_2$. 397—403; 26. VII. 830]. რუსთა ამ ლაშქრობამ აჰმედ-ფაშა საბოლოოდ მტრად გადაჰკიდა რუსეთს. რუსეთის სარდლობის პოლიტიკური სიბეცის შედეგად ზემო აჭარის გამგებლის პოზიციის მკვეთრად შეცვლამ რუსეთს ხელი შეუშალა, უბრძოლველად შეეერთებინა აჭარა და ქვემო გურია ბათომითურთ და, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტიც.

გესემ ციხისძირის სიმაგრის დაკავება გადაწყვიტა და 15 სექტემბერს ციხისძირის მაღლობებს მიადგა. ამ დროს მის რაზმში იყო 2400 ქვეითი რუსი მეომარი, 100 კაზაკი, 3000 მილიციონერი და 7 ზარბაზანი. გესეს აცნობეს, რომ ციხისძირის გარნიზონი შეავსეს ახლომახლო სოფლებიდან მისულმა მოლაშქრეებმა და მოსალოდნელი იყო ზემო აჭარიდან აჰმედ-ფაშის შვილის მეთაურობით დამხმარე რაზმის მოსვლა.

ციხისძირი ძლიერ იყო გამაგრებული. იგი ქვემო გურიაში თურქეთის მთავარი დასაყრდენი იყო. რუსეთ-თურქეთის 1877—1878 წწ. ომის დროს მას ერთმა ჟურნალისტმა „გურიის გიბრალტარი“ უწოდა.

ბრძოლის წინ თურქეთის სარდლობამ ციხისძირში დიდძალი ჯარი ჩააყენა, არტილერია გააძლიერა და ჭურვებით კარგად მოამარაგა.

აჭარის ჯარის მისვლისთვის რომ დაესწრო, გესემ ციხისძირზე დაუყოვნებლივ შეტევა გადაწყვიტა. 16 სექტემბერს რუსთა არტილერიამ დაბომბა ციხისძირის ციხე და მის წინ მდებარე რედუტი; თურქებს რომ ზღვით დამხმარე ჯარი არ მოსვლოდათ, ციხის პირდაპირ ზღვაში რუსეთის ბრიგი იდგა. რუსეთის არტილერიის ცეცხლმა ციხისძირს მნიშვნელოვანი ზიანი ვერ მიაყენა.

17 სექტემბერს გესემ ჯარი შეტევაზე წაიყვანა. თურქების არტილერია შეტევაზე გადასულებს ისე ძლიერი ცეცხლით შეხვდა, რომ რუსებმა და მილიციონერებმა დიდი ზარალი ნახეს და ფეხი წინ ვერ წადგეს. გაჩაღდა საშინელი ხელჩართული ბრძოლა. ამ დროს გესეს ჯარს მოულოდნელად ზურგიდან, ტყიანი ფერდობებიდან, დაარტყა მთიდან ჩამოსულმა აჭარელთა მრავალრიცხოვანმა რაზმმა. ეგერების ნაწილმა, რომელიც ამ მხარეზე იბრძოდა, დიდი დანაკლისი განიცადა. ამან ბრძოლის ბედი გადაწყვიტა, — რუსეთის ჯარმა მძიმე მარცხი განიცადა და დიდი დანაკლისით უკან დაიხია [26. VIII. 830; 38. II. 288—289...]. ახლა უკვე თურქეთის ჯარი გადმოვიდა შეტევაზე...

აღსანიშნავია ციხისძირის ბრძოლაში ვახტანგ გურიელის ქვრივის — მარიამ ორბელიანის მონაწილეობა. მარიამმა „ციხისძირის ომზედ თვით თავისის მილიციით იმსახურა ერთგულად, რომელ მრავა-

ლი აფიცარი და მდაბალი სალდათი გამოიყვანა ცეცხლიდამ დაჭრილნი“ არ თუ მხოლოდ იზრუნა გამოყვანისათვის და გამოხსნისათვის მათისა; არამედ თვით თავისის ხელითა მსახურებდა აფიცართა და სალდათთა საზრდელის მიღებითა და სამსახურითა არა ოსსა დაუზოგავს გულის ‘ოდგინება თვისა“ [65. 2. 4577. 3]. ცხადია, რომ გურიელის ქვრივი ბრძოლის ველზე ქალთაგან მარტო არ იქნებოდა; როგორც ჩანს, სალაშქროდ წასულ ჯარს დაჭრილთა მომვლელებად ადგილობრივი ქალებიც გაჰყოლიან.

ციხისძირთან მძიმე მარცხმა ამიერკავკასიის ფრონტის მარჯვენა ფრთაზე რუსეთის ჯარის წინსვლა საბოლოოდ შეეჩერა. მალე ამის შემდეგ ომის დამთავრების ცნობაც მოვიდა (ადრიანოპოლის ზავი 1829 წ. 2 სექტემბერს დაიდო, მაგრამ ამიერკავკასიაში ამის ცნობა მხოლოდ ერთი თვის ‘ემდეგ მიიღეს, ასე რომ ციხისძირის ბრძოლა ზავის დადების ‘ემდეგ მოხდა!).

1829 წ. 2 (14) სექტემბრის საზავო ხელ‘ეკრულებით (§ 4) რუსეთმა თურქეთს დაუბრუნა ყარსის, ბაიაზეთისა და ერზერუმის საფაშოები და ახალციხის საფაშოს ნაწილი. ახალციხის საფაშოს ჩრდილოეთი ნაწილი ქ. ახალციხით და ახალქალაქითურთ რუსეთს დარჩა. რუსებს ერგო აგრეთვე შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო მდ. ჩოლოქის ‘ესართავამდე. რუსეთ-თურქეთის საზღვრად მდ. ჩოლოქი დაიდო.

საყურადღებოა ამ ზავთან დაკავშირებული ერთი ფაქტი.

1828—1829 წწ. ომ‘ში რუსეთის არმიამ ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ რუსეთის დიპლომატიამ ეს წარმატებები სათანადოდ ვერ გამოიყენა. ჯერ კიდევ 1828 წ. 26 ივლისს პასკევიჩი წერდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ნესელროდეს, რომ ზავის დადების დროს რუსეთს უნდა მიეღო ახალციხის საფაშო და გურიის თურქეთისეული ნაწილი ბათომითურთ «Турецкая часть Гурии с Батумом» [26. VII. 759]. ‘ემდეგ, 1829 წ. მაისში ნესელროდემ მიმართა პასკევიჩს — წარუდგინა თავისი წინადადებანი ზავის დადების დროს სასაზღვრო ხაზის დადგენის ‘ესახებ. 3 ივნისს პასკევიჩმა ნესელროდეს გაუგზავნა სასაზღვრო ხაზის სამი ვარიანტი. სამივეში აღნიშნული იყო, რომ რუსეთს უნდა დარჩენოდა „Турецкая Гурия до р. Чороха, т. е. Батум, Кобулеты и другие там находящиеся места“ [26. VII. 784—787]. ნიკოლოზ I-საც უნდოდა რუსეთისათვის ‘ემოეერთებინა ქვემო გურია („Турецкая Гурия“) ბათომითურთ [56. IV_2. 442], მაგრამ საზავო მოლაპარაკების დროს თურქმა დიპლომატებმა ‘ეძლეს დაეთანხმებინათ რუსეთის წარმომადგენლები საზღვრად მდ. ჩოლოქის დაწესებაზე. ‘ემდეგ, როცა ნიკოლოზ I-მა კარგად გაიგო თუ რა დიდი სამხედრო-

სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა ბათომის ნავსადგურს, იგი ძალიან ნანობდა, რომ მისმა დიპლომატებმა ადრიანოპოლში ბათომის შემოერთებისათვის სათანადოდ არ იზრუნეს. 1846 წ. 28 სექტემბერს ნიკოლოზ I-თან საუბარში კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის დირექტორმა საფონოვმა სინანულით თქვა, — საწყენია, რომ შეგვეძლო და ადრიანოპილის ზავით კარგი ნავსადგური ბათომი არ შემოვიერთეთო; ნიკოლოზ I-მა უპასუხა — ნამდვილად საწყენია, რომ ბათომი ჩვენ არ დაგვრჩა, ეს ჩემი დიპლომატების ერთმანეთში კინკლაობის შედეგიაო [27. 400]. რუს დიპლომატთა ეს შეცდომა ისე საგრძნობი იყო, რომ შემდეგ გავრცელდა ხმა, თითქოს თურქებმა რუსი დიპლომატები მოატყუეს, — ჭოროხის ნაცვლად საზავო ხელშეკრულებაში ჩოლოქი ჩაუწერეს.

თურქეთთან ომში გურიის მოსახლეობის აქტიურ მონაწილეობას, რამაც დიდად შეუწყო ხელი რუსეთის წარმატებებს, რუსეთის სარდლობამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს. ნიკოლოზ I-მა საგანგებო რესკრიპტით აღნიშნა ეს დამსახურება და გურიის მოსახლეობას ჯილდოდ უბოძა საბრძოლო დროშა სამადლობელი წარწერით. ეს დროშა ჯერ გურიის დროებით მმართველობაში ინახებოდა (სოფ ნაგომარში), იქიდან ოზურგეთის სამაზრო სამმართველოში გადაიტანეს, 1898 წლიდან კი შემოქმედის მონასტერში [22. 1898 წ. № 553].

პასკევიჩმა რამდენიმეჯერ მიმართა სოფიო დედოფალს, რომ იგი გურიაში დაბრუნებულიყო, მაგრამ დედოფალი უარზე იდგა. 1829 წ. აგვისტოს დასაწყისში, როცა რუსეთის ჯარმა კინტრიში დაიკავა, სოფიო ქობულეთიდან წავიდა და გონიის გავლით ტრაპიზონისკენ გაემართა. იმავე წლის 7 სექტემბერს სოფიო გარდაიცვალა[5].

1829 წ. 26 დეკემბერს პასკევიჩმა გურიის სამთავრო გაუქმებულად გამოაცხადა, სამთავროს სამმართველო საბჭო გააუქმა და გურია რუსეთის იმპერიის პროვინციად აქცია. გურიის გამგებლობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დროებით მმართველობას გადასცეს. პასკევიჩმა ტახტის მემკვიდრეს — დავით ბატონიშვილს გურიაში დაბრუნება შესთავაზა და გურიის ნაცვლად სხვაგან ყმა-მამულის მიცემას შეჰპირდა, ეკატერინე ბატონიშვილსაც დიდ პენსიას აღუთქვამდა. რაც შეეხება ემიგრანტ თავადაზნაურობას, მათ პასკევიჩმა გურიაში

---

[5] 1831 წ. ცნობით სოფიო გარდაიცვალა ტრაპიზონში [65. 2. 5670. 2—6]. ვ. პოტოს ცნობით, სოფიო გარდაიცვალა გონიაში და დაკრძალეს იქვე, წმ. სოფიოს ბერძნულ მონასტერში (?) [29. 126]. სოფიოს საფლავი პლატანაში აჩვენეს 1909 წ. ერმილე ნაკაშიძეს (იხ. გაზ. „დროება", 1909, № 44). სოფიოს ეკვდერის ფოტო იხ. „დროების" სურათებიან დამატებაში [1909 № 16, გვ. 3.). ეკვდერი ყოფილა მიქელ მთავარანგელოზის ეკლესიის გალავანში.

დაბრუნება აუკრძალა, ხოლო მათი ქონება გურიაში დარჩენილ ნათესავებს უნდა გადასცემოდა [56. IV$_2$. 141].

პასკევიჩის წარდგინებით ნიკოლოზ I-მა 1830 წ. იანვარში გურიის სამთავრო გააუქმა და დავით ბატონიშვილსა და ეკატერინეს ყოველგვარი მემკვიდრეობითი უფლებები ჩამოართვა [56. IV$_2$. 141].

1831 წ. საქართველოს მთავარმართებლად დანიშნულმა ბარონმა როზენმა იმპერატორის წინაშე იშუამდგომლა, რომ გურული ემიგრანტებისათვის პატიება გამოეცხადებინათ. როზენი აღნიშნავდა, რომ მცირეწლოვან დავითსა და ეკატერინეს (1828 წ. დავითი 10 წლისა იყო, ეკატერინე კი უფრო პატარა) დედასთან ერთად უცხოეთში გაქცევას დანაშაულად ვერ ჩავუთვლით, მათი თურქეთში ყოფნა კი ჩვენთვის მუდამ საშიში იქნება და სჯობს ისინი სამშობლოში დავაბრუნოთო [56. IV$_2$. 141].

1831 წ. ვახტანგ გურიელის ქვრივმა — მარიამ ორბელიანმა რუსეთის მთავრობას სთხოვა სამშობლოში დაბრუნების ნება მიეცათ მისი შვილის — დავითისთვის, რომელიც 1820 წლიდან ემიგრაციაში იყო. დავითი 1829 წელს, თურქეთთან ომის დამთავრების შემდეგ, ცდილობდა სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ საზღვარზე მოსულს გურიაში შემოსვლის ნება არ მისცეს. როზენმა დავით ვახტანგის ძის დაბრუნება მიზანშეწონილად ცნო და ამის შესახებ ნიკოლოზ I-თან იშუამდგომლა[65. 2. 5670. 2—6].

პლატანაში მყოფი ემიგრანტები იმ დროს ეკონომიკურ გაჭირვებას გახიცდიდნენ. ბატონიშვილებმა ფული ისესხეს თბილისელი მოქალაქის, ვაჭარ ღუკასოვისგან, რომელიც მაშინ ტრაპიზონში იმყოფებოდა [65. 2. 5670. 101—104 და 163—164].

თურქეთში მყოფი ქართველები მძიმედ განიცდიდნენ სამშობლოდან მოწყვეტას და ემიგრანტული ცხოვრების სიმწარეს. მათი ნაწილი მალე გადაჰყვა სამშობლოზე დარდს. თავი იჩინა ეროვნულმა ფსიქოლოგიამ. ქართველი ემიგრანტები ცდილობდნენ უცხოეთში თავიანთი მიცვალებულებიც კი არ დაეტოვებინათ. როცა 1829 წ. თურქეთში გარდაიცვალა ქაიხოსრო ბატონიშვილის მცირეწლოვანი ასული, დედამისმა — ელისაბედმა მისი გვამი ბეჟან გუგუნავას გამოატანა, რომ გურიაში დაესაფლავებინა. მიცვალებული გურიაში, ს. ჩეხედენაში[6] მოასვენეს, მღვდელმა მას წესი აუგო და ჩეხედენის სამების ეკლესიაში — გურიელთა საგვარეულო საძვალეში დამარხა [65. II. 1001. ფურც. 165]. ჩეხედენის წმ. სამების ეკლესია 1609 წ. ააგო მამია II გურიელმა. იმავე წელს იქ დაკრძალეს მამიას პირმშო — მანუჩარი.

---

[6] ს. ჩეხედენა მდებარეობდა მდ. ცხრაფონას (ოჩხამურის) ზემო წელში, მარცხენა ნაპირზე. ს. ქაქუთის პირდაპირ. აქ იყო მეორე ეკლესიაც, წმ. გიორგის სახელობისა.

აქვე შარხია მამია II-ის ცოლიც, ათაბაგის ასული თინათინი [63. Ad — 1913. A — 1270-კგ].

1831 წელს ნიკოლოზ I-ს სამშობლოში დაბრუნების ნება სთხოვეს დავით ბატონიშვილმა (გიორგი V გურიელის ვაჟმა) და სხვა ემიგრანტებმაც. 1832 წ. იანვარში ტრაპიზონში ავსტრიისა და სარდინიის სამეფოს კონსულმა გერსიმ გურული ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნების შესახებ რუსეთის მთავრობის წინაშე იშუამდგომლა [65. 2. 5670. 2—6]. ამის შემდეგ 1832 წ. 25 იანვარს ნიკოლოზ I-მა სოფიო დედოფალთან ერთად თურქეთში გაქცეული ყველა პირი შეწყალებულად გამოაცხადა [56. IV₂. 141]. ემიგრანტებთან მოსალაპარაკებლად გაიგზავნა შემოქმედის მონასტრის კანდელაკი მღვდელი იოანე გოგიტიძე. გოგიტიძის მისია წარმატებით დამთავრდა და 1832 წ. სექტემბერს ემიგრანტების ნაწილი გემით რედუტ-კალეში (ყულევში) მოვიდა, ნაწილი კი 20 სექტემბერს, წმ. ნიკოლოზის სიმაგრეში (შეკვეთილში), საიდანაც ისინი, კარანტინის გასავლელად, შემოქმედის მონასტერში გაგზავნეს, შემდეგ კი ოზურგეთში გადაიყვანეს [65. 2. 5670. 57—63]. თავის ოჯახთან ერთად დაბრუნდნენ: 9 თავადი (დავით მაჭუტაძე; გ. თავდგირიძე, ერისთავები...), 27 აზნაური (ქაიხოსრო თაყაიშვილი, გიორგი ჯაყელი, ელიშუხუ ჭყონია, ქველი ჩხატარაიშვილი...), 58 გლეხი, შემოქმედის მონასტრის არქიმანდრიტი ანთიმოსი და 1 მღვდელი. ზოგიერთი ემიგრანტი 1828—29 წლებშივე დაბრუნდა, მაგ. ლაზარე ნაკაშიძე.

თურქეთიდან დაბრუნებული ეკატერინე ბატონიშვილი ფსიქიკურ შოკში იყო ჩავარდნილი (მას სულთნის ჰარემში გაგზავნას უპირებდნენ), იგი სამკურნალოდ ოზურგეთში, მის ნათესავ თავად ნაკაშიძესთან დატოვეს, დავით ბატონიშვილი (ტახტის მემკვიდრე) კი პეტერბურგში გაგზავნეს. ნიკოლოზ I-მა იგი კადეტთა კორპუსში მიაბარა. 1839 წ. დავითი, რუსეთის არმიის ოფიცერი, შამილთან ბრძოლაში (ახულგოსთან) დაიღუპა.

ბატონიშვილებს და თავადაზნაურებს მთავრობამ პენსიები დაუნიშნა. დავითსა და ეკატერინეს მხოლოდ მათი პირადი ქონება დაუბრუნეს, თავადაზნაურებმა კი თავიანთი ყმა-მამული მთლიანად მიიღეს.

1832 წ. სამშობლოში დაბრუნდნენ 1820 წლის აჯანყების მონაწილეებიც: ემიგრაციაში 1831 წ. გარდაცვლილი დავით ბატონიშვილის (გიორგის ძის) შვილები — გიორგი, გრიგოლი და ლევანი, მათი ოთხი აზნაური და 6 გლეხი [65. 2. 9220—1]; ქაიხოსრო გურიელის ქვრივი ელისაბედი და შვილები — მალაქია, დიმიტრი, დესპინა და

პელაგია, მათთან ერთად 2 თავადი, 1 აზნაური, 5 მსახური და 4 მოახლე; ცალკე დაბრუნდა 5 აზნაური და 3 გლეხი [65. 2. 9220. 6—7]. მალე დაბრუნდა 1820 წ. აჯანყების ერთერთი აქტიური მონაწილე ნაბერალი მაქსიმე ერისთავიც; იგი ისევ ბერად აღიკვეცა და დავით გარეჯის მონასტერში გაგზავნეს [65. 9220. 23].

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს სამშობლოში დაბრუნებული რამდენიმე პირის თავგადასავლის გაცნობა, რაც თვალნათლივ წარმოგვიდგენს XVIII—XIX სს. მიჯნის გურიის სამთავროს მძიმე პოლიტიკურ ვითარებას.

აზნაურ ჟორდანიას ქალი მარიამი ბავშვობაში გაიტაცეს ტყვედ ოსმალებმა. მან თურქეთში 30 წელი იცხოვრა. ამ ხნის განმავლობაში იგი თანმიმდევრობით სამ ბეგს ჰყავდა ცოლად, მესამესაგან ბატონიშვილმა დავით გიორგის ძემ გამოისყიდა. მარიამი სამშობლოში დაბრუნებისთანავე გაქრისტიანდა.

აზნაურ სვიმონ თაყაიშვილის ასული როდამიც ტყვედ იქნა გატაცებული და 40 წლის განმავლობაში თურქეთში ცხოვრობდა. სტამბულში ჩაყვანილი, ძალით გამაჰმადიანებული როდამი ცოლად შეირთო ნაზარ-აჰმედ-ფაშამ, მისი სიკვდილის შემდეგ კი იბრაჰიმ-ფაშამ. ამ ფაშებს დიდი თანამდებობანი ეკავათ, მაგრამ მათი სიკვდილის შემდეგ მათი ქონება, წესისამებრ, სულთანმა მიითვისა და როდამ-ხანუმი გაჭირვებაში ცხოვრობდა. იგი მივიდა სტამბულში ჩასულ ბატონიშვილ დავით გიორგის ძესთან და სამშობლოში წაყვანა სთხოვა. დავითის რჩევით, როდამი ქალიშვილით ტრაპიზონს გაემგზავრა, იქიდან კი ფარულად გამოჰყვა სამშობლოში მიმავალ ემიგრანტებს. საქართველოში დაბრუნებული როდამი მოინათლა და თავისი ასულიც მონათლა [65. 25670. 70—72].

ემიგრანტთა მცირე ნაწილი სულთნის სამსახურში შევიდა. XIX ს. პირველი ნახევრის თურქეთში მრავლად იყვნენ სულთნის სამსახურში დაწინაურებული ქართველები, მათ შორის გურიის სამთავროდან გაქცეულნი ან გაყიდულნი. 1820 წ. ქაიხოსრო ბატონიშვილთან ერთად გაქცეული შემოქმედელი გლეხი ოთარ შავიძე შემდეგ თურქეთში ცნობილი იყო როგორც მეჰმედ-ფაშა შავიძე [65. 45. 18. 1; 1. 75]. იმავე ხანებში ეგვიპტის ფაშის ვეზირი იყო მეჰმედ (ზურაბ) ჭყონია, „ჭყონია-ფაშა“ [65. 11. 1001. 317], რომელიც 1830—40-იან წლებში ლაზისტანის სანჯაყს განაგებდა [65. 11. 1539. 31 და 74; 65. 11. 1926. 3] და 1844 წელს რუსეთ-თურქეთის საზღვრის დადგენის დროს თურქეთის წარმომადგენლად იყო [65. 11. 1001. 392]. ცნობილია აგრეთვე გურიიდან ბატონის მიერ ტყვედ გაყიდული ჩოჩხათელი გლეხი ვასიფ-მუჰამედ-ფაშა გუჯაბიძე („მუშირ-ფაშა“), რომელიც სხვადასხვა

დროს განაგებდა სალონიკის, ბაღდადისა და ტრაპიზონის საფაშოებს, ხოლო 1854 წელს ანატოლიის არმიის მუშირი (მარშალი) იყო [44. 41], ქერიმ-ფაშა. რომელიც გუჯაბიძესთან ერთად ყირიმის ომის დროს გურიაში შემოსულ ჯარში იმყოფებოდა [23. 28] და მრავალ სხვა. ყოველი მათგანი სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრობდა, სამშობლო და მშობლიური ენა სიკვდილამდე არ დავიწყებიათ, თურქეთში ნებით თუ უნებლიეთ მოხვედრილ თანამემამულეებზეც ზრუნავდნენ, მაგრამ რადგან მათი ძალა და გონება სამშობლოს არ ემსახურებოდა, ისტორიამ მათ საშინელი განაჩენი გამოუტანა — მათ სიცოცხლესთან ერთად კვამლივით გაჰქრა მათი სახელი და დიდება; ზოგის ძვლები აფრიკის და არაბეთის უდაბნოებში დანაცრდა. ზოგი ბალკანეთში და კავკასიაში შეეწირა თურქთა ბატონობის დაცვას, ზოგი კი არავინ იცის, სად, — მათი დამტირებელი არავინ იყო.

რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წწ, ომის შემდეგ გურიის სამთავროს მოსახლეობამ დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ძიებაზე ხელი აიღო და რუსეთის იმპერიის ცხოვრების დინებას მიჰყვა. თავადაზნაურობა რუსეთის მეფის სამსახურში ჩადგა და, რაკი დარწმუნდა, რომ ცარიზმი მისი სოციალურ-კლასობრივი ინტერესების დამცველი იყო, სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში დაწინაურებისთვის თავს არ ზოგავდა. სამღვდელოებაც რუსეთის მეფის ერთგულ მსახურად იქცა. რაც შეეხება გლეხობას, მას ერთი საფრთხე მოეხსნა — გარეშე მტრისგან ოჯახის აოხრება და ტყვედ ყიდვა თითქმის აღარ ემუქრებოდა. მაგრამ, სამაგიეროდ, ბატონყმობის უღელი დაუმძიმდა, — ახლა ამ უღელს რუსეთის ხელისუფლების მძლავრი ბიუროკრატიული აპარატი იცავდა.

განვითარების გზაზე ახალი სიძნელეები იდგა: ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკა და დრომოჭმული ფეოდალური ურთიერთობების დამძიმება ქართველი ხალხის წინაშე ახალ ამოცანებს და გზებს სახავდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბოლოთქმა

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში კავკასიის (და საქართველოს) მეფის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შეფასების საკითხი თავიდანვე მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზეა გადაჭრილი. გათვალისწინებულია, რომ „გახრწნის სტადიაში შესული ფეოდალურ-ბატონყმური სახელმწიფოს ბუნება დაპყრობითი პოლიტიკის გატარებას მოითხოვდა. სუსტი მეზობლის — ოსმალეთის იმპერიის არსებობა, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და სრუტეების ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა თვითმპყრობელობას აიძულებდა ექსპანსიისთვის მახლობელი აღმოსავლეთის მიმართულება აერჩია“ [30. 40]. რუსეთის ამ წინსვლას თურქეთის ხელქვეითი ან მისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მყოფი ხალხებისათვის ობიექტურად მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰქონდა, მაგრამ „ხაზგასმით აღვნიშნავთ რა ხალხების რუსეთთან შეერთების ობიექტურ — ისტორიულ პროგრესულობას, საქმის მეორე მხარის დავიწყებაც არ შეიძლება... არარუსი ხალხების შეერთების პროგრესული მნიშვნელობის თეზისის დოგმატურად აღქმამ შეიძლება მიგვიყვანოს ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის სიმკაცრის მიჩქმალვასთან, იმის დავიწყებასთან რომ მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო. იმის მიჩქმალვა, რომ ხალხთა დაახლოების პროცესის ფორმები არ შეესაბამებოდა მის ისტორიულ პროგრესულ შინაარსს, გამოიწვევს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის როლისა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მნიშვნელობის დაკნინებას, რევოლუციისა, რომელმაც ეს ხალხები ეროვნული და კოლონიური ჩაგვრისგან გაანთავისუფლა“ [58. 10].

გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ „როცა ლაპარაკია ცარიზმის საგარეო პოლიტიკაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს პოლიტიკა პირველ რიგში მებატონე-მემამულეთა კლასობრივ ინტერესებს გამოხატავდა“ [57. 12].

XVIII—XIX სს. ცარიზმის საგარეო პოლიტიკა სრულყოფილადაა დახასიათებული კ. მარქსის ნაშრომში „XVIII საუკუნის საიდუმლო დიპლომატიური ისტორია“ და ფრ. ენგელსის მრავალრიცხოვან ნაშრომებში [25. 22. 15 და 40...].

გურიის სამთავროს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლას ამ მხრივ მოსახლეობისათვის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოს სამთავროთა რუსეთთან შეერთება ქართლ-კახეთის ან იმერეთის სამეფოს შეერთებასთან შედარებით განსხვავებულ ვითარებაში მოხდა და მათი ერთ სიბრტყეზე, ერთნაირი მიდგომით განხილვა ისტორიული კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით გაუმართლებელია.

რუსეთის მთავრობას 1783 წ. 24 ივლისის „მეგობრობითი ხელშეკრულება" ან იმერეთის სამეფოსთან 1804 წ. 25 აპრილს უფრო არახელსაყრელი პირობებით დადებული ტრაქტატი რომ რეალურად განხორციელებინა, საქართველოს სამეფოებში ფეოდალური რეაქციის ალაგმვა, ამ სამეფოთა ავტონომიური სტატუსის შენარჩუნება და ეკონომიკურ-კულტურული პროგრესი გარანტირებული იქნებოდა. მარტო ეს კი არა, ისტორიულ პერსპექტივაში მოსალოდნელი იქნებოდა სოციალური პროგრესიც, თუმცა საქართველო ისეთ ქვეყანას შეუერთდა, რომელიც თვითმპყრობელობაზე, ბატონყმობასა და ფეოდალურ პრივილეგიებზე იყო დამყარებული და საერთაშორისო პროგრესულ-რეაქციურ მოვლენებთან დამოკიდებულებაში რეაქციის მედროშედ გამოდიოდა. ამის საბაბს გვაძლევს XIX ს. I ნახევარში თვით რუსეთში დაწყებული, თავისი დროისათვის პროგრესული მოძრაობა, რუსეთის იმპერიის ზოგიერთ განაპირა არარუსულ მხარეში ნაციონალური მოძრაობის მძლავრი აღმავლობა და XVIII ს. მიწურულიდან საქართველოს ცხოვრებაში აშკარად წარმოჩენილი პროგრესულ-დემოკრატიული ტენდენციები, კერძოდ — სახელმწიფო წყობილების გარდაქმნის ის ლიბერალურ-რეფორმისტული პროექტები, რომლებიც მაშინდელ ქართულ ინტელიგენციაში იქნებოდა და სხვადასხვა ფენებიდან გამოსულ მცირერიცხოვან პროგრესულად მოაზროვნე განათლებულ პირთა მოწინავე სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი, რაც ნათლადაა ასახული XVIII—XIX სს. მიჯნის ქართულ ლიტერატურასა და პუბლიცისტიკაში.

ფაქტია, რომ თავისი დროისთვის მოწინავე ეს შეხედულებანი იმავე წყაროებიდან მომდინარეობდა, რომლებიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციას ასაზრდოებდნენ და რომლებმაც XVIII ს. მიწურულს თანამიმდევრები რუსეთშიაც ჰპოვეს. XVIII ს. მიწურულის განათლებული ქართველობა კარგად იცნობდა ფრანგ განმანათლებელთა იდეებს და მათ პროპაგანდასაც ეწეოდა. 1832 წ. იდეური ფესვები სწორედ ამ ნიადაგშია საგულვებელი.

XVIII ს. მეორე ნახევარსა და XIX ს. დასაწყისში საქართველოს ევროპის მოწინავე ქვეყნებიდან უშუალო კონტაქტების საშუალება არ

ჰქონდა. თურქეთი, რომელმაც თავისი გავლენა გაავრცელა შავიზღვისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაზე, საქართველოს სინათლის სხივს უჩრდილავდა. კ. მარქსის სიტყვით, სტამბული აღმოსავლეთში ევროპული პროგრესისათვის ზღუდე იყო [25. 9. 544]. ასეთ ვითარებაში ერეკლე II-ის თავგამოდებული ზრუნვა მისი ქვეყნის „ევროპეიზაციისთვის", რასაც ხაზგასმით აღნიშნავენ მისი ქართველი, რუსი და ევროპელი თანამედროვენი [13. 112—113], ქართველთა სულიერი ინტერესების ის ერთობლიობა, რაც იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშია" ასახული და, რასაც ყველა ეპოქაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს — იდეოლოგია (ამ შემთხვევაში — მართლმადიდებლობა), საქართველოს აღმოსავლეთს უპირისპირებდა და რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგებდა. სხვა შემთხვევაში საქართველო მეზობელ მაჰმადიანურ სახელმწიფოებზე დამოკიდებულებისა და ჩამორჩენისთვის იყო განწირული.

მართალია, საქართველო ისეთ ქვეყანას შეუერთდა, რომლის ბედსაც პავლე I, ბენკერდორფი და არაკჩეევი წყვეტდნენ და რომლის სურათიც შესანიშნავადაა დახატული რადიშჩევის, ფონვიზინისა და გოგოლის ნაწარმოებებში, მაგრამ მრავალრიცხოვან რუს ხალხთან დაკავშირება (XIX ს. დასაწყისში რუსეთში 40 მილიონამდე მცხოვრები იყო) თურქეთ-ირანის ბნელ გარემოცვაში ყოფნასთან შედარებით უეჭველი პროგრესი იყო, რადგანაც ეს გარემოცვა ყველაზე საშინელი უბედურების — ეროვნული გადაგვარების მუდმივ საფრთხეს ქმნიდა. ქართველი ხალხის პოლიტიკური ხელმძღვანელები რუსეთს იმ იმედით უკავშირდებოდნენ, რომ ამ კავშირით ქართველი ხალხი ავტონომიურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, ეროვნულ თვითმყოფობას, ენასა და კულტურას შეინარჩუნებდა და ევროპულ განათლებას ეზიარებოდა. სხვაგვარად ეს კავშირი წარმოუდგენელი იქნებოდა. ავტონომიური პოლიტიკური ორგანიზაციების შენარჩუნება ჩაწერილი იყო ქართული სახელმწიფოების რუსეთთან დადებულ ყველა ხელშეკრულებაში, რომლითაც ეს სახელმწიფოები რუსეთის იმპერიაში შევიდნენ.

რუსეთის ცარიზმის მიზნები, რასაც იგი საქართველოს შეერთებით ახორციელებდა, გარკვევითაა მოცემული ალექსანდრე I-ის რესკრიპტში საქართველოს მმართველ გენ. კნორინგისადმი. იმპერატორი წერდა:

„Не скроем мы также от вас, что достоинство Империиии, безопасность наших границ, виды Порты Оттоманской, покушения и порывы горских народов, все уважения собственных России польз от давных времен заставляли правительство помышлять о сем происшествии и желать этого события. Измеряя существо его

единственно нашими выгодами, мы не можем не признать всей их силы“ [2. 1. 419].

საქართველოს შეერთებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთის იმპერიისთვისაც: ცარიზმის ხელში აღმოჩნდა ბუნებრივი რესურსებით უაღრესად მდიდარი მხარე და, რაც მთავარია, საუკეთესო პლაცდარმი, უმნიშვნელოვანესი საწყისი სტრატეგიული პოზიცია: ეს თვალნათლივ გამოჩნდა რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. ცხადია, სავსებით სწორი იყო რუსი ისტორიკოსი, როცა წერდა, რომ რუსეთმა საქართველო შეიერთა „Не для прекрасных глазок грузинок, а для пользы, величия, моши и славы России“ [39. 65].

თუ ასე ამბობდნენ ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთებაზე, მით უფრო მეტად ითქმის ეს მცირე და სუსტ ქართულ სამთავროებზე. ციციანოვი პირდაპირ აცხადებდა, რომ სამთავროებთან დადებული ხელშეკრულებანი მხოლოდ იმ მომენტში რუსეთის სისუსტით იყო განპირობებული და არ შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს, ხელსაყრელ პირობებში რუსეთს ეს ხელშეკრულებები უნდა დაერღვია და სამთავროები გაეუქმებია [49. 68—69].

რევოლუციამდელ ეპოქაში საერთაშორისო ურთიერთობათა ხასიათს დიდმპყრობელურ-ეგოისტური მიზნები განსაზღვრავდა. „გულუბრყვილობა იქნებოდა გვეთქვა, თითქოს ცარიზმი ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობდა. ცარიზმი რის ცარიზმი იქნებოდა, კოლონიურ პოლიტიკას რომ არ დასდგომოდა.... ჩვენს ხალხს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის სიმძიმე არ აკლდა და მისი ბრძოლა ცხოვრების უკეთესი პირობებისათვის არც შეწყვეტილა და არც შენელებულა“[1]. მიუხედავად ამისა, გურიის სამთავროს ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებისა, რუსეთთან შეერთების ობიექტურად მეტად მნიშვნელოვანი დადებითი შედეგები მოჰყვა: უპირველესად აღსანიშნავია, რომ „ადრინდელ პირობებთან შედარებით ქვეყანა უთუოდ უფრო მშვიდობიან პირობებში აღმოჩნდა“[2].

რუსეთთან დაკავშირების წინ გურიის სამთავრო განუწყვეტელი რბევის, აოხრების და ტყვის სყიდვის ასპარეზი იყო. XVIII—XIX სს. მიჯნაზე მოსახლეობა 1/3-ით შემცირდა, მეურნეობა დაქვეითდა, კულტურის ცენტრები დაკნინდა. 1810 წლიდან რუსეთთან დაკავშირების შემდეგ თურქეთიდან მარბეველ რაზმთა შემოჭრა, ტყვეთა მოტაცება და ადგილობრივ ფეოდალთა ძიერ ტყვის სყიდვაც მნიშვნელოვნად შემცირდა. შედარებით უფრო ქმედითი გახდა სამართლისწარმოება.

---

[1] ე. ა. შევარდნაძე, ძმობისა და მეგობრობის დიდი დღესასწაული (გაზ. „კომუნისტი“, 1983 წ., № 248—249).

[2] იქვე.

ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვით, ადრე გურიაში „მცირედი სამართალი იყო“, რუსეთთან შეერთების შემდეგ კი „უმეტესი სამართალი შეიქმნა“ [65. 2. 4563. II]. ფეოდალური ჩაგვრის სიმწვავე არ შენელებულა, მაგრამ მასთან ბრძოლა ბევრად უფრო ადვილი იყო, ვიდრე თურქ მარბიელთა მოგერიება.

მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ეკონომიკურ ცხოვრებაში; გაფართოვდა ვაჭრობა, დატრიალდა ფული, გამოცოცხლდა შინამრეწველობა, დაიწყო ნატურალური მეურნეობის რღვევა, დაწინაურდა განათლების საქმე. ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის სიმძიმის მიუხედავად, მოკლე ვადაში შესამჩნევად გამომჟღავნდა ქართველი ხალხის მძლავრი ეროვნული, კულტურული თუ პოლიტიკური პოტენციალი. ყოველივე ეს ცვლილებები ძირითადად XIX ს. 40-იანი წლებიდან ხდებოდა. დაწვრილებით განხილვა ამ მოვლენებისა, რაც ფართოდაა ასახული ისტორიულ დოკუმენტებში, ჩვენი თემის საგანს შორდება და აქ მას აღარ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ უკვე XIX ს. 40-იან წლებიდან გურიის გლეხობაში ფართოდ გაიშალა ანტიბატონყმური მოძრაობა, რამაც საფუძველი დაუდო ამ მხარეში სოციალური მოძრაობის მძლავრ განვითარებას.

დასასრულს, აღვნიშნავთ, რომ გურიის სამთავროს (ისევე, როგორც საქართველოს სხვა სამთავროთა) რუსეთთან შეერთებას უდიდესი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ამ ისტორიული აქტის ძირითადი დადებითი შედეგი. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ 400 წლის მანძილზე საქართველოს სხვა ნაწილებიდან პოლიტიკურად განცალკევებული ეს მხარე რუსეთის იმპერიის ფარგლებში კვლავ ერთიანი ქართული ეროვნული ორგანიზმის ნაწილად იქცა და ეროვნული განვითარების ერთიან ნაკადს გაჰყვა. ცარიზმის დიდმპყრობელურმა პოლიტიკამ ამ პროცესს ხელი ვერ შეუშალა. ჟამთა სიავით წარმოქმნილი სიმახინჯე — კუთხური განცალკევებულობა თანდათან გაქრა, ვიწრო-კუთხური მიზნების ადგილი საერთო — ქართულმა მიზნებმა დაიკავა. ადრე მოწინავე ქართველი პოლიტიკოსების, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ცდა ეროვნული ერთიანობის აღდგენისა, ფეოდალური თვალკერძოობისა და საგარეო მტრების მცდელობით ყოველთვის უშედეგოდ მთავრდებოდა, რაც ქართველი ხალხის ეროვნულ განვითარებას უდიდეს ზიანს აყენებდა. „ოთხასითა წლითა განმტკიცებულნი კერძოობითს უფლებასა ზედა სამთავრონი“ გარეშე მტერთა აქტიური „ხელშეწყობით“ მტკიცედ იდგნენ კუთხურობის დამღუპველ პოზიციებზე.

დიდი ქართველი ეროვნული მოღვაწის სოლომონ ლიონიძის ცდა, რომ „მოეყვანა ერთობასა მტკიცეთა ერთნათესაობა ქართველთა“ და

„შინაკავშირითა გაეუქმებინა გარეკავშირი“ [9. 23—24], უშედეგოდ დამთავრდა. რუსეთთან შეერთების შემდეგ კი „თემნი თვით ქართველთა სამეფოისა დაგლეჯილნი და დანაწევრებულნი გაუქმდნენ და მცხოვრებნი თემთა ამათ: იმერელნი, მეგრელნი, გურულნი, სვანნი და სამცხენი ათაბაგთა, შეიქმნენ და იწოდნენ ქართველებად“ [9. 247].

პლ. იოსელიანი 1860-იან წლებში ხაზგასმით აღნიშნავდა ეროვნული განვითარების თვალსაზრისით საქართველოს რუსეთთან შეერთების საიმედო პერსპექტივასაც .იგი წერდა: „განგება ღვთისავე რუსთავე ძალითა მოიყვანს ნათესაობითსა ერთობასა ქობულეთსა, აჭარასა, ლივანასა, ჯერეთცა თურქთაგან პყრობილთა“ და აღდგებაო „ნათესაობითი ერთობა ქართველთ გვარისა“ [9. 247 და 248].

პ. კოვალევსკის სიტყვით, რუსეთმა საკუთარი სარგებლობის მიზნით გააერთიანა საქართველო, მაგრამ ეს გაერთიანება საბოლოოდ ქართველი ერისთვის აღმოჩნდა სასარგებლო [39. 65]. მართლაც, მხოლოდ ერთიან საქართველოში იყო შესაძლებელი ის უდიდესი ეროვნული მოვლენა, რასაც სამოციანი წლების თაობა ეწოდება; მხოლოდ ერთიან საქართველოში შეიძლებოდა გაჩენილიყო ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი და იაკობ გოგებაშვილი, „დედა ენა“ და „ივერია“. ასეთი იყო ძალა „ნათესაობითი ერთობისა“.

ზემოთ თქმულიდან ცხადია, რომ ჟამთა სვლამ ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა მცირე ქართულ სახელმწიფოთა, მათ შორის გურიის სამთავროს, ბედი. მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთი და იმერეთი რუსეთის ხელისუფლებას დაექვემდებარა, სამთავროთა დამოუკიდებლობის შენარჩუნება ამ მხარეთა მოსახლეობისათვის მხოლოდ მავნე და საზიანო იქნებოდა; კუთხური განკერძოებულობის შენარჩუნება დიდად შეაფერხებდა იმ ეროვნულ-კულტურულ პროგრესს, რასაც ქართველობა XIX ს. 60-იანი წლებიდან განიცდიდა. მას შემდეგ, რაც ქართლ-კახეთი და იმერეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, სამთავროთა დამოუკიდებლობის დაკარგვა სოციალური, ეკონომიკური და განსაკუთრებით ეროვნულ-კულტურული თვალსაზრისით მხოლოდ დადებითი მოვლენა იყო. ფრ. ენგელსის სიტყვით, ცენტრალიზაცია ყოველი ქვეყნის სწრაფი განვითარების უმძლავრესი პოლიტიკური საშუალებაა [25. 5. 338]. ეს დებულება ყოველთვის სწორია, — იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე თავისუფალი ქვეყნის ცენტრალიზაციას ეხება და იმ შემთხვევაშიაც როცა რომელიმე ხალხის პოლიტიკური კონსოლიდაცია უცხო სახელმწიფოს ფარგლებში ხდება. ამ თვალსაზრისით ქართველი ხალხის ისტორია გამონაკლისი არაა.

ПРИСОЕДИНЕНИЕ ГУРИЙСКОГО КНЯЖЕСТВА К РОССИИ

Резюме

В 1801 г. начался сложный и продолжительный процесс вхождения Грузии в состав Российской империи, закончившийся в 70-х годах XIX в. Продолжительность этого процесса была обусловлена как сложностью международной ситуации, — Иран и Турция считали Грузию сферой своего политического влияния, — так и политической раздробленностью грузинского народа, — со второй половины XV века Грузия была разделена на несколько самостоятельных царств и владетельных княжеств. Одним из этих политических единиц было Гурийское княжество.

Гурийское владетельное княжество представляло собой типичное феодальное малое государство, наподобие территориальных княжеств позднесредневековой Германии, с абсолютной властью владетельного князя, с многоступенчатой сословной иерархией и довольно развитым аппаратом центрального и местного управления. С начала XVII в. Гурийское княжество было вынуждено призвать верховную власть Османской империи и платить ей дань, сохраняя при этом полную внутреннюю автономию, веру и культурную самобытность. Захватив соседние с Гурийским княжеством южногрузинские провинции — Чанети и Аджарию турки начали захватывать территорию Гурии. К началу XVIII в. Гурийское княжество охватывало часть Черноморского побережья Грузии от реки Риони до устья реки Чорохи. С 1701 по 70-е годы XVIII в. турки захватили всю Нижнюю (Южную) Гурию — территорию между реками Чорохи и Чолоки — и угрожали самому существованию княжества.

Страшная опасность национального перерождения, нависшая над краем, вынудила правителей Грузии, в том числе и владетельных князей Гурии, искать покровительства единоверной России. Интересы России и грузинских государств совпадали: Российская империя, неуклонно следуя политическому курсу, намеченному в начале XVIII века, была заинтересована иметь Закавказье, как плацдарм для дальнейшего продвижения на юг, а Грузия в союзе с Россией видела гарантию сохранения политической самостоятельности, веры и национальной самобытности.

В 1801 г. Восточная Грузия (Картли-Кахетинское царство) вошла в состав Российской империи. В 1803 г. Александр I прислал главноуправляющему Грузией секретную директиву «О присоединении Имеретии с княжеством Дадиановским

Мингрелией и Гуриеловским, когда к тому удобный случай представится». Пользуясь слабостью Турции, российское командование приступило к реализации этого плана. Его успешному исполнению способствовали нескончаемые феодальные неурядицы в самом Гурийском княжестве.

Правительство России тщательно готовилось к присоединению Западной Грузии, противопоставляя западногрузинских владетелей друг другу и проводя военные и экономические разведки с целью выяснения целесообразности присоединения края. Благодаря умелым мероприятиям русскому правительству удалось создать среди гурийских феодалов прорусски настроенную группу. Воспользовавшись враждой между имеретинским царем и гурийским владетельным князем, правительство Александра I заняло сторону князя, признав его независимым от имеретинского царя правителем и воспользовалось его помощью в деле упразднения Имеретинского царства.

19 июня 1810 г. Гуриели подписал составленные русским правительством «просительные пункты» о вступлении Гурии в состав Российской империи. 8 апреля 1811 г. Александр I высочайшей грамотой подтвердил этот акт. Гурийское княжество вошло в состав Российской империи, как автономная единица. Договор о подданстве был заключен «на вечные времена». Гуриели, сохранив наследственную владетельскую власть, признавался полноправным распорядителем внутренними делами княжества. Признание князя Гуриели автономным владетелем было обусловлено исключительной важностью стратегического положения Гурии.

Вхождение Гурийского княжества в состав Российской империи способствовало экономическому и культурному прогрессу Гурийского княжества. Политическое состояние, основанное на условиях договора 1810 года, оказалось наиболее благоприятным для прогрессивного развития края; этому способствовала и политика последнего владетеля Гурии Мамия V Гуриели, всячески содействовавшего развитию сельского хозяйства, ремесел и просвещения в крае.

В 1820 г. часть жителей Гурии приняла участие в восстании населения Западной Грузии, вспыхнувшем в результате проводимой российской властью церковной реформы, ущемлявшей интересы всех слоев населения. Подавив восстание, правительство России конфисковало владения его участников, но из-за энергичного протеста князя Гуриели вынуждено было отменить это решение, как нарушающее условия договора о подданстве.

21 ноября 1826 г. скончался Мамия V Гуриели. Приказом главноуправляющего Грузией А. П. Ермолова был образован «Совет управления княжества Гурийского», который должен был управлять краем до совершеннолетия наследника

княжеского престола. Жена покойного князя Софья тщательно добивалась единоличной власти в княжестве. В декабре 1828 г. началась русско-турецкая война. Российское правительство, не доверявшее Софье, решило воспользоваться моментом и упразднить Гурийское княжество. Население Гурии, ненавидевшее турок, не поддержало княгиню, обратившуюся за помощью к турецкому правительству.

1 октября 1828 г. Софья с группой приближенных лиц бежала в пределы Турции. Русские войска заняли Гурию. Для управления краем было образовано «Временное управление княжества Гурийского» из местных князей во главе с русским офицером.

Население Гурии активно участвовало в русско-турецкой войне 1828—1829 гг. Гурийское народное ополчение сыграло заметную роль в победе русских войск и было награждено почетным знаменем.

В 1830 г. Гурийское княжество было упразднено и преобразовано в Гурийскую область, которая в 1840 г. была преобразована в Озургетский уезд Кутаисской губернии.

Вхождение в состав Российской империи имело прогрессивное значение для населения края. Оно было избавлено от турецких нашествий и получило возможность мирного экономического и культурного развития.

Присоединение к России разрозненных грузинских политических единиц привело к воссоединению Грузии, что имело огромное национальное значение для грузинского народа. Живущие разрозненно и веками подвергавшиеся иранскому и турецкому насилию, грузины вновь объединились в один политический организм, что, вопреки замыслам царизма, положило начало подлинному национальному возрождению грузинского народа.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითითებული წყაროები და ლიტერატურა

1. ახვლედიანი ხ., ნარკვევი აჭარის ისტორიიდან 1944.

2. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა (დ. ბატონიშვილი, ახალი ისტორია. ბ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. თ. ლომოურის რედ. 1941).

3. დადიანი ნ., ქართველთ ცხოვრება. შ. ბურჯანიძის რედ., 1962.

4. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, ნ. ბერძენიშვილის რედ., 1940.

5. გაზ. „დროება", 1874 წ., № 421 (ი. მარის ნეკროლოგი).

6. დუმბაძე მ., გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30. 1954).

7. დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში 1957.

8. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902.

9. იოსელიანი პ., ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ა. გაწერელიას რედ. 1936.

10. კაკაბაძე ს. იმერეთის სამეფოს გაუქმება (საისტორიო მოამბე, ზ. 9, 1956).

11. ჟურნ. „კვალი", 1899, № 15.

12. კიკვიძე ა., საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე). 1954.

13. ლაშქარაძე დ., ევროპეიზმის პრობლემა ქართულ ლიტერატურაში. 1977.

14. მასალები საქართველოს ისტორიისათვის, შეკრებილი ბატონიშვილის დავით გიორგის ძის და მისი ძმებისა. 1744—1840 წწ., 1905.

15. მთავარი მამია გურიელის ბრძანება (ჟურნ. „მოამბე", 1899, № 11).

16. პაიჭაძე გ., იმერეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის 1804 წლის შეთანხმება (ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, II, 1973).

17. საქართველოს სიძველენი. ტ. III, ე. თაყაიშვილის რედ., 1910.

18. საქართველოს სსრ აკად. ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის დოკუმენტები და არქივები. II. ისტორიული დოკუმენტები. შ. ბურჯანაძის რედ., 1953.

19. სახოკია თ., მოგზაურობანი, 1950.

19. ა. ქორთუა ნ., საქართველო 1806—1812 წლების რუსეთ-თურქეთის ომში 1962.

20. ყიფიანი დ., ამბავი ეკატერინე ჩიჩუასი. გურიის უკანასკნელი მთავრის ასულისა. 1919.

---

[1] გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ნაშრომში ასეა მითითებული: პირველი ც ფრი აღნიშნავს ნომერს სიის მიხედვით, მეორე]წიგნის ნაკვეთს (ტომს) ან საარქივო ფონდს, შემდეგი — გვერდს (ფურცელს).

21. ჩხეტია შ., რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში (1801—1840 წწ.) (აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, VIII, 1940).

22. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1898 წ., № 533; 1899 წ., № 672

23. ჭიჭინაძე ზ., საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები. 1900.

24 ხაჭაპურიძე გ., გურიის აჯანყება 1841 წელს. 1932.

25. К. Маркс и Ф. Энгельс, Сочинения, II издание. тт 5, 9, 22.

26 Акты, собранные Кавказского археографическою коммисиею. Т. III—1868, III—1869. IV—1870, VI, ч. I и II—1874, VII—1878, XI—1888, XII—1904

27. Архив Воронцовых, т. 38. 1892.

28. Бакрадзе Дм., Археологическое путешествие по Гурии и Адчаре. 1878.

29. Батум и его окрестности. 1906.

29. а. Внешняя политика России XIX и начала XX века. Серия II, т. II (XI), 1979.

30. Восточный вопрос во внешней политике Росии. Конец XVIII—начало XIX в. 1978.

31. Горный журнал, 1827, кн. XII.

32. Давидов Д., Военные записки. 1940.

33. Дубровин Н., История войны и владычества русских на Кавказе, т. VI, 1888.

34. Дункель — Веллинг Н., Из записок о Гурии (газ. «Кавказ.», 1853 № 82).

35. Записки Алексея Петровича Ермолова, ч. I, 1865.

36. Записки Николая Николаевича Муравьева — Карсского (Русский Архив, 1882, кн. 11; 1886, кн. 5; 1886, кн. 11).

37. Иоселиани П., Города, существовавшие и существуюшие в Грузии. 1850.

38. История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829 годах. т. I—II, 1836 (S. A).

39. Ковалевский П., Двенадцатый год на Кавказе (Сборник общества Ревнителей Истории, вып. I, 1914).

40. Ковалевский П., Завоевание Кавказа Россией (S. D.).

41. Материалы по истории Горной промышленности Грузии. Т. I, 1938.

42. Махарадзе Н., Восстание в Имеретии 1819—20 гг. (Материалы по истории Грузии и Кавказа, 1942, вып. III).

43. Мелешко Е. Сцены из прошлого в Гурии (газ. «Кавказа», 1848, № 1).

44. Муравьев Н. Н. Война за Кавказом в 1855 году. т. I, ч. I—II, 1877.

45. Накашидзе Е., Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии. 1896.

46. Нордман А., Путешествие по Закавказскому краю [4]Журнал Министерства Народного Просвещения, 1838, ч. XX. № 11).

47. Памятники времен утверждения русского владычества на Кавказе. Вып. II. Под. ред. Потто. 1909.

48. Петров А., Война России с Турцией 1806—1813 гг. Т. I—1885, II—1886.

49. Пирцхалайшвили А., Имеретия и Гурия в период 1804—1840 г. (Материалы по истории Грузии и Кавказа, 1942, вып. I).

50. Письма А. П. Ермолова (Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа,. Вып. 45. 1926).

51. Полное собрание законов Российской империи т. IV, (1829 г.), 1830.

52. Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях. Т. I, вып. I—IV—1885; Т. II, вып. IV — 1886; т. IV, вып. I—1897.

53. Приложения к запискам А. Н. Ермолова (Чтения в императорском обществе истории и древностей при Московском университете, 1867, кн. 3).

54. Сборник материалов по вопросу о нефтяных месторождениях Гурии. 1927.

55. Газ. «Северная почта или новая Санктпетербургская газета», 1810, № 21.

56. Утверждение русского владычества на Кавказе. Т. I, 1902; т. III ч. I 1904, т. IV, ч. II — 1908. Под ред. В. Потто, т. XII—1901 (под. ред. Р. И. Иваненко).

57. Фадеев А. В. Россия и восточный кризис 20-х годов XIX века. 1958.

58. Фадеев А. В., Россия и Кавказ первой половины XIX в. 1961.

59. Юзефович, Договоры России с Востоком 1869.

60. Frederic Dubois de Montpereux, Voyage autour de Caucase, chez les Cherkesses, en Colchide, en Géorgie, en Arménie et en Crimea. Paris, T. III, 1839—1843.

60². Gamba, Voyage dans la Russie méridionale, et particulièrement dans les provinces situées au-dela du Caucase, faits depuis 1820 jusqu'au 1824. I, Paris, 1826.

61. გურიელი მამია, ნაგომრობა (ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება. კირილე ლორთქიფანიძის არქივი, ს. № 224).

62. ქუთაისის მუზეუმის ქართულ დოკუმენტთა ფონდი.

63. Ad, Hd, Sd. Qd, „სხვადასხვა“ — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დოკუმენტთა ფონდები.

64. A, S, — ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი.

65. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის ფონდები.

66. Центральный Государственный Военно-Исторический Архив (в Москве), ф. ВУА.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3

გურიის სამთავრო რუსეთთან დაკავშირების წინ . 3

თავი პირველი

გურიის სამთავრო — რუსეთის იმპერიის ავტონომიური სამფლობელო 14

თავი მეორე

1820 წლის აჯანყება 62

თავი მესამე

გურიის სამთავროს გაუქმება 80

თავი მეოთხე

გურიის სამთავრო რუსეთ-თურქეთის 1828—1829 წლების ომში 94

ბოლოთქმა 106

Резюме 112

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები გ. პაიჭაძე,
გ. აკოფაშვილი.
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. ცქიტიშვილი

სბ 2187

გამომცემლობის რედაქტორი ლ. სიხარულიძე
მხატვარი მ. მათიაშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ც. ქამუშაძე
კორექტორი ნ. ფიფია

გადაეცა წარმოებას 3.5.1984; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.6.1985;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 7,5; პირ. საღ. გატ. 7.6;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6.4;
უე 01581; ტირაჟი 3800; შეკვეთა № 2204;

ფასი 95 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

Квели Алексеевич Чхатарайшвили

ПРИСОЕДИНЕНИЕ ГУРИЙСКОГО КНЯЖЕСТВА К РОССИИ

(на грузинском языке)

«МЕЦНИЕРЕБА»
ТБИЛИСИ
1985

ი 37/15

ეროვნული
ბიბლიოთეკა